

U(Mem)

2-64

ფრედრიხ

შედეგნი

ტრადიციები

ს კ ი ლ კ ი ს
ს კ ი ლ კ ი ს

83
7-64

ტ რ ა გ ე ლ ი ე რ ი

თარგმნილია გერმანულიდან
ვასტანგ ბეწუკელისა



სასკელმწიფო გამომცემლობა
19 // თ ბ ი ლ ი ს ი // 49

-38251-1
✓





ფრიდრიხ შილერი

მკლენელი
ქალწული



სამეანტიკული
გრაფიკის

მომქმელი პირები

კარლოს მეშვიდე—საფრანგეთის მეფე.

დედოფალი იზაბელა — მისი დედა.

აგნესა სორელი — მისი საყვარელი.

ფილიპე კეთილი — ჰერცოგი ბურგუნდი.

გრაფი დიუნუა.

ლა ჰირი } მეფის ოფიცრები.

დიუ შატელი }

რაიმსის არქიეპისკოპოსი.

შათონი — ბურგუნდიელი რაინდი.

რაული — ლოტარინგიელი რაინდი.

ტალბოტი — ინგლისელთა მთავარსარდალი.

ლიონელი } ინგლისელი სარდლები.

ფალსტოფი }

მონტგომერი — ვალისელი.

ორლენის მოხელენი.

ინგლისელი ჰეროლდი.

ტიბო დარკი — მდიდარი გლეხი.

მარგო } მისი ქალიშვილები.

ლუიზა }

უანა }

ეტიენი } მათი საქმროები.

კლოდ მარი }


რაიმონდი }

ბერტრანი — გლეხი.

შავი რაინდის მოჩვენება.

მენახშირე და მისი ცოლი.

ჯარისკაცები და ხალხი, დიდებულები, ეპისკოპოსები, ბერები, მარშლები, მაგისტრები, კარისკაცები და სხვა მდუმარე პირები მეფის ამაღლაში.



პ რ ო ლ ო ბ ი

სოფელი

წინ მარჯვნივ სამლოცველოში ჰკიდა ღვთისმშობლის ხატი,
მარცხნივ ღვას მალალი მუხა

პირველი გამოსვლა

ტიბო დარკი. მისი სამი ქალიშვილი.
სამი ყრმა მწყემსი, მათი საქმროები.

ტიბო

ღიახ, ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ დღეს ჯერ კიდევ
ვართ საფრანგეთის მცხოვრებლები თავისუფალი
და წინაპართა სამემკვიდრო მამულს განვაგებთ;
მაგრამ, ვინ იცის; ხვალვე ჩვენზე ვინ იბრძანებლებს!
ყოველ კუთხეში ინგლისელი ბატონობს ძალით,
თავის დროშებს რომ აფრიალებს ძლევამოსილი,
და მის ცხენთაგან გაქელილა ყანები ფრანგთა.
პარიზი უკვე დამპყრობლებმა ჩაიგდეს ხელში
და დაგობერტის უძველესი, წმინდა გვირგვინი
უცხოელ ტომის შთამომავალს უმშვენებს თავსა.
ჩვენი მეფის ძე კი დევნილი დახეტიალობს
მემკვიდრეობას მოკლებული თვის სამეფოში.
მის წინააღმდეგ მტრის ლაშქარში ამხედრებულან

თვით ბიძაშვილი, საფრანგეთის პირველი პერი,
და მეფის დედა, თვის საკუთარ შვილს რომ ღალატობს.
ირველივე სოფლები, ქალაქები ცეცხლს მისცემია,
უახლოვდება ხანძრის ალი ამ ტურფა ველებს,
ბრძოლის გარეშე ჯერ კიდევ რომ გადარჩენილა.

— სწორედ ამიტომ, მეზობლებო, ღვთისა შეწევნით,
მე გადაეწყვიტე, სანამ კიდევ ეს შემიძლია,
ჩემი ქალები უზრუნველყო, დავაბინაო:
რადგან ომის დროს ქალს სჭირდება დამცველი მტკიცე,
სიყვარულში კი ჭირს ადვილად გადაიტანენ.

(პირველ მწყემსს)

— მოდი, ეტიენ, გასურთ შეერთოთ თქვენ ჩემი მარგო.
ერთი მიჯნა ჰყოფს ჩვენს მამულებს, მეზობლები ვართ,
გულისწადილიც საერთო გვაქვს; მწამს, რომ თქვენს შორის
კარგი ცოლ-ქმრობა დამყარდება!

(მეორე მწყემსს)

და თქვენ კი, კლოდ მარ,
სდუმხართ და დაბლა თვალებსა ხრის ჩემი ლუიზაც?
ორ მოტრფიალედ გულის კავშირს ხომ ვერ დავარღვევ
მხოლოდ იმიტომ, რომ ამისთვის განძს არ მთავაზობთ?
ვისლა აქვს განძი? როს სახლ-კარი, ავლადიდება
ან მტერს დარჩება, ან საზარელ ცეცხლს ემსხვერპლება —
ამ საშინელ დროს მამაცი ქმრის ერთგული მკერდი
ქალისთვის არის ერთადერთი თავშესაფარი.

ლ უ ი ზ ა

ჩემო მამავ!

კ ლ ო დ მ ა რ ი

ჩემო ლუიზა!

ლ უ ი ზ ა (ეხვევა ჟანას)

ძვირფასო დაო!

ტი ბ ო

თვითეულს მზითვად მიწას გაძლევეთ ოცდაათ აკრსა
და, ამის გარდა, ეზოს, გომურს და ცხვრების ფარას. —
ღმერთმა დამლოცა, ის კურთხევას მოგაეგებთ თქვენაც!

მ ა რ გ ო (ეხვევა ჟანას)

შენც გაახარე მანაჩენი, მოიქეც ჩვენებრ!
დე, ამ დღემ სამი მხიარული კავშირი შეკრას.

ტ ი ბ ო

წა, მოემზადეთ! სახვალიოდ ქორწილსა ვნიშნავ;
მთელი სოფელი მსურს ზეიმზე მოვიპატიყო.
(ორი წყვილი ხელგაყრილი ვადის)

მეორე გამოცვლა

ტ ი ბ ო, რ ა ი მ ო ნ დ ი, ქ ა ნ ა

ტ ი ბ ო

ჩემო ქანეტა, შენი დები ქორწილდებიან
და მათი ბედი გულს მიხარებს მოხუცებულსა;
შენ კი მაყენებ მწუხარებას, ჩემო უმცროსო.

რ ა ი მ ო ნ დ ი

რა გემართებათ! რატომ ჰკილავთ ქალიშვილს თქვენსას?

ტ ი ბ ო

აი ჰაბუკი მამაცი და ომახიანი,
ვისაც ვერც ერთი მთელ სოფელში ვერ შეედრება,
იგი თაყვანს გცემს გულითადად, მოკრძალებულად
და სურს გითხოვოს; ეს მესამე შემოდგომაა,
რაც განუზრახავს შენი შერთვა მშვიდი სურვილით;
შენ კი ხელსა ჰკრავ ასე ცივად გულჩახვეული
და ვერც სხვა ვინმე მწყემსთაგანი ჩვენი სოფლისა
შენი კეთილი ვალიმების ღირსი ვერ გახდა.
— გხედავ, რომ ბრწყინავ ქალწულებრივ კდემით აღსავსე,
დამდგარა შენი გაზაფხული, დრო იმედისა
და ყვავილივით გადაშლილა შენი სხეული;
მაგრამ ამაოდ ველოდები და ვერ მოვესწარ,
რომ ტრფობის კვირტიც აწ ყვავილად გადაიფურჩქნოს
და სიხარულით გამოიღოს ოქროს ნაყოფი!
ეს მე არ მომწონს, ჩემო შვილო, რადგანაც იგი
ბუნების მძიმე შეცდომაა, სხვა არაფერი!
არ მიყვარს, როცა ქალწულობის მშვენიერ წლებში
საკუთარ თავში ქალი ცივად ჩაიკეტება.

რ ა ი მ ო ნ დ ი

დაე, მიუშვიტ მის ნებაზე, კეთილო მამავ!
რადგანაც ჟანას სიყვარული ულამაზესი,

კეთილშობილი და ზეცისგან ნაკარნახევი,
მშვიდად მწიფდება და თანდათან ძვირფასი ხდება!
ახლა მას უყვარს მთაში ყოფნა, შვება-სილაღე,
და უფროსის იგი, თავისუფალ მწვერვალებიდან
ადამიანთა დაბალ ქერქვეშ რომ ჩამოეშვას,
სადაც ცხოვრების ქირ-ვარამი გამეფებულა.
ქალიდან ხშირად შიგყურებ მე გაოცებული,
მაღალ მწვერვალზე დიდებულად დგას თავის ცხვრებში
და ქვეიან მზერით გადმოსცქერის პატარა სოფლებს.
მაშინ ვჭკრეტ მასში უზენაესს, რაღაც დიდებულს,
მგონია, თითქოს მოსულია ის სხვა დროიდან.

ტი ბ ო

სწორედ ეგ არის, რაც არ მომწონს! აბა, მითხარი,
რატომ გაურბის თავის დებთან მეგობრულ კავშირს?
ულაბურ მთებში ეძებს შვებას და ბინას სტოვებს
უფრო უადრეს. შეჰყივლებდეს მამალი ვიდრე.
საშიშარ წუთში, როს ყოველი ადამიანი
ადამიანებს ეფარება გულდანდობილი,
ის განდევილი ფრინველივით მიიპარება
უკუნ ღამეში, სამეფოში მწუხარე სულთა;
გზაჯვარედინზე მიდის იგი და იქ ერთობა
მთების სიოსთან იღუმალი ჩუმი ბაასით,
ნეტავი რისთვის ირჩევს იგი ამ ადგილს მუდამ
და ეოეკება თავის ფარას სწორედ აქეთკენ?
ხშირადა ვხედავ საათობით დაფიქრებული
სულგანაბელი ზის მუხის ქვეშ, რომელს გაურბის,
როგორც უწმინდურს, ბედნიერი ყველა ქმნილება,
რადგან ბოროტ სულს წარმართობის ძველი დროიდან
ამ ხის ქვეშ თავის სამყოფელი გაუჩენია.
ჩვენი სოფლელი მოხუცები ამ ჯადოქრული
მუხის შესახებ გვიყვებიან საშინელ ამბებს;
იშვიათ ხმათა საოცარი ჟღერა გაისმის
მის დაბურულსა და მოღუშულ შტოებში ხშირად.
ერთხელ, მწუხრის ჟამს, როს მიდამო მოეცვა ბინდსა,
ამ ხის მახლობლად გავიარე და ჩემი თვალით
ვიხილე ქალის მოჩვენება მუხის ქვეშ მჯდარი,
რომელმაც თავის მოფრიალე სამოსელიდან

გამომიწოდა უცნაურად გამხდარი ხელი,
თითქოს თავისთან მიწვევდა მე, ნაგრამ მაშინვე
გამოვეშურე, სული ჩემი ღმერთს შევავედრე.

რ ა ი მ ო ნ დ ი

(მიუთითებს სამლოცველოში ღვთისმშობლის ხატზე)

ამ მოწყალე და კეთილშობილ ხატისა ძალას,
ციურ სიმშვიდეს რომ აფრქვევს აქ, თავის გარშემო,
და არა ეშმაკს, მოჰყავს თქვენი ქალი აქეთკენ.

ტ ი ბ ო

ო, არა, არა! მე ანაოდ არ მესიზმრება
ეს საშინელი სახეები, სულს რომ მიშფოთებს.
სამი ღამეა სიზმარს ვხედავ, თითქოს რაიმსში
ზის ჩემი ქალი ჩვენს მეფეთა დიდებულ ტახტზე
და დიადემა ელვარე, შვიდეარსკვლავიანი
ახურავს თავზე; ხელთ უპყრია სამეფო კვერთხი,
კვერთხზე კი სამი ამოსულა შროშანა მთისა.
მე, მისი მამა, ორივე და, ყველა თავადი,
დიდებულები, გრაფები და ეპისკოპოსნი
და თვითონ მეფეც მუხლს ვიყრიდით იმის წინაშე.
როგორ გამოვა ამ ქოხიდან ეგზომ დიდება?
ო, ეს ცუდს ნიშნავს, ეს უთუოდ ცუდს მოასწავებს!
მე ეს სიზმარი წინასწარი ხილვით მადრთხილებს
და მიმითითებს მისი სულის ქედმაღლობაზე.
თავის მღაბიო წარმოშობის მასა რცხვენია,
რადგანაც ღმერთმა ის ლამაზი, ტურფა დაბადა
და საოცარი ნიჭით უხვად დააჯილდოვა,
ამ სოფლის ყველა გოგონებთან შედარებითა.
ასე ზრდის ცოდვილ ქედმაღლობას ის თავის გულში,
ქედმაღლობა კი თვით ანგელოზთ ძირს ერეკება
და ადამიანს ჯოჯოხეთის მსხვერპლად მოაქცევს.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ვინ არის ისე მორცხვი, სათნო და გულკეთილი,
ვით ღვთისმოსავი თქვენი ჟანა? იგი ხომ მულამ
თავის უფროს დებს სიხარულით ემსახურება?
ყველაზე მეტად შემკულია დიადი ნიჭით,
მაგრამ, ხომ ხედავთ, ისე, როგორც მოაზღვე ქალი,
ასრულებს იგი თავის მძიმე მოვალეობას;

მისი წყალობით განუწყვეტლივ მრავლდება ფარა,
ხოლო ყანები იძლევიან უხვ მოსავალსა.
აქ ყოველივეს, რასაც ქანას ხელი მოხვდება,
მოსდევს უზომო, იღუმალი ბედნიერება.

ტიზო

რალა თქმა უნდა, იღუმალი ბედნიერება, —
თუმც ეს წყალობა მე მიქადის საშინელებას!
— აღარას ვიტყვი! გავჩუმდები. მე უნდა ვდუმდე;
მაქვს კი უფლება ჩემს საყვარელ ბავშვს ვუჩიოდე?
მე ძალმიძს მხოლოდ გავაფრთხილო, ვილოცო მისთვის!
დიახ, მე უნდა გავაფრთხილო — განშორდი ამ ხეს,
არ დარჩე მარტო და ფესვები არ მოუჩიჩქნო
შუალამისას, ნუ ამზადებ მის ახლოს წამლებს
და არ დახაზო რამ ნიშნები მის ქვეშ სილაზე —
არც თუ ძნელია შეაშფოთო სამეფო სულთა,
ისინი წვანან მოლოდინში თხელ საბურველქვეშ,
გისმენენ ჩუმად და გრიგალებრ წამოდგებიან.
არ დარჩე მარტო, რადგან ასეთ უდაბურ ადგილს
ბოროტი სული თვითონ ღმერთსაც კი შეხვედრია.

მესამე გამოსვლა

ბერტრანი შემოდის, ხელში მუზარადი უჭირავს.
ტიზო. რაიმონდი. ქანა.

რაიმონდი

ჩუმად! ბერტრანი ქალაქიდან უკან ბრუნდება.
შენე, რა მოაქვს!

ბერტრანი

შემომყურებთ გაცეზებულნი
და გიკვირთ, რომ მე ხელთ მიბყრია ეს უცნაური
საქურველი!

ტიზო

კი, კეშმარიტად. მაგრამ გვითხარი,
რად მოგაქვს შენ ეგ მუზარადი ამ მყუდრო ადგილს,
ავი ნიშანი სიკვდილის და არეულობის?

(ქანა, რომელიც აქამდე ბაასში მონაწილეობას არ იღებდა და განზე იდგა, ახლა
სმენად იქცევა და ახლოს მიდის)

ბ ე რ ტ რ ა ნ ი

თვითონ არ ვიცი, ვით გაუწყობ, თუ როგორ მომხვდა
ეს ნივთი ხელში. ვოკულერში მსურდა მეყიდა
რკინის ნაწარმი, სოფლისათვის გამოსადეგი;
იქ კი, ბაზარში, დიდ ხმაურს და ჩოჩქოლს წავაწყდი,
რადგანაც ხალხი ორღენით გამოქცეული

იქ მოსულიყო, ომის ცუდი ამბის მთხრობელი.

მთელი ქალაქი თავს იყრიდა აღელვებული.
და როცა ბრბოში გზას ვიკვლევდი წამოსასვლელად,
შემომხვდა ერთი ბოზა ქალი ამ მუზარადით.

შენომანერდა ის თვალბში ჯიქურ და მითხრა:

მუზარადს ეძებთ, მეგობარო, მე კარგად ვიცი.

აჰა, აიღეთ, დაგიჯდებათ ეს მცირე ფასად.

— გირჩევ მიმართო, ვუთხარი მე, ვინმე მოლაშქრეს,

მე გლენკაცი ვარ, მუზარადი არა მპირდება.

~~მაგრამ ის მაინც არ მომეშვა და ასე მითხრა:~~

~~არც ერთ მამაკაცს არ ძალუძს თქვას, რომ ახლა იმას~~

~~არა სპირდება მუზარადი. ფოლადის ჭერი~~

~~ჩვენს დროში უფრო არგებს თავსა, ვიდრე ქვის სახლი.~~

~~და იგი დიდხანს მდევდა ყველა შემოსახვევში.~~

~~ვხედავ მუზარადს — ბრწყინვალე და მშვენიერი,~~

~~შესაფერისი თვით ამაყი რაინდისათვის,~~

~~და ეჭვენულად გამოვართვი, მსურდა მენახა, —~~

~~წამით დამძლია ამ უცნაურ ამბავზე ფიქრმა, —~~

ქალი უეცრად თვალთგან მომწყდა და დამეკარგა,

მოზღვაებული ხალხის ნაკადს თან გაჰყვა იგი,

მუზარადი კი ხელში შემრჩა, როგორცა ხედავთ.

ქ ა ნ ა (სწრაფად წასწვდება მუზარადს)

აქ მომეცით ეგ მუზარადი!

ბ ე რ ტ რ ა ნ ი

რისთვის გპირდებათ?

ეს სამკაული ქალწულის თავს არ დამშვენდება.

ქ ა ნ ა (გამოგლეჯს მუზარადს ხელიდან)

ეს მუზარადი ჩემი არის და მე შეკუთვნის.

ტიზო

რა მოგდის, ჟანა?

რაიმონდი

მის ნებას წინ ნუ აღუდგებით!

ეს საომარი საქურველი მას დამშვენდება,
რადგან მის მკერდქვეშ იფარება მამაცი გული.
არ გახსენდებათ, ვინ დაახრჩო მძვინვარე მგელი,
რომელმაც ჩვენი ფარა თითქმის გაანადგურა
და ჩვენ მწყემსებს კი შიშისაგან ჟრუანტელს ჰგვრიდა?
ის მარტოდმარტო, ლომგულა და მამაცი ქალი,
შეება მგელს და გამოჰგლიჯა კრავი პირიდან,
როცა იგი მას უპირებდა გატაცებასა.
ვისაც არ უნდა დაახუროთ ეგ მუზარადი,
ჟანაზე მეტად ღირსეული ის არ იქნება!

ტიზო

გვითხარი, ბერტრან, კვლავ რა ომი დაგვატყდა თავსა?
რა თქვეს ახალი დევნილებმა?

ბერტრანი

ღმერთო, უშველე
ფრანგთა მეფეს და შეიბრალე მისი ქვეყანა!
ორ დიდ ბრძოლაში დავმარცხდით ჩვენ და მტერი ახლა
დგას საფრანგეთის შუაგულში, ყველა სოფლები
დაკარგულია თვით ლუარის ნაპირებამდე. —
მტერს თავი ერთად მოუყრია მთელი ძალისთვის
და ჩვენს ორლენს შემორტყმია ყოველი მხრიდან.

ტიზო

ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს ჩვენსას!

ბერტრანი

აურაცხელი

მოუტანიათ იარაღი ყოველ კუთხიდან!
როგორც ზაფხულში უამრავი ფუტკრების გუნდი
მოეფინება სკას გაბმული, ნელი ზუზუნით,
ან, როგორც შავი ქარიშხალის ღრუბლისა მსგავსად,
გადაეცლება გრიგალივით კალია ველებს

და გადაჰფარავს მიდამოებს თავის ფუთფუთით,
ისე საესეა ორლენის მწვანე მინდვრები
მოზღვავებული, უთვალავი მტრის მხედრობითა.
მრავალ ენაზე გაუგებარ ლაპარაკისგან
არეულად და ყრულ გუგუნებს მათი ბანაკი.
რადგანაც ბურგუნდს, მძლავრ მბრძანებელს მრავალ ქვეყნისას,
მოუყვანია საბრძოლველად თავისი ხალხი:
ლუქსემბურგიდან, ლეტისიდან და ჰენეგიდან,
უმამაცესი მებრძოლები ნამურის მხრიდან
და ბრაბანტიის ბედნიერი მაცხოვრებლები,
უხვი გენტელი, ხავერდით და აბრეშუმით რომ
თავს იწონებენ; თვით ზღვისპირა ზელანდიელი,
რომელთ ფაქიზი ქალაქები წყლის ნაპირებზე
ამართულია... და მდიდარი ჰოლანდიელიც.
აქვე მოსულან უტრეხტელიც, ფრისლანდიელიც —
ყველა ისინი მოჰყოლიან ბურგუნდის დროშას
და მოსდგომიან ჩვენს ორლენს ასაოხრებლად.

ტიზო

ო, საშინელო, დამლუპველო განხეთქილებავე,
ფრანგთა იარაღს ისევე ფრანგებს რომ შეუბრუნებ!

ბერტრანი

თვით დედოფალი იზაბელა, ჯავშნით მოსილი,
ხელმწიფის დედა, ბავარიის თავადთა სისხლის,
მათ მოჰყოლია და თავისი შხამიან ენით
საკუთარ შვილის წინააღმდეგ ყველას ამხედრებს,
რომელიც ერთდროს თავის მკერდით უტარებია!

ტიზო

დარისხოს ზეცამ, მასაც ისე დაღუპავს ღმერთი,
როგორც ოდესღაც იეზაბელ დაუღუპია.

ბერტრანი

ქალაქის ალყას მეთაურობს კედელთმნგრეველი
უსაშინლესი სალისბური და მასთან ერთად
არიან კიდევ ლიონელი, მსგავსი ლომისა,
და შმაგი ტალბოტ, რომლის ხმალი მომაკვდინები
ყველას მუსრს ავლებს, ვინც კი ხვდება სასტიკ ბრძოლაში.

მათ უტიფარი ფიცი დადეს, რომ ჩვენ ქალწულებს,
ყველას უკლებლივ, სინიდისი უნდა ახადონ
და ვინც ხმლით შეხვდეს, ის გახადონ ხმლისავე მსხვერპლი.
საყარაულოდ ოთხი კოშკი ააგეს იმით
და ბატონობენ ორლენანზე. გრაფი სალისბურ
მრისხანე მზერით გადასცქერის. ქალაქს მაღლიდან
და მის ქუჩებში ითვლის სწრაფად გამვლელ-გამომვლელს.
ქალაქი უკვე ყუმბარების ცეცხლში გახვიეს.
ეკლესიები მთლად დაინგრა და ღვთისმშობელის
წმინდა ტაძარიც შერყეული დაბლა ხრის თავსა.
კედელთა ქვეშ მათ გაიყვანეს მრავალი ხვრელი,
მთელი ქალაქი უფსკრულზეა შემდგარი ახლა
და შიშით ელის ყოველ წუთში, როცა კედლები
დაიქუხნებს და ბნელ უფსკრულში გადაინთქება.

(ყანა უსმენს მძაფრი ყურადღებით და თავზე იხურავს მუხარადს).

ტ ი ბ ო

სად იყვნენ იმ დროს რაინდები უმამაცესნი:
ლა ჰირი, სანტრალ და იმედი საფრანგეთისა,
მამაცი ბასტარდ, ოდეს მტერი გაშმაგებული
გამარჯვებული ქროლით ასე წინ მოიწედა?
მეფე სადღაა და გულგრილად რატომ უყურებს
ქვეყნის გასაჭირს, ქალაქების განადგურებას?

ბ ე რ ტ რ ა ნ ი

— მეფე ამეამად შინონშია დიდებულებით,
ხალხი აკლია და არ ძალუძს მტრის შეკავება.
რადას უშველის გმირთა მკლავი, სარდალთ მხნეობა,
როდესაც ჯარი საზარელმა შიშმა მოიცვა?
შიშმა, რომ თითქოს ღმერთისაგან განწირულნი ვართ,
შეიპყრო თვითონ უმამაცეს მებრძოლთა გული.
ამაო არის თავადების მოწოდებანი.
ისე ვით ცხვრები, მგლის ღმუილით შეშინებულნი,
შეჯგუფდებიან და ერთმანეთს ეფარებიან,
ფრანგებსაც ასე დაავიწყდათ დიდება ძველი
და ციხე-კოშკთა კედლებს უკან საფარს ეძებენ.
მაგრამ, ამბობენ, გამოჩნდაო გმირი რაინდი,
მას მცირე გუნდი მეომრების შეუკრებია
და მეფისაკენ ეშურება თექვსმეტი დროშით.

ქანა (სწრაფად)

ვინ არის იგი?

ბერტრანი

ბოდრიკური; თუმცა საეჭვოა,
რომ გადაურჩეს და ხელიდან დაუძვრეს მტერსა,
ორი ლაშქარით მას უკან რომ კვალდაკვალ მოსდევს.

ქანა

სად დგას რაინდი? თქვით ახლავე, თუ იცით რამე!

ბერტრანი

ერთი დღის სავალ მანძილზეა დაშორებული
ვოკულერიდან.

ტიზო (უნას)

ჩუმად იყავ! შენ ისეთ კითხვებს
ძილევნი, ქანა, რომლებიც არ შეგეფერება.

ბერტრანი

რადგანაც მტერი ძლიერია და ვოკულერებს
არ აქვთ იმედი, რომ დაიცავს მათი ხელმწიფე
დამპყრობლებისგან, გადაწყვიტეს ბურგუნდის ჰერცოგს
ზავით შეეკრან, დანებდნენ და განიარაღდნენ.
ჩვენ არ დავიდგამთ უცხოელთა მონობის უღელს
და ჩვენი ძველი მეფის მოდგმის მორჩილნი ვრჩებით,
თუმცა შესაძლოა დავუბრუნდეთ კვლავ ძველ გვირგვინსაც.
თუ ბურგუნდი და საფრანგეთი შეერიგდებიან.

ქანა (შთაგონებით)

არავითარი შეთანხმება და დანებება!
მხსნელი ახლოა, ბრძოლისათვის იგი მზად არის.
მტრის წარმატება ორღეანთან უნდა დაიმსხვრეს!
უკვე აღივსო საწყაული, მსხვერპლი მომწიფდა,
თავისი ნამგლით მხსნელი ქალი გამოცხადდება
და თავგასული მტრის მოსავალს ჩვენთვის მოიმკის.
მის დიდებასაც მოსწყევტს იგი ცის კიდისაგან,
ახლა რომ თითქოს შუქურვარსკვლავს ეთამაშება.

2. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტ რ ა გ ე ლ ი ე ბ ი.

არავინ შეკრთეს და გაიქცეს! სანამ ყანები
შეყვითლდებიან, გაივსება სანამდღე მთვარე,
ზვიად ინგლისელთ ველარც ერთი რაში ვერ შესვამს
ჩვენი წარმტაცად მოძდინარე ლუარის ტალღებს.

ბერტრანი

ვაგლახ! აწ უკვე სასწაული აღარ მოხდება!

ქანა

მოხდება კიდევ სასწაული, — როს თეთრი მტრედი
გამოფრინდება და არწივის გამბედაობით
თავს დაეცემა სამშობლოზე მოსეულ ძერებს.
ძირს დაანარცხებს ამაყ ბურგუნდს, ქვეყნის გამყიდველს,
და ზვიად ტალბოტს, ასხელიან დამბობს ზეცისას.
შმაგ სალისბურსაც, ჩვენი წმინდა ტაძრების შემრყენელს,
და ამ თავებედი კუნძულიდან შემოსულთ, — ყველას,
ისე ვით მგელი ბატკნის ფარას, წინ გაირეკავს.
მასთან იქნება თვით უფალი, ომის ღვთაება,
თავის მითრთოლარე, ნაზ ქმნილებას მოაველენს ქვეყნად,
სამშობლოს მხსნელად, უნაზესი ქალწულის სახით,
რადგან ის არის შემომქმედი ყოვლადძლიერი.

ტიბო

მასში რა სული ამეტყველდა?

რაიმონდი

ამ მუჯარადმა

შთაბერა ქანას მეომარის მრისხანე სული.
შეხეთ თქვენს ქალწულს, რარაგ ბრწყინავს მისი თვალები
და როგორ ცეცხლით ენთებიან ღაწვები მისი!

ქანა

უნდა დაეცეს ეს სამეფო? დიდების მხარე,
ყველაზე ტურფა, რაც კი მარადმსრბოლ მზეს უნახავს,
სხვა ქვეყნებს შორის კეშმარტად მართლაც სამოთხე,
იგი ღმერთს უყვარს საკუთარი თვალის ჩინივით.
უნდა ატაროს მან ბორკილი უცხო ხალხისა?
— აქ დაამსხვრიეს ძლიერება მომხდურ წარმართთა,
აქ აღიმართა გადარჩენის პირველი ჯვარი,

აქ განისვენებს ფერფლი წმინდა ლუდოვიკოსი,
იერუსალიმი დაპყრობილი იქნა აქიდან.

ბერტრანი

საიდან მოდის ეს მაღალი ზეშთაგონება?
გესმით, რას ამბობს! მამაო არკ, ყოვლად ძლიერმა
თქვენ საოცარი ქალიშვილით დაგაჯილდოვათ.

ჯანა

ჩვენ საკუთარი მეფეები აღარა გვყავდეს,
ფრანგებისათვის თვით ზეციდან მოვლინებული?
მაშ უნდა გაჰქრეს ამ ქვეყნიდან უკვლავი მეფე?
მეფე მფარველი წმინდა გუთნას და საძოვართა,
მეფე, რომელიც უხვ მოსავალს ანიჭებს მიწას,
რომელიც მონებს აძლევს ნანატრ თავისუფლებას
და თავის ტახტის გარეშემო იკრებს ქალაქებს,
რომელიც სუსტთა მფარველობს და ბოროტთა რისხავს,
არ იცის შური, რადგან თვითონ არის დიადი.
ვინც კაცია და ანგელოზი ნუგეშისმეფენი,
ერთურთის მტრობით, შურით აღვსილ ამ ქვეყანაზე
რადგანაც ტახტი, ოქროსფერი შარავანდედით,
სანდო ჭერია ყველასაკან მიტოვებულთა.
დანაშაუე თრთის და მართალი საქმისათვის კი
თავდადებული მსაჯულს მტკიცედ უახლოვდება.
ლომებთან მასხრობს მეგობრულად ტახტის წინ მდგარი.
უცხო მეფე კი, სხვა მხარიდან აქ რომ მოსულა,
რომლის წინაპართ წმინდა ფერფლი არ განისვენებს
ფრანგთა მიწაში, შეეყვარებს ქვეყანას ჩვენსას?
ის, ვისაც ჩვენთან თავის ყრმობა არ განუცდია,
ვისთვისაც არ ჟღერს მშობლიურად ფრანგული ენა,
ნუთუ შვილების ღირსეული მამა იქნება?

ტიბო

ღმერთი დაიხსნის საფრანგეთსა და იმის მეფეს!
მხოლოდ ჩვენთვის კი, მშვიდობიან გლენკაცობისთვის,
უცნობი არის ხმლის ტარება, ვერც მეომრის რაშს
დავიმორჩილებთ. — დე, ჩვენ მშვიდად დაჯნებდეთ იმას,
ვისაც ამ ომში გამარჯვება მეფედ გვარგუნებს.
ბრძოლის ბედი კი გადაწყდება ზეცის განგებით

4 და ჩვენი მეფეც ის იქნება, ვინაც რაიმსში
სამეფო გვირგვინს თავს დაიდგამს მირონცხებულნი.
— წამოდით! საქმეს დაუბრუნდით! ვითქროთ ნხოლოდ,
თუ რა მოგველის დღესა და ხვალ. დე, ქვეყნის მთავართ
და თავადებმა დაიბრუნონ მიწები მსხვერპლით,
ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვუცქიროთ ნგრევას,
რადგან მშვიდად დგას იგი მიწა, ჩვენ რომ ოფლს ვაღვრით.
დე, ცეცხლის აღმა გადაბუგოს ჩვენი სოფლები,
მებრძოლთ ცხენებმა გადაჰქელონ ყანები ჩვენი, —
გაზაფხული კვლავ ახალ ყარებს ააბიბინებს,
სწრაფად აღდგება ეს პატარა ქოხებიც ისევ!
(ყველა გადის, ჟანას გარდა)

მეოთხე გამოცვლა

ჟანა (მარტო)

მშვიდობით, მთებო, შენც, ძვირფასო მღუმარე ჭალავ,
და თქვენც, ველებო, გეთხოვებით ხალასი გრძნობით!
ო, ამის მეტად ველაროდეს იხილავთ ჟანას,
ამიტომ იგი გეუბნებათ: მარად მშვიდობით!
თქვენც, მდელოებო და ხეებო, ჩემგან დარგულო,
დაიზარდენით, იყვავილეთ, იმწვახეთ მარად!
თქვენაც მშვიდობით, მღვიმეებო და ჩანჩქერებო!
აწ შენი ეხოც, როგორც უწინ, ლამაზო ჭალავ,
ჩემს სიმღერაზე არასოდეს ახმაურდება,
ჟანა თქვენ გტოვებთ, აღაროდეს არ დაბრუნდება.
თქვენც, ადგილებო ჩემი მშვიდი სიხარულისა,
გემშვიდობებით, მე მივდივარ და გტოვებთ მარად!
გაიფანტენით თქვენც, ბატენებო, ამ საძოვრებზე!
ამიერიდან აქ დარჩებით უმწყემსო ფარად,
რადგან სხვა ფარის საპატრონოდ და სამწყემსავად
სისხლისმღვრელ ველზე მიმაქანებს უცნობი ძალა.
მე სული მიხმობს, მესმის მისი ხმა ზეციური,
არა ამაო სურვილები ამქვეყნიური.

ჰორების მთაზე ჩამოეშვა მოსიხთან ვინაც,
გამოეცხადა ვინც ბუჩქებში ცეცხლის სახითა
და უბრძანა, რომ აღდგომოდა ფარაონს წინა,
ვინაც ყრმა დავითს მისცა ძალა სიმამაცისა,
უბრალო მწყემსი ვინც აქცია ბრძოლაში გმირად,

ვინც მწყემსებს იცავს მოწყალე და მფარველ კალთითა,
მან ამ ხეების შტოებიდან მომმართა ასე:

„ჩემს მოციქულად გამოცხადდი ამ ქვეყანაზე“.

„ჯავშანი უნდა გადაიცივა ნაჭედი რვალის,
ფოლადით უნდა დაიფარო ეგ ნაზი მკერდი,
არ გაიკარო გულს მამაცის ნაზი ტრფიალი,
ამქვეყნიური სიყვარულით ვერ დამშვიდდები.
არც საქორწინო გვირგვინითა შეიმკო თავი,
საყვარელ ბავშვთა მშობელ დედად ვერ შეიქმნები;
მაგრამ შეგმოსავ მეომარის უკვდავ სახელით,
ყველა ქალების შუქს დაჰბინდავს შენი ნათელი“.

„როცა ბრძოლაში ვაქცავი კი რყევას დაიწყებს,
შენი სამშობლო დალუპკია კარს მიდგება როცა,
როგორც მომკელი ქალი ნამგალს ხელში აიღებ,
წინ გაიმძღვარებ, ქალწულო, ამ ჩემს წმინდა დროშას,
დასცემ ამ ამაყ დამპყრობლებსა დაბლა და ისევ
გადააბრუნებ წაღმა, ქალო, ფრანგთ ბედის ბორბალს;
შენი სამშობლოს გულად შეიღებს მოუტან ხსნასა,
რაიმსს აიღებ, მეფეს გვირგვინს დაადგამ თავსა“.

ყველაფერი ეს თვითონ ზეცამ მამცნო მე წინათ,
ეს მუზარადიც დღეს მივიღე სწორედ იმისგან,
ღვთაებრივ ძალით თავს მეხება იმისი რკინა,
როგორც მგზნებარე, მძლავრი ფრთები ქერუბიმისა;
სული მიიწვეს მკაცრ ბრძოლისკენ, სად შმაგად გრგვინავს
ომის გრიგალი, ქარიშხალი ისართ წვიმისა.
ეს ბრძოლის მძლავრი ყიჟინაა, ასე რომ მარხვეს,
ბუკის ხმა ისმის და ღვებიან მერნები ყალხზე.

(გადის)

პირველი მოქმედება

კარლოს მეფის სასახლე შინონში

პირველი გამოსვლა

ლოიზი
ლოიზი დიუნუა და დიუ შატელი

დიუნუა

არა, ამის მეტს ვერ მოვითმენ: დრო არის უკვე დავტოვო მეფე, თავის თავი ვინც სამარცხვინოდ გაიხადა და მიატოვა. მამაცი გული ბოლმით მეფეება, ცხარე ცრემლი მინდა ვაფრქვიო, რადგან საფრანგეთს შეეციენენ ავაზაკები და ციხე-ქალაქთ, მონარქიის დიდებას ძველსა, ხმლისა შეწევნით, ერთმანეთში ინაწილებენ.

~~ყანგმოკიდებულ გასაღებებს მტერს აბარებენ~~
და ჩვენ კი ამ დროს აქ, უსაქურ მყუდროებაში, ჩვენი სამშობლოს გადარჩენის ძვირფას დროს ვკარგავთ. — როგორც კი მესმა, რომ ორლუანს გარსშემოერთყენენ, ნორმანდიიდან წამსვე აქეთ გამოვეშურე, ვფიქრობდი, მეფე დამხვდებოდა ამხედრებული და თავის ლაშქარს, ვით სარდალი, წარუძღვებოდა, მაგრამ ის ვპოვე ტრუბადურთ და მასხრების წრეში, გონებამახვილ ამოცანის ახსნით გართული. თავის აგნესას ის დღეჟუდამ უმართავს ნადიშს, თითქოს სუფევდეს სამეფოში მშვიდობა მტკაცელ! — მთავარსარდალი გადადგომას აპირებს, რადგან არ შეუძლია ამ საშინელ ამბავს უცქიროს. მეც ვტოვებ მეფეს მისი ავი ბედის ანაბრად.

დიუ შატელი

აგერ თვით მეფეც.

მეორე გამოცვლა

იგივენი და მეფე კარლოსი

კარლოსი

მთავარსარდალმა ხმალი თვისი გამომიგზავნა და უარს ამბობს სამსახურზე. — გზა ხსნილი ჰქონდეს! ერთ მობუზღუნეს მოვიშორებთ თავიდან კიდეც, უთავსი კაცი ვერაფრით ვერ დავიყოლიეთ.

დიუნუა

ძვირად ღირს კაცი ამ საშინელ განსაცდელის ქამს; ასე აღვილად მის დაკარგვას ვერ ავიტანდი.

კარლოსი

შენ მაგას მხოლოდ შესიტყვების სურვილით ამბობ, თორემ ის შენი მეგობარი როდის ყოფილა.

დიუნუა

ღიახ, ამაყი, პირქუში და თავხედი იყო და ვერც ერთ საქმეს ის ბოლომდე ვერ მიიყვანდა, — მაგრამ სცოდნია, რომ მარჯვე დროს გაცლა სჯობია, როცა დარჩენა მარტოოდენ წაგებას ნიშნავს.

კარლოსი

როგორც გემჩნევა შენ მშვენიერ გუნებაზე ხარ და არ დაგირღვევ ამ განწყობას. — ჩემო დიუ შატელ, მეფე რენესგან მე კაცები მეწვიენ უკვე — სახელგანთქმული მომღერლები, ბევრგან ნაქები. აბა, შენ იცი, — კარგად უნდა გავუმასპინძლდეთ და თვითეული ოქროს ჯაპვით დაეაჯილდოვოთ.

(დიუნუას)

შენ რა გაცინებს?

დიუნუა

ის, რომ სიტყვით გსურს გამოსქედო გასაბოძები ოქროს ჯაპვი.

დიუ შატელი

ჩემო მეფეო,

შენი ხაზინა აწ მთლიანად დაცარიელდა.

კარლოსი

იშოვე სადმე. — მომღერლები კეთილშობილი პატივუცემნი არ გაუშვა ჩემი სახლიდან. ჩვენს უსულო კვერთხს სულს უდგამენ მხოლოდ ისინი და ამ ცხოვრების მარად უკვდავ და მწვანე რტოებს ჩვენს უნაყოფო, უსიცოცხლო გვირგვინს აწნავენ. ისინი ქვეყნად მბრძანებლობენ მეფეთა დარად, ტახტს იშენებენ უმსუბუქეს სურვილებისგან. მათი სამეფო ამ მიწაზე არ მდებარეობს, ამიტომაც მომღერალი მეფეთა ტოლი, ორივენი კი დგანან ყველა ქმნილების მალა.

დიუ შატელი

ჩემო ხელმწიფევე, მე ვზოგავდი შენს ყურთასმენას, სანამდე კიდეც ხსნა და შეველა შეიძლებოდა; მაგრამ ახლა კი გაპირებია მალაპარაკებს. — აღარაუფერი გაგაჩნია გასაბოძები, არც სხვა რამ, რითაც ხვალ ცხოვრება შეიძლებოდეს! დიდი ნაკადი სიმდიდრისა მიწყდა სრულიად. შენი ხაზინა ზღვის ნაპირს ჰგავს მიქცევის შემდეგ. არ მიუღიათ ჯარისკაცებს ხელფასი ჯერაც და ბუზღუნებენ, სახლში წასვლით იმუქრებიან. — მე აღარ ვიცი, როგორ შევძლო, თუნდ ლარიბულად, კვლავ შევინახო, ჩემო მეფევე, შენი სასახლე.

კარლოსი

დააგირავე სახელმწიფო გადასახადი, ლომბარდებიდან შეგიძლია ფული მიიღო.

დიუ შატელი

ჩემო ხელმწიფევე, სახელმწიფო გატასახადი უკვე სამი წლით ხომ წინასწარ დავაგირავეთ.

დიუნუა

ამასობაში თვით ქვეყანაც დაგვეკარგება.

კარლოსი

ჩვენ კიდეც გვრჩება უამრავი მსუყე მიწები.

დიუნუა

სანამ გვიბრალებს ღვთაება და ტალბოტის ხმალი!
და ორლენიცი თუ ინგლისელთ მალე აიღეს,
მაშინ კი გიჯობს ცხვარი სწყემსო რენესთან ერთად.

კარლოსი

შენ ხომ ყოველთვის მაგ მეფეზე ჰკუჟამხვილობ,
მაგრამ სამეფოს მოკლებულმა ამ წმინდა მეფემ
სწორედ მეფური საბოძვართი დამაჯილდოვა.

დიუნუა

ოღონდ კი გვირგვინს ნუ გიბოძებთ ნეაპოლისას.
ო, ღმერთმა ნუ ქნას! რადგან იგი, როგორც მსმენია,
გაზარმაცდაო იმის შემდეგ, რაც ცხვარსა წყემსავს.

კარლოსი

ეს ხუმრობაა, თამაში და გართობა მხოლოდ,
რომლითაც იგი საკუთარსა თავსა იმშვიდებს;
ოცნებობს შექმნას უმანკო და წმინდა სამყარო
ამ უხეშსა და ბარბაროსულ სინამდვილეში.
ხოლო ის, რაც კი მის უდიდეს სურვილს შეადგენს,
არის, რომ ისევ დააბრუნოს ძველი დროება,
როდესაც ნაზი სიყვარული მეფობდა ქვეყნად,
როს ტრფობა მძლავრად აძგერებდა რაინდთა გულებს,
როს სამსჯავროში ქალნი ისხდნენ კეთილშობილნი
და ნაზი გრძნობით აწყნარებდნენ კაცთა სიავეს.
აი, ამ დროში ცხოვრობს იგი, მოხუცი მეფე,
და ის, რაც ცხოვლად ასახულა ძველ სიმღერებში,
რალაც ციური ქალაქივით, მას სურს, კეთილ კაცს,
ოქროს ღრუბლიდან ქვეყანაზე ჩამოსახლოს.
მან დააარსა სიყვარულის დიდი ტაძარი,
სად მხოლოდ რაინდთ კეთილშობილთ ძალუძთ შვევიდნენ,
სადაც უბიწო ბანოვანნი ტახტს დაიდგამენ,
სად ისევ წმინდა სიყვარული უნდა დაბრუნდეს,
ხოლო მან მეფედ სიყვარულის მე ამირჩია.

დიუნუა

მე ბუნებისგან არ ვარ ისე დავიწყებული,
რომ სიყვარულის ბრძანებლობა უარვეყო ქვეყნად.

თვით სახელიც ხომ მან შემარქვა, ვარ მისი შვილი,
მის სამეფოში სუფევს ჩემი მემკვიდრეობა.
მამა ყოფილა პრინცი ქალაქ ორლენისა,
არ დარჩენია ქალის გული დაუძლეველი,
არც მტრის სიმაგრე იყო მისთვის აუღებელი.
თუ გინდა გიცნონ სიყვარულის ღირსეულ მეფედ,
მამაცთა შორის უნდა იყო უმამაცესი!
როგორც მე მახსოვს, ძველ წიგნებში ამომიკითხავს,
ყოველთვის იყო სიყვარული თანამზღებელი
რაინდულ საქმის. ისიც ვიცი, მრგვალ მაგიდასთან
გმირები ისხდნენ იმთავითვე და არა მწყემსნი.
(ვისაც არ ძალუძს, რომ დაიცვას მშვენიერება,
ის ტრფობის ჯილდოს ვერასოდეს დაიმსახურებს. —
აქ შენს წინაა ბრძოლის ველი, მამა-პაპათა
გვირგვინისათვის ბრძოლა გმართებს! რაინდის ხმალით
დაიცავ შენი სახლ-კარი და ღირსება ქალთა.
როს მამაცურად შენს სამეფოს და იმის გვირგვინს
მტერს სისხლიანი ბრჭკალებიდან გამოგლეჯ ძლევით,
მაშინ იქნები ხელმწიფურად დასაფასები
და სიყვარულის გვირგვინითაც შეიმკობ თავსა.

კარლოსი (მსახურს, რომელიც შემოდის)

რა ამბავია?

მსახური

ორლენელთ სურთ თქვენი ნახვა.

კარლოსი

დე, შემოვიდნენ!

(მსახური გადის)

ისინი მე შეელასა მთხოვენ;

რა შემძლია, როს თვითონაც შეელა მკირდება.

მესამე გამოცვლა

სამი ორლენელი მოხელე. იგივენი

კარლოსი

სალამი, ჩემი ორლენის ერთგულნო მკვიდრნო,
რას მეტყვეთ ახალს, როგორაა ქალაქში საქმე?

ის ისევ ისე ძველებურად მხნედ დგას თუ არა,
დაუნდობელი მტრებისაგან გარშემორტყმული?

მ ო ხ ე ლ ე

ვაგლახ, მეფეო! ჩვენ უდიდეს გასაქირში ვართ
და ყოველ წუთში ემუქრება ქალაქს დალუპვა.
გარე-ზღუდენი ორღეანის დაინგრენ უკვე
და მტერი ყოველ შეტევისას გვართმევს რაიმეს.
ზღუდეთა მცველნი განუწყვეტლივ იხოცებიან.
ჩვენი ლაშქარი ყოველ წუთში გადის ბრძოლაში,
ქალაქს კი უკან ცოტანილა უბრუნდებიან.
თან ორღეანელთ შიმშილისგან დახოცვა ელით.
ამიტომ ჩვენი მბრძანებელი როშეპიერი,
კეთილი გრაფი, უკიდურეს გასაქირის ჟამს
მტერს შეუთანხმდა, ძველებური წესის მიხედვით,
რომ მეთორმეტე დღეს დანებდეს, თუ კი მანამდე
აღარ გამოჩნდა ბრძოლის ველზე მაშველი ჯარი,
საკმაო მისთვის, რომ შეიძლოს ქალაქის დახსნა.

(დიუნუა მრისხანედ შეირხევა)

კ ა რ ლ ო ს ი

ვადა მოკლეა.

მ ო ხ ე ლ ე

მტერმა ახლა აქ გამოგვიშვა,
რომ შევევდროთ შენს მოწყალე და მეფურ გულსა,
შენი ქალაქი შეიბრალო და შეივრდომო,
აღმოუჩინო დახმარება ამ მოკლე დროში,
თორემ ქალაქი თორმეტ დღეში იარაღს დაჰყრის.

დ ი უ ნ უ ა

განა სანტრალი დაეთანხმა ამ სამარცხვინო
ზავსა, რომელიც შეურაცხველად?

მ ო ხ ე ლ ე

არა, ბატონო!

სანამ ცოცხალი იყო იგი, სიტყვას ვერავინ
დასძრავდა ზავზე და მტრისადმი დანებებაზე.

დიუნუა

მაშ ის მკვდარია!

მოხელე

ჩვენს კედლებთან დაეცა იგი,
ქველი რაინდი, საყვარელი მეფის საქმისთვის.

კარლოსი

სანტრალი მოკვდა. მე ამ ერთი კაცის დაკარგვით
დავკარგე ჯარი!

(შემოდის რაინდი, რომელიც ჩურჩულით რაღაცას ვტყვის დიუნუას. დიუნუა
სახეზე აღიბეჭდება გაოცება და გაურკვევლობა)

დიუნუა

ესეც კიდევ!

კარლოსი

რა მოხდა კიდევ?

დიუნუა

გრაფი დუგლასის კაცი გახლავთ. შოტლანდიელნი
შფოთავენ თურმე, სახლში წასვლით იმუქრებიან,
თუ კი დარჩენილ ხელფასს დღესვე არ მიიღებენ.

კარლოსი

დიუ შატელ!

დიუ შატელი

აბა, რა გირჩიო, მეფევ!

კარლოსი

შეჰპირდი,

დააგირავე ნახევარი სამეფო ჩემი.

დიუ შატელი

არას გვიშველის! მაგით ბევრჯერ დავაიმედეთ!

კარლოსი

საუკეთესო ჯარისკაცი არიან ჩემნი
და ნუთუ უნდა მიმატოვონ ამ გასაჭირში?

მოხელე (მუხლმოყრილი)

ხელმწიფევე, გვიხსენ! იფიქრე ჩვენს გაჭირვებაზე!

კარლოსი (სასოწარკვეთილი)

მე განა ძალმიძს ქვესკნელიდან ჯარი მოგვევაროთ,
ან ხელის გულზე მოვიყვანო მე პურის ყანა?
დამკუწეთ წვრილად, აქომგლიჯეთ მკერდიდან გული
და გააკეთეთ ოქროს ფული. სისხლი მაქვს თქვენთვის,
არ გამაჩნია არც ვერცხლი, არც ჯარისკაცები!

(დაინახავს სორელს და მკლავაშლილი გაეშურება მის შესახვედრად)

საგნისა

ფიქრთხი გამოსვლა

აგნესა სორელი, ყუთით ხელში. იგივენი.

კარლოსი

ჩემო აგნესა! საყვარელო, ჩემო სიცოცხლე!
მოხვედ იმისთვის, რომ დამიხსნა გასაჭირიდან!
შენ ისევ მყევხარ, მოვისწრაფი შენი მკერდისკენ,
რაკი ჩემი ხარ, არაფერი არ დამიკარგავს.

სორელი

ძვირფასო მეფევე!

(ფრთხილი, გაურკვეველი მზერით იყურება გარშემო)
ასეა მართლა, დიუნუა?

და შენ, დიუ შატელ?

დიუ შატელი

სამწუხაროდ!

სორელი

ნუთუ ისე პირს,
ხელფასს ვერ აძლევთ; ჯარისკაცი წასვლას ლამობენ?

დიუ შატელი

დიახ, ასეა, სამწუხაროდ!

სორელი (აძლევს ფულის ყუთს)

აქ არის ოქრო,

აქვეა ჩემი აღმასებიც, აჰა, ეს ვერცხლიც!
დააგირავეთ ჩემი სახლი, ციხე-კოშკები,
აქტივით ფულად ყველაფერი, მიეცით ლაშქარს.
წადით სასწრაფოდ! დროს ნუ კარგავთ!

კარლოსი

აბა, დიუნუა, შენც, დიუ შატელ! ახლა მითხარით,
კვლავ ღარიბი ვარ, როცა ყიელა ქალის გვირგვინს ვფლობ?
ის წარმოშობით არის ჩემებრ კეთილშობილი
და თვით ვალუას სამეფო შტოს მეფური სისხლი
მის წინაპართ სისხლს სიწმინდით ვერ აღემატება.
ის ყველა ქვეყნის სამეფო ტახტს დაამშვენებდა,
მაგრამ ეს არ სურს, მხოლოდ ჩემი სიყვარული სწვავს.
ნებას მაძლევდა მიმერთმია მისთვის საჩუქრად
ან ადრეული ყვავილები, ან უცხო ხილი.
არ შემიწირავს სხვა რამ მსხვერპლი, თვით კი ყველაფერს
მსხვერპლადა მწირავს, ჯკანასკნელ ქონებასაც კი
დიდსულოვნებით ჩემს დაღუპულ ბედ-იღბალს ანდობს.

დიუნუა

იგი შენსავით შმაგი არის, ჩემო მეფეო,
ხანძარმოდებულ სახლში ისერის თავის სიმდიდრეს,
ფიქრობს აავსოს დანაიდთა უძირო კასრი,
შენ ვერ დაგიხსნის და თვითონაც დაიღუპება.

სორელი

მე მომისმინე, ნუ უჯერებ, ჩემო მეფეო!
თავის სიცოცხლე მან მრავალჯერ დასდო სასწორზე
შენი გულისთვის და ახლა სწყინს, ოქროს რომ გწირავ?
განა ყოველი სიხარულით არ შემოგწირე,
რაც ოქროზე და მარგალიტზე ძვირად ღირს უფრო?
ახლა კი მხოლოდ მე საკუთარ ბედზე ვიფიქრო?
მოდ, ცხოვრების ეს ზედმეტი სამკაულები
შორს გადვისროლოთ, უარი გთქვათ ჩვენ ყველაფერზე
და ყველას მივცეთ მაგალითი კეთილშობილი!
გადააქციე ეს სასახლე ჯარის ბანაკად,
გადააქციე ოქრო რკინად და ყველაფერი

თან გაატანე, — გადისროლე გვირგვინთან ერთად!
წამო, გავიყოთ ბედიცა და უბედურებაც!
აუმხედრდეთ, მეფევე, სუყველანი საბრძოლო. რაშზე,
დაე, მცხუნვარე მზემ ამოსწვას ჩვენი სხეული,
თეთრი ღრუბლები თავზე ჭერად გადაგვეხურონ,
მოსვენებისას თავთ ბალიშად დავიგოთ ქვები.
თვით მეომარიც საკუთარსა უბედურებას
უფრო იოლად გადაიტანს, მეფეს რომ ნახავს
თავის მახლობლად გასაჭირში, მაგრამ მხნედ მყოფსა.

კარლოსი (ღიმილით)

ღიახ, სრულდება უკვე სიტყვა, რომელიც ვრთხელ
მე მითხრა ერთმა მონაზონმა კლერმონტში, როცა
წინასწარმეტყველის მძაფრი სული ღელავდა მასში:
ქალი მოგაგებს გამარჯვებას, მითხრა მე იმან,
მტერს დაგიმარცხებს და სამეფო ტახტს დაგიბრუნებს,
წინაპართ გვირგვინს იგი ისევ დაგადგამს თავზე.
მე მტრის ბანაკში ვეძიებდი მას ასე შორად,
ვიმედოვნებდი დედის გულში მეპოვა იგი,
მაგრამ აქა დგას გმირი ქალი, რომელიც მიხსნის,
ჩემი ავნესას სიყვარულით მე გავიმარჯვებ!

სორელი

შენ გაიმარჯვებ მეგობართა მამაცი ხმლითა.

კარლოსი

განხეთქილებაც მტერთა შორის დიდ იმედს მაძლევს,
რადგან ნამდვილი ამბავია, რომ ჩემს ნათესავს,
ბურგუნდის ჰერცოგს, და ინგლისის ამაყ ლორდს შორის
აღარა სუფევს მეგობრული განწყობილება.
ამიტომ ლა პირ გავაგზავნე ჰერცოგთან უკვე,
რომ დაითანხმოს გულმოსული პერი როგორმე
და მეგობრულად დაგვიზავდეს ისევე ჩვენა.
მე ყოველ წუთში იმისაგან ამბავს მოველი.

დიუ შატელი

აგერ რაინდიც, ჩვენს ჭიშკართან ჩამოქვეითდა.

კარლოსი

ის სასურველი სტუმარია! მალე გავიგებთ,
უკან დახვევა გვიწერია, თუ გამარჯვება.

მხუთე გამოსვლა

ლაჰირი. იგივენი

კარლოსი (მიდის მის შესახვედრად)

რა მოგვიტანე, ლაჰირ, ლაჰირ, ხსნა თუ დალუპვა?
გვითხარი მოკლედ, ორი სიტყვით, თუ რა მოგველის.

ლაჰირი

შენი ხმლის გარდა, ნულარაფრის იმედი ნუ გაქვს.

კარლოსი

ნუთუ ამაყი ჰერცოგი ვერ დაიყოლიე?
როგორ მიიღო, მითხარ, ჩემი წინადადება?

ლაჰირი

ყველაზე უწინ, და ისე, რომ არც კი ათხოვა
შენ თხოვნას ყური, მოითხოვა მან მეტად მკაცრად,
რომ დიუ შატელი ხელში მიეცეთ ბურგუნდს ახლავე.
რომელსაც იგი მკვლელს უწოდებს თვისი მამისას.

კარლოსი

ხოლო თუ უარს განვაცხადებთ მის მოთხოვნაზე?

ლაჰირი

ო, მაშინ ზავზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

კარლოსი

ხომ შეასრულე, რაც გიბრძანე? გამოიწვიე
ჩემთან ბრძოლაში შენ ჰერცოგი მონტეროს ხიდთან,
სად მისი მამა წუთისოფელს გამოესალმა?

ლაჰირი

ვესროლე შენი ხელთათმანი და ასე ვუთხარ:
რომ შენ ივიწყებ შენს მეფობას და, ვითრაინდი,

სამეფოს კეთილდღეობისთვის შეებრძოლები.
მაგრამ მომივო: მას სრულებით არა სჭირდება
კიდევ იბრძოლოს იმისათვის, რაც მას ეკუთვნის.
მაგრამ თუ მეფეს, მითხრა მე მან, ბრძოლა სწყურია,
მაშინ მიპოვის ორლენის კედლებთან იგი,
სად თავის ნებით ის ხვალ მოვა აუცილებლად.
და დამცინავად შეტრიალდა, მიჩვენა ზურგი.

კარლოსი

ნუთუ ჩემს ერთგულ პარლამენტში მართლმსაჯულების
და სიმართლის ხმა აღარაჲინ არ აიმაღლა?

ლაჰირი

ის პარტიათა მძვინვარებით დადუმებულა,
და პარლამენტმა პირადად შენ და შენს მოდგმასაც
უარი გითხრათ სამუდამოდ სამეფო ტახტზე.

დიუნუა

თახელობაა ეს ბატონად ქცეული ბრბოსი!

კარლოსი

ხომ არ გიცდია დედოფალი გენახა სადმე?

ლაჰირი

შენ დედაშენზე მეკითხები?

კარლოსი

კი, როგორ არის?

ლაჰირი

(მცირე ხნის ფიქრის შემდეგ)

ზეიმი იყო იმ დღეს მეფის ტახტზე ასვლისა,
როდესაც შევედ მე სენ-დენში, სად პარიზელნი,
ტურფად მოსილნი, საზეიმოდ შეკრებილიყვნენ,
ყველა ქუჩაზე საპატიო თალი შეეკრათ,
რომელთა შორის მიდიოდა ინგლისის მეფე,
ულამაზესი ყვაველებით მოფენილ გზაზე.
თითქოს სამშობლო ზეიმობდა გამარჯვებასა,
ხტუნავდა ხალხი დამპყრობელის ეტლის გარშემო.

3. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

სორელი

ისინი ასე ზეიმობდნენ, ხოლო ფეხებით
მათი ძვირფასი, ნაზი მეფის გულსა სთელავდნენ.

ლაჰირი

და მე ვიხილე სრულიად ყრმა ჰარი ლანკასტერ,
რომელიც წმინდა ლუდოვიკოს სამეფო ტახტზე
მდუმარედ იჯდა და მის ახლოს ზვიადად იდგნენ
ბედფორდ და გლოსტერ, ამაყურად გამომზირალნი,
ხოლო ჰერცოგმა მოიყარა მუხლი ტახტის წინ
და ერთგულების ფიცი მისცა ქვეყნის სახელით.

კარლოსი

ო, უსინდისო ბიძაშვილი! უსირცხვეო პერი!

ლაჰირი

ბავშვი შეშინდა, შეკრთა უცებ და წაბოროძიკდა,
როს აღიოდა იგი ტახტის საფეხურებზე.
„ო, ეს ცუდს ნიშნავს!“ — ხალხში უცებ წაიდუღუნეს
და ყველამ მორთო ხმამალალი სიცილ-ხარხარი.
მაგრამ მივიდა დედოფალი, მშობელი შენი,
და — მე მრცხვენია, სათქმელადაც მიმიძის, მეფეო!

კარლოსი

სთქვი!

ლაჰირი

თვისი ხელით აიტაცა ბავშვი და დასვა
სამეფო ტახტზე, შენს წინაპართ სამეფო ტახტზე.

კარლოსი

ო, დედა! დედა!

ლაჰირი

თვით მრისხანე ბურგუნდიელი,
ცნობილნი თავის ავკაცობით, კაცთა მკვლელობით,
ამის ნახვაზე მთლად გაწითლდნენ სირცხვილისაგან.
მან ეს შენიშნა და სასწრაფოდ ხალხს მიუბრუნდა,
ხმამალლა უთხრა: ო, ფრანგებო, მე მიმადლოდეთ,

რომ ავადმყოფი ხე შევცვალე ჯანსაღი ნერგით.
თქვენი გულისთვის უარყავი მე ჩემი შვილი,
უქკუო მამის უხეირო შთამომავალი.

ამეფე ხელებში ჩაირგავს თავს. აგნესა მისკენ გაეშურება და მოეხვევა. ყველა
იქ მყოფის სახეზე ზიზღი და აღშფოთება აღიბეჭდება)

2 დ ი უ ნ უ ა

ო, ის ძუ მგელი! ცოფიანი მხეცი, მეგერა!

კ ა რ ლ ო ს ი

(პაუზის შემდეგ მოხვლევს)

რომ მოისმინეთ, როგორაა აწ ჩემი საქმე.
ნულარ აყონებთ, დაუბრუნდით ორლენს ისევ
და გადაეცით ჩემს საყვარელ და ერთგულ ქალაქს,
ჯანსაღდელის ჟამს ფიცისაგან ვანთავისუფლებ,
ნება აქვს ახლა იფიქროს თავის გადარჩენაზე.
დაე, მან ბურგუნდს ჩააბაროს თავისი ბედი,
კუტდს არას უზამს, ეწოდება მას ხომ: კ ე თ ი ლ ი .

დ ი უ ნ უ ა

როგორ, მეფეო, ორლენი უნდა დასტოვო?!

მ ო ხ ე ლ ე (მუხლს იყრის მეფის წინ)

ჩემო ხელმწიფევე, ნუ აიღებ ხელს ორლენზე
და ნუ გადასცემ შენს საყვარელ და ერთგულ ქალაქს
ინგლისის მეფის უხეშსა და მკაცრ მბრძანებლობას.
შენი გვირგვინის ის ძვირფასი მარგალიტია,
შენს წინამორბედ მეფეთადმი მისებრ არავის
გამოუხატავს ერთგულება.

დ ი უ ნ უ ა

გ ა ნ ა დ ა ვ მ ა რ ხ ც დ ი თ ?

ან გვაქვს უფლება ბრძოლის ველი დავტოვოთ ისე,
რომ ქალაქისთვის ბრძოლა არც კი გადავიხადოთ?
უბრალო სიტყვით, იოლად და სისხლდაუღვრელად
ჰფიქრობ, მეფეო, ეს ქალაქი საუკეთესო
ფრანგებს გულიდან ამოგლიჯო?

კარლოსი

საკმაო არის

უკვე, რაც სისხლი დაიღვარა ასე ამაოდ!
თვით ზეცის ხელი აღმართულა ჩემს წინააღმდეგ,
ჩემმა ლაშქარმა განიცადა მრავალი მარცხი
და მე უარმყო პარლამენტმაც, დედაქალაქმაც,
ჩემივე ხალხი ტაშით ხვდება ვერაგ დამპყრობელს,
მე კი ყველანი მლაღატობენ, მტოვებენ მარტო, —
ჩემი მშობელი, საკუთარი დედაც განმიდგა,
მკერდში იკონებს უცხო მხრიდან მოსულ მტრის შვილსა.
— არა, ჩვენ უნდა გადავლახოთ ლუარი ახლავ,
რადგანაც ზეცამ ჩვენზე უკვე ხელი აიღო,
ამჟამად იგი ინგლისელთა მოწყალე არის.

სორელი

მას თვითონ ღმერთიც არ ისურვებს, სასოწარკვეთით
რომ მივატოვოთ სახელმწიფო, ზურგი ვაქციოთ!
შენს მამაც გულს არ დასცდენია ასეთი სიტყვა.
დედის ამგვარმა უკაცურმა და მკაცრმა საქმემ
მთლად დაამსხვრია ჩემი მეფის გმირული გული.
გონს მოდი, მეფევე, მოიკრიბე მხნეობა ისევ
და ღირსეულად გაუმკლავდი ასე სასტიკად
შენს წინააღმდეგ ამხედრებულ უბედურებას.

კარლოსი (მწარე ფიქრზე ჩაძირული)

სასტიკი ბედი თავს დაატყდა ვალუას მოდგმას;
ის ღვთისგან არის შერისხული, მიტოვებული.
დედამ აავსო დამღუპველი ბოროტებითა
სვეუბედური, განწირული ჩემი სასახლე.
მამა ყოფილა ოც წელიწადს ჭკვაზე შემცდარი,
სამი უფროსი ძმა უდროოდ გარდამეცვალა,
ასეთი არის განაჩენი უზენაესის,
სამეფო კარლოს მეექვსისა უნდა დაემხოს.

სორელი

შენით აღდგება იგი მოდგმა და აყვავდება!
დარწმუნებული იყავ, მეფევე, საკუთარ თავში.
შენი მოწყალე ბედისაგან გადაიტანე

ძმათა სიკვდილი და უმცროსი, ჯერ ახალგაზრდა,
სამეფო ტახტზე ახვედ ასე მოულოდნელად.
შენი უმანკო, წმინდა სული ირჩია ზეცამ
ყველა ტკივილთა მკურნალად და გასამთელებლად,
რაც ჩვენს ქვეყანას მიაყენა განხეთქილებამ.
სამოქალაქო ომის ქარცეცხლს ჩააქრობ მალე,
მე გული მიგრძობს, და სიმშვიდეს კვლავ დაგვიბრუნებ,
ახალ საფრანგეთს ფუძემდებლად მოვევლინები.

კ ა რ ლ ო ს ი

ოლონდ, მე არა. ეს მძვინვარე და პირქუში დრო
თხოულობს მტკიცე წინამძღოლსა, მკაცრსა მბრძანებელს.
მშვიდ დროს შემეძლო ხალხისათვის სიკეთე მექნა,
მაგრამ მღვღვარე ხალხს ვეროდეს ვერ დავამშვიდებ,
ბასრი მახვილით როგორ შევძლებ გულების გახსნას,
რომელნიც ასე ჩარაზულან ბოროტებისგან.

ს ო რ ე ლ ი

ხალხი ბრმა არის, მოჩვენებამ მოატყუა ის,
მაგრამ სიზმარი საშინელი გაივლის მალე,
გამოიღვიძებს, აღარაა იგი დღე შორსა,
ის სიყვარული კანონიერ ხელმწიფის მიმართ,
ფრანგების გულში ასე ღრმად რომ ჩანერგილია.
ისევ იფეთქებს სიძულვილი და ძველი შური,
მოსისხლე მტრებად რომ აქცევდა ამ ორ ხალხს მუდამ.
ამაყ დამპყრობელს დაბლა დასცემს მისივე ბედი.
არ მიატოვო ბრძოლის ველი აჩქარებულმა,
მედგრად იბრძოლე თითოეულ მტკაველ მიწისთვის
და ორლენანი დაიცავი, ვით შენი მკერდი.
ჯობს რომ ჩასძირო მდინარეზე ყველა ბორანი
და ააფეთქო ხიდებიცა ლუარის იქით,
შენი სამეფოს საზღვრებს გაღმა რომ გადადიან,
სად აღარ სუფევს სიმართლე და პატიოსნება.

კ ა რ ლ ო ს ი

რაც კი შემეძლო, გავაკეთე მე ყველაფერი.
მზად ვიყავ ჩემი გვირგვინისთვის, ვით რაინდს ჰყვრობს,
მებრძოლა, მაგრამ გამოწვევა ჩემი უარპყვეს.
ამაოდ ვკარგავ ჩემი ხალხის ძვირფას სიცოცხლეს

და ჩემი ტურფა ქალაქებიც ნადგურდებიან.
თვით ბუნებისგან უარყოფილ ცრუ დედის მსგავსად,
ვერ დავთანხმდები, ჩემი შვილი ხმლით რომ გააპონ.
არა, თუ მისი სიცოცხლე მსურს, ვერ ვიზამ ამას.

დიუნუა

ნუთუ ეგ სიტყვა მეფისათვის შესაფერია?
ნუთუ გვირგვინი უნდა დასთმო? უკანასკნელი
ქვეშევრდომიც კი გაბედულად სისხლს დააქცევდა,
თავის სიძულვილს და სიყვარულს ემსხვერპლებოდა;
ეს ყველაფერი პარტიათა ბრძოლის ბრალია,
სამოქალაქო ომი არის გაჩაღებული.
გლეხიც კი სტოვებს თავის გუთანს, ქალი თვის ბავშვებს,
მოხუცებიც კი საბრძოლველად ისხამენ აბჯარს,
ქალაქის მკვიდრი ქალაქს სტოვებს, გლეხი თვის სოფელს
და საკუთარი ხელითა სწვავს თავის ქირნახულს
რომ ამით ვნება მოგიტანოს, ან სარგებლობა
და აისრულოს მან თავისი გულისწადილი.
არვინ დაუცდის შებრალებას, არც შეიბრალებს,
როცა მოუხმობს კაცს კაცური პატიოსნება,
თვისი ღმერთის ან კერპისათვის ბრძოლაში გასვლას.
მაშ, მოიშორეთ ქალაჩუნას შემბრალება,
იგი მბრძანებლის, ხელმწიფის გულს სულ არ შეშვენის-
ომი გაჩაღდეს, იმძინვაროს კვლავ მეტი ძალით,
იგი ხომ შენ არ დაგიწყია მოუფიქრებლად.
ხალხი მეფისთვის არასოდეს მსხვერპლს არ დაზოგავს,
ასეთი არის კანონი და ბედი ქვეყნისა.
ფრანგმა ეს იცის და არც უნდა სხვა რამ იფიქროს.
უღირსი არის იგი ერი, რომელიც მსხვერპლად
ღირსებისათვის არ გასწირავს, რაც გააჩნია.

კარლოსი (მოხელეებს)

ჩემგან ნუ ელით სხვა რამ პასუხს. ღმერთი გფარვიდეთ-
სხვა არაფერი მე არ ძალმიძს.

დიუნუა

სწორედ ამიტომ
შენ ომის ღმერთმა სამუდამოდ ზურგი გაქცია,
ისე როგორც შენ შეაქციე სამშობლოს ზურგი.

რაკი ობლობა გირჩევნია, მეც მიგატოვებ.
არა ინგლისის და ბურგუნდის მრისხანე ძალა,
არამედ შენი უმწეობა გაგდებს ტახტიდან.
დაბადებითვე გმირნი იყვნენ ფრანგთა მეფენი,
მაგრამ შენ კო, ჩანს, ვაჟეცად არ დაბადებულხარ.

(მოხელეებს)

მეფე თქვენ უარს გეუბნებათ, მაგრამ მე კი მსურს
მსწრაფლ გავეშურო ჩემს მშობლიურ ქალაქ ორლიანს
და იმის ძვირფას ნანგრევებში სამარე ვპოვო.

(სურს წასვლა. აგნესა სორელი აჩერებს)

სორელი (მეფეს)

ო, ნუ გაუშვებ მას აქედან განრისხებულსა!
თუმც სიტყვამკაცრობს, ერთგულია შენი, ხომ იცი.
ის ხომ იგივე დიუნუაა, რომელსაც მუდამ
ასე ძალიან უყვარდი და შენთვის სისხლს ღვრიდა?
თქვენც აღიარეთ, დიუნუა, რომ მეტმა სიფიცხემ,
კეთილშობილმა მრისხანებამ შორს გაგიტაცათ. —
და, მეფევ, შენაც აპატიე ერთგულ მეგობარს
მწარე სიტყვები. მოდიოთ, მოდიოთ და ნება დამრთეთ
კვლავ შეგარიგოთ, მრისხანება სანამ თქვენს გულში
დამლუპველ მტრობად ჯერ კიდევ არ გაღვივებულა.

(დიუნუა მეფეს თვალბში შესცქერის და პასუხს ელოდება)

კარლოსი (დიუ შატლს)

გემზე მიზიდეთ საჭურველი და მთელი ბარგი.
უნდა ლუარზე გადავიდეთ.

დიუნუა (სორელს სწრაფად)

მშვიდობით, სორელ!

(შემობრუნდება და სწრაფად გადის. მოხელეები უკან გაჰყვებიან)

სორელი

(სასოწარკვეთილი ხელებს იფშვინებს)

თუ იგიც წაევა, ჩვენი მხსნელი ვინდა იქნება!
გამოეკიდეთ, ლა ჰირ, ლა ჰირ, გული მოუღბეთ.

(ლა ჰირი გადის)

კარლოსი

X ნუთუ გვირგვინი სიკეთეა ყველაზე დიდი?
ნუთუ ასეთი საძნელოა, რომ მას გავშორდე?
არა, მე ვიცი, უფრო ძნელი რაც არის ქვეყნად:
დაემორჩილო ამ გულზეიად, ამაყ მბრძანებლებს,
ქვეყნად იცხოვრო მოწყალებით, როგორც ვასალმა,
და ყოველ წუთში გამოსთხოვო მათ შებრალება,—
აი, ესაა უფრო დიდი უბედურება
და უფრო მწარე, ვიდრე ფეხქვეშ გაგქელოს ბეღმა.
(დიუ შატელს, რომელიც კიდევ ყოყმანობს)
რაც მე გიბრძანე. შეასრულე!

დიუ შატელი (დაემხოზა მუხლებზე)

ო, ჩემო მეფევე!

კარლოსი

უკვე გადაწყდა. აღარ დასძრა არც ერთი სიტყვა!

დიუ შატელი

დასდეთ, მეფეო, ბურგუნდიის ჰერცოგთან ზავი,
თორემ მე შენთვის ვერავითარ ხსნას ვეღარ ვხედავ.

კარლოსი

შენ იმას მირჩევ, რომ მე შენი უმწიკვლო სისხლით
ქვეყნისთვის ზავი და მშვიდობა გამოვისყიდო?

დიუ შატელი

აი აქ არის ჩემი თავი. მე იგი ხშირად
გადამიღვია ომში შენთვის და იგი ახლაც
შენი გულისთვის ძალმიძს დავდო ჯალათის კუნძზე.
დაკმაყოფილდეს, დე, ჰერცოგი. მის ღვარძლს ბობოქარს
მსხვერპლად შესწირე ჩემი თავი, რომ ჩემმა სისხლმა
ეს ძველი მტრობა სამუდამოდ ჩაახშოს, მოსპოს!

კარლოსი

(ერთხანს უყურებს მდუმარე და გრძნობამორეული)

ო, ეს რა მესმის! ნუთუ ისე დაბლა დავეცი,

რომ მეგობრები, ჩემს გულში რომ იხედებიან,
სამარცხენო გზას მიჩვენებენ ქვეყნის დახსნისთვის?
ახლა კი ვხედები, სად მიყუყუარ დაბლა დაცემას,
რადგან ჩემ სინდისს აღარავინ აღარ ენდობა.

დიუ შატელი

ასე რად ფიქრობ?

კარლოსი

ნურას მეტყვი! ნუ გამარისხებ!
ის მირჩენია უარი ვთქვა ათ სამეფოზე,
ვიდრე სიცოცხლე გამოვიხსნა მეგობრის სისხლით.—
ახლავე წადი, გააკეთე, რაც მე გიბრძანე,
დატვირთეთ გემი.

დიუ შატელი

შევასრულებ ბრძანებას ახლავ,
ჩემო მეფეო!

(წამოდგება და მიდის. აგნესა სორელი ხმამაღლა ტირის)

მეზვიდე გამოსვლა

კარლოსი და სორელი

კარლოსი (სტაცებს ხელზე ხელს)

ნუ დაღონდი, ჩემო აგნესა!
ლუარს იქითაც მდებარეობს ჩვენი ქვეყანა,
ჩვენც იქით წავალთ, იმ მშვენიერ, ლამაზ მხარეში,
სად ბრწყინავს ზეცა წმინდა, მუდამ მოუღრუბლავი,
ჰქრის გრილი სიო და ჩვენ ხალხის ფაქიზი ჩვევა
გარს შემოგვფარავს. ფრთებსა შლიან იქ სიმღერები,
იქ სიცოცხლე და სიყვარული ლამაზად ყვავის.

სორელი

ნუთუ საშინელ გლოვის დღესაც უნდა შევესწრო!
ჩვენი ხელმწიფე განდევნილი იარებოდეს,
საკუთარ მამის სახლი უნდა დატოვოს შვილმა?
და ასე მშვიდად შეაქციოს მის აკვანს ზურგი?
ო, მშვენიერო, ტუტუბა მხარევე, ჩვენ გტოვებთ ახლა
და მზიარულნი ვერასოდეს ველარ გიხილავთ.

მეჩვე გამოსვლა

ლა ჰირი ბრუნდება. კარლოსი და სორელი

სორელი

მარტო მოდიხართ. დიუნუა კი არ მოიყვანეთ?

(ამასობაში ახლო მიდის და უმზერს)

ლა ჰირ! რა მოხდა, რას ამბობენ თქვენი თვალები?
ხომ არ დაგვატყდა თავს ახალი უბედურება?

ლა ჰირი

უბედურებამ გაიარა, მზე გამობრწყინდა!

სორელი

რა ამბავია? თქვით საჩქაროდ.

ლა ჰირი (მეფეს)

უკან მოუხმე

ორლენის ელჩი.

კარლოსი

რატომ? რისთვის? განა რა მოხდა?

ლა ჰირი

უკან მოუხმე! ბედი ისევ შენს მხარეზეა,
ბრძოლა მოხდა და ამ ბრძოლაში შენ გაიმარჯვე.

სორელი

მან გაიმარჯვა! ო, ამ სიტყვის ციურო ჟღერავ!

კარლოსი

რალაც ყურმოკრულ ამბით მაცდენ შენ, ჩემო ლა ჰირ.
გავიმარჯვეთო?! — აღარა მწამს მე გამარჯვება.

ლა ჰირი

მაღე შენ უფრო დიდ სასწაულს ირწმუნებ, მეფევე.
— აქეთკენ მოდის თვითონ არქიეპისკოპოსი,
უკან მოსდევს მას დიუნუაც.

სორელი

ო, გამარჯვების

ტურფა ყვავილნო, როგორც ზეცის ტკბილი ნაყოფი,
მოგაქვთ სიმშვიდე, შეთანხმება!

მეცხრე ბავოსვლა

რაიმისის არქიეპისკოპოსი. დიუნუა. დიუ შატელა-
რაული, ჯავშნიანი რაინდი. იგივენი

არქიეპისკოპოსი

(მიიყვანს დიუნუას მეფესთან და ხელს ჩამოართმევინებს)

პრინცი, თქვენს მეფეს და დააცხრეთ მტრობა და შური.
რადგანაც ჩვენთვის მოწყალებით გაიხსნა ზეცა.

(დიუნუა ეხვევა მეფეს)

კარლოსი

მე უდიდესი გაცემა და ეჭვი მიპყრობს.
რას მოასწავებს საზეიმო განწყობილება?
ან როგორ მოხდა ამდაგვარი სწრაფი ცვლილება?

არქიეპისკოპოსი

(მიიყვანს რაინდს და წარუდგენს მეფეს)

ილაპარაკე!
ლოტიონი
მოიღ სანი

რაული

მივდიოდით თექვსმეტი დროშით,
ლოტარინგელნი უენი ჯარის მისაშველებლად,
და ბოდრიკური, ვოკულერის გმირი რაინდი,
წინ მიგვიძლოდა. როდესაც კი ჩვენ მივალწიეთ
ვერმანტონის მთებს და იონის ღრმა ხეობაში
როცა დავეშვიტ, ჩვენს წინაშე გადაიშალა
ურიცხვი მტრისგან დაფარული მინდორ-ველები.
დაიწყო ბრძოლა. აღარ გვქონდა დასახევი გზა.
გარშემორტყმულნი აღმოვჩნდით ჩვენ ორი ჯარისგან.
არც გამარჯვების, არც ვაქცევის იმედი გვქონდა;
მაშინ დაეცნენ გულით თვითონ უმამაცესნი
და იარაღის დაყრა სურდათ სასოწარკვეთილთ.
როცა სარდალნი ცდილობდნენ, რომ ეღონათ რამე,
და ველარაფერს ვერ აწყობდნენ — სწორედ იმ დროსა

იშვიათი რამ სასწაული მოხდა ჩვენს თვალწინ!
 ჟღერანი ტყიდან გამოვიდა ერთი ქალწული,
 ვით ომის ქალღმერთს, მუზარადი ეხურა თავზე;
 და თუმცა იყო მშვენიერი, ლამაზი სახის,
 მაინც მოსჩანდა საშიშარი შესახედავად;
 შავს კულულებში ჩაფლულიყო იმისი მხრები,
 ზეცის ნათელი გადაჰკროდა სახეზე თითქოს,
 როცა მოვიდა იგი ახლოს და ასე გვითხრა:
 „მამაცნო ფრანგნო, რას აყოვნებთ! ვეკვეთოთ მტერსა!
 ზღვის ქვიშასავით თუნდ ურიცხვნი იყვნენ ისინი;
 წმინდა ქალწული და თვით ღმერთი თქვენ დაგიფარავეთ!“
 უცებ ალაში გამოჰგლიჯა მედროშეს ჩვენსას,
 ხელში ნაჭერი, და ვაჟკაცის მტკიცე ნაბიჯით
 გაუძღვა ჯარსა, გრიგალივით ძღვევამოსილი.
 ჩვენ კი მდუმარე გაოცებით მივყევით უკან
 დიდებულ დროშას და მედროშეს, სასწაულმოქმედს,
 თავზე დავეციოთ მტერს მებრძოლი მოულოდნელად.
 მტერი უძრავი, გარინდული, შეძრწუნებული,
 გაშტერებული უყურებდა ამ სასწაულსა,
 რასაც ლაშქარი საკუთარი თვალთი ხედავდა.
 მაგრამ, როდესაც ღვთაებრივმა საშინელებამ
 შეიპყრო ყველა ჯარისკაცი, — ზურგი გვაქციეს.
 წამსვე დაჰყარეს იარაღი, მოჰკურცხლეს უკან,
 შიშმორეულნი გაიფანტნენ ბრძოლისა ველზე.
 ველარ უშველეს ვერც სიტყვებმა, ველარც სარდალთა
 მხნე შეძახილმა, შიშისაგან აზრდაკარგული
 გარბოდა ყველა მდინარისკენ სულმოუთქმელად.
 ჩვენ კი მივდევდით გაქციულ მტერს შეუჩერებლად;
 ბრძოლა კი არა, კაცთა ხოცვა და ჟლეტა იყო!
 ორი ათასი გვამი მტრისა დაეცა ველზე
 და მდინარეში რაც დაიხრჩო, ვინღა დაითვლის.
 ჩვენ კი ბრძოლაში ერთი კაციც არ დაგვიკარგავს.

ქ ა რ ლ ო ს ი

ო, ღმერთსა ვფიცავ, იშვიათი სასწაულია!

ს ო რ ე ლ ი

და ერთმა ქალმა ჩაიდინა ეს სასწაული?
 საიდანაა? ვინ არის ის?

რ ა უ ლ ი

თვის ვინაობა

თვითონ მასვე სურს გაუმხილოს მხოლოდ ხელმწიფეს.

ის თავს უწოდებს მისანსა და ღმერთის მოციქულს,

თავის მისნური შეპირებით ის გვარწმუნებს, რომ

იხსნის ორღეანს, სანამ მთვარე კვლავ გაივსება.

ხალხს მისი სჯერა და სუყველას ბრძოლა სწყურია.

ის ჯარს მოჰყვება და თვით მალე გაჩნდება აქა.

(ზარბის რეკვა და იარაღის ხმაური ერთმანეთში ირევა)

გესმით ხალხის ხმა, აბჯრის ჟღერა და ზართა რეკვა?

ისაა, ხალხი ესალმება ღვთისგან მოვლენილს.

კ ა რ ლ ო ს ი (დიუ შატელს)

შემოიყვანეთ!

(არქიეპისკოპოსს)

რაღა უნდა ვიფიქრო ახლა!

ერთმა გოგონამ მომანიჭა მე გამარჯვება,

როცა ჩემი ხსნა, ღმერთის გარდა, არვის შეეძლო.

ო, ეს ბუნების კანონებში არსად სწერია.

მითხარ, მამაო, დავიჯერო ეს სასწაული?

ხ მ ე ბ ი (სცენის უკნიდან)

ვაშა, დიდება ჩვენს მხსნელ ქალწულს!

კ ა რ ლ ო ს ი

აგერ, ის მოდის!

(დიუნუას)

მოდის, დიუნუა, ჩემი ტახტი თქვენ დაიკავეთ!

ეს საოცარი ქალიშვილი მსურს გამოვცადო,

ის თუ ნამდვილად ღმერთისაგან მოგზავნილია,

თვით გამოიცნობს, რომელია ჩვენს შორის მეფე.

(დიუნუა ტახტზე ჯდება, მეფე დგას მის მარჯვნივ. მის გვერდით დგას აგნესა.

სორელი, მათ პირდაპირ—არქიეპისკოპოსი და დანარჩენნი, ისე რომ შუა ადგი-

ლი თავისუფალი რჩება)

მეათე გამოცვლა

ი გ ი ვ ე ნ ი. ჟ ა ნ ა, ო რ ლ ე ა ნ ის მ ო ზ ე ლ ე ე ბ ის და რ ა ი ხ დ ე ბ ის თ ა ი ნ ლ ე ბ ით, ისინი იკავებენ სცენის სიღრმეს. უანა კეთილშობილ თავდაპირთ გამოდის წინ და იქ მდგომთ სათითაოჲ აუვალიერებს

დ ი უ ნ უ ა (რამდენიმე ხნის სიჩქრის შემდეგ)

ო, ეს შენა ხარ, საოცარი ქალწული ჩვენი?

ჟ ა ნ ა

(შეაწყვეტინებს, ბრწყინვალე, დიდებული გამომეტყველებით)

დიუნუა, შენ თვით ღვთის გამოცდა მოგსურვებია!

ადექ აქედან, ეს ადგილი შენ არ შეგფერის,

მე აქ მეფესთან გამომგზავნა მაღალმა ღმერთმა.

(მტკიცე ნაბიჯით მიდის მეფესთან. დაემზობა მის წინ მუხლებზე და ისევ ადგება, უკან დაიწვეს. ყველანი განცვიფრებაში მოდიან: დიუნუა სტოვებს ადგილს და მეფის წინ ცარიელი ადგილი რჩება)

კ ა რ ლ ო ს ი

შენ ხომ ჩემს სახეს ამ კრებულში პირველად ჩედავ,
ვინ მოგცა სიბრძნე შენ ეგეთი გულთამხილავის?

ჟ ა ნ ა

მე იქა ვნახე, სად ღვთის გარდა ვერვინ გხედავდა.

(მიუახლოვდება მეფეს და იდუმალებით აღსავსე ხმით ეუბნება)

მე შენ მეზმანე ამის უწინ პირველ ღამისას,

როს შენს გარშემო ყველაფერი მოეცვა ღრმა ძილს,

როცა წამოსდევ სწრაფად შენი საბრძანებლიდან

და აღავლინე მავედრალი ლოცვანი ღმერთთან.

უბრძანე ამათ, რომ დაგვეტოვონ, და მარტოს გეტყვი.

შენს ყველა ლოცვას.

კ ა რ ლ ო ს ი

რაც მე ზეცას გაეანდე უკვი.

ადამიანთა წინაშე მას მე არ დავმაღავ.

სთქვი, გაამხილე იდუმალი ლოცვა და მაშინ

არ დავეჭვდები, რომ შენ ღვთისგან ხარ მოვლენილი.

ჟ ა ნ ა

რაც შენ წარმოსთქვი მაშინ, იყო სულ სამი ლოცვა.

კარგად მისმინე, ეხლავ გეტყვი მე შენ სამივეს!

პირველი ლოცვით შენ შესთხოვდი მოწყალე ზეცას,
რომ, თუ ოდესმე შენს გვირგვინსა უმუხთოლებს ბედი,
ან დაამძიმებს სხვა რამ დიდი დანაშაული
წარსულთა დროთა, ჯერაც კიდევ მოუნანები,
და გამოიწვევს იგი ომსა, ცრემლით აღსავსეს,
შენ შეგიწიროს მსხვერპლად შენი ხალხის მაგიერ
და მარტოოდენ შენსა თავზე წამოანთხიოს
მისი უსაზღვრო ბოროტებით აღსავსე თასი.

კ ა რ ლ ო ს ი (შეშინებული უკან დაიხვეს)

ვინ ხარ, ძლიერო არსებაო, საიდან მოხვედ?

(ყველა გაოცებულია)

ე ა ნ ა

შენი მეორე სათხოვარი აი რა იყო:

ოდესმე, თუკი, უღიადეს განგების ნებით,

სამეფო კვერთხი შენ შტოს ხელით გამოეცლება

და სუყველაფერს წაგართმევენ, რასაც კი ჰფლობდნენ

ამ სამეფოში წინათ შენი მამა-პაპანი,

სამი სიკეთე შეგარჩინოს ღმერთმა მარტოდენ:

სულის სიმშვიდე, მეგობრები, შენი აგნესა.

(მეფე სახეზე ხელებს იფარებს და ტირის. დამსწრენი დიდად გაოცებულნი
არიან. პაუზის შემდეგ)

ეტქვა შენი ლოცვა მესამე და უკანასკნელი?

კ ა რ ლ ო ს ი

ქმარა! უკვე მწამს! აღამიანს არ ძალუძს ესა,

შენ ღვთაებისგან მოციქულად ხარ მოგზავნილი.

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო ჰ ო ს ი

გვითხარ, ვინა ხარ, საოცარო, წმინდა ქალწულო?

რომელმა მხარემ დაგბადა შენ, ან ვინ არიან

ავითონ ღმერთისთვის საყვარელი შენი მშობლები?

ე ა ნ ა

წმინდაო მამავ, ჟანა არის ჩემი სახელი,

ერთი უბრალო მწყემსი ქალი ვარ წარმოშობით,

დაბადებული ვარ დომ-რემში, ტულის მახლობლად

და მამაჩემის ცხვარს ვმწყემსავდი ბავშვობიდანვე.—

ხშირად მსმენია, რომ კუნძულზე მცხოვრებმა ხალხმა
ზღვა გადმოლახა, შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში,
რომ დაგვიმონოს და მბრძანებლად დაგვისვას კაცი,
ჩვენთვის უცხო და საძულველი ყოველ ფრანგისთვის.
მსმენია ისიც, რომ დაიპყრეს დედაქალაქი,
ძალმომრეობით გაბატონდნენ მთელს სამეფოში.
ამიტომ თხოვნით მე ღვთისმშობელს ვევედრებოდი,
გამოვეხსენით უცხოელთა მონობისაგან
და დაეფარა ჩვენი მეფე კანონიერი.
იმ სოფლის ახლოს, სადაც მე ვარ დაბადებული,
დგას ღვთისმშობელის ძველთაძველი ხატი, რომელსაც
მრავალი სათნო მომლოცავი მოუღის შორით.
და ერთი წმინდა მუხაცა დგას მის სიახლოვეს.
იგი მრავალი სასწაულით არის განთქმული.
მე ამ დიდებულ მუხის ჩრდილქვეშ მიყვარდა ჯდომა,
ცხვარსა ვმწყემსავდი და მწყემსობა გულს იზიდავდა.
თუკი ბატანი რომელიმე გზას დაჰკარგავდა,
მე მის სამყოფელს ვპოულობდი ყოველთვის სიზმრად,
როდესაც მე ამ მუხის ჩრდილქვეშ დავიძინებდი.
— და ერთხელ, როცა მთელი ღამე ვიჯექ ამ ხის ქვეშ,
წმინდა ღვთისმშობელი და ძილგანაკრთობი,
წმინდანის სახით ღვთისმშობელი გამომეცხადა,
მწყემსი ქალწულის სამოსელით, ჩემივე მსგავსად,
ბმალი და დროშა მომიტანა და ასე მითხრა:
„ეს მე ვარ, ჟანა, აღსდექ, ახლავ დატოვე ფარა,
შენ სულ სხვა ფარა გიხმობს აწი სამწყემსავადა!
აილე დროშა, შემოიკარ ეს ხმალი წელზე!
ამითი შენი ხალხის მტრები გაანადგურე.
რაიმსში უნდა მიიყვანო ხელმწიფის შვილი
და საფრანგეთის გვირგვინი მას დაადგა თავზე!“
მე მას მივუგე: როგორ ძალმიძს, ასეთი საქმე
შევასრულო მე, ამ უბრალო მწყემსმა გოგონამ,
გამოუტდეღმა კაცთდამლუპველ, საშიშ ბრძოლებში.
მან კი მომიგო: „უმანკო და ნაზი ქალწული
უდიდეს საქმეს შეასრულებს დედამიწაზე,
თუკი მიწიერ ტრფობას გულთან არ გაიკარებს.
აბა შეხედე, მეც შენებრ ვარ უბიწო ქალი
და ქვეყნად ვშობე ღვთაებრივი მეუფე ხალხთა
და ღვთაებრივი ვარ მეც თავად“. — შეეხო იგი

ჩემს ქუთუთოებს და, როდესაც ზეავიხედე,
ზეცის გულმკერდი საეჟე იყო სერაფიმებით,
რომელთაც ხელში ნაზად ეპყრათ შროშნები თეთრი
და ტებილი ჰანგი იღვრებოდა ჰაერში ლალად.

— და იგი ასე სამი ღამის განმავლობაში
მეველინებოდა და მეტყოდა: „აღსდექი, ეანა!
ნუთუ არ გესმის, სხვა საქმის იგის მოგიხმობს ღჳერთი.“

და როცა იგი მომეველინა მესამე ღამეს,
ასე მომმართა მკაცრი სიტყვით განრისხებულმა:

„მორჩილება ქვეყნად ქალის მოვალეობა,
და მოთმინება მისი ბედის ხვედრია მწარე,
უმძიმეს ღვაწლით მოიპოვებს სულის მხნეობას,
ვინც აქ მსახურობს, ის შეაღებს სამოთხის კარებს.“

ამ ლაპარაკში გადაიძრო მახ ტანსაცმელი
მწყემსი ქალისა და წამოდგა ის ჩემს წინაშე,
როგორც ციური დედოფალი ნათლითმოსილი,
და წარიტაცეს ოქროსფერმა ღრუბლებმა იგი,
გაუჩინარდა იდუმალად ნეტარ მხარეში.

(ყველა ღელავს. აგნესა სორელი მეფის მკერდზე მალავს მტირალ სახეს)

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (მცირე ხნის დუმილის შემდეგ)

ამ ღვთაებრივი, ზეცური ენის წინაშე
უნდა დადუმდეს ყოველგვარი ექვი ქვეყნისა.
საქმე ამტკიცებს, რომ ის ამბობს ქეშმარიტებას;
მხოლოდ ღმერთს ძალუძს სასწაულის მოხდენა ქვეყნად.

დ ი უ ნ უ ა

არა სასწაულს, არამედ მის თვალებს ვუჯერი
და მის სახეზე აღბეჭდილ სრულ უბიწოებას.

კ ა რ ლ ო ს ი

და მე ცოდვილი ღირს ვარ ასეთ მოწყალებისა?
ყოველისმხედველო, შეუმცდარო თვალო, შენ ხედავ
ჩემს სულის სიღრმეს, მორჩილებას ჩემი გულისას.

ე ა ნ ა

ეგ დიდებული მორჩილება ზეცაში ბრწყინავს;
ათავს რომ იმდაბლებ, ამიტომაც ის ავამაღლებს.

4. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ შემიძლია, წინ აღვუდგე ჩემს მტრებსა კიდევ?

ე ა ნ ა

ბაღე საფრანგეთს მე შენს ნებას დავუმორჩილებ!

კ ა რ ლ ო ს ი

და შენ ამბობ, რომ ორლენსაც ვერ წაგვართმევენ?

ე ა ნ ა

უწინ ლუარი აღმისაკენ შემობრუნდება.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ, რაიმსშიაც შევალ ისევ გამარჯვებულნი?

ე ა ნ ა

ათას მტრის გვაშე გავატარებ და იქ შეგიყვან.

(იქ მყოფი რაინდები მრისხანედ არხევენ ფარ-შუბებს და მხნედ გამოიყურებიან)

დ ი უ ნ უ ა

ჩვენ ეს ქალწული დაგვიყენე ლაშქრის წინამძღვრად
და მას გავყვებით ბრმად, საითაც წაგვიყვანს იგი.
გზას გაჭვიკაფავს ბრძოლის ველზე მისნური თვალით
და მის სიცოცხლეს ეს მამაცი ხმალი დაიცავს.

ლ ა ჰ ი რ ი

თუნდ იარაღით აღდგეს ჩვენზე მთელი ქვეყანა,
ვერ შეგვაშინებს, თუ ქალწული წინ გაგვიძღვება.
ქანას მხარეზე იქნება თვით ღმერთი ძღვევისა.
მან წაგვიყვანოს, ვინც ბრძოლაში უძლეველია.

(რაინდები იარაღს არხევენ და წინ გამოდიან)

კ ა რ ლ ო ს ი

წმინდა ქალწულო, წაიყვანე ჩემი ლაშქარი,
მისი სარდლები მზად არიან შენ გმორჩილებდნენ.
და ხმალი ესე, რომელიც ჩვენ ურჩმა სარდალმა
გამოგვიგზავნა უკან თვისი განრისხების ქვამს,
მიხარია, რომ აღმოჩნდება ღირსეულ ხელში.

აჰა, ხელთ იპყარ იგი, ზეცის წმინდა მისანო,
და ამის შემდეგ შენ იყავი...

ქ ა ნ ა

ო, არა, მეფვე!

ეს იარალი ამქვეყნიურ ძლიერებისა
ვერ მიანიჭებს გამარჯვებას მეუფეს ჩემსას.
მე ვიცი ხმალი, რომელითაც მტერს დავამარცხებ.
ადგილს გასწავლი, სად დევს იგი, ვით სულმა მითხრა,
კაცი გაგზავნე ახლავე და მოატანიე.

კ ა რ ლ ო ს ი

სადაა იგი?

ქ ა ნ ა

უძველეს ქალაქ ფირბუაში,
სად სასაფლაო არის წმინდა კატერინასი,
დამარხულია საჭურველი ერთი თალის ქვეშ,
როგორც ნიშანი ძღვევამოსილ ძველ ბრძოლებისა.
იქა დევს ხმალი, ის გამიწევს მე ძმურ სამსახურს.
ხმლის პირზე სამი შროშანია ამოკვეთილი.
მომიტანიე იგი ხმალი, მით გავიმარჯვებ.

კ ა რ ლ ო ს ი

გაგზავნეთ კაცი, შეასრულეთ ის, რასაც ამბობს.

ქ ა ნ ა

მე ბრძოლის ველზე თეთრი დროშა უნდა ვატარო,
შემოქარგული მეწამული ფერის ზოლებით.
ამ თეთრ დროშიდან დედა ღვთისა, წმინდა მარიამ,
თავის მშვენიერ იესოთი უნდა გვიმზერდეს,
მის ფერხთა ქვეშ კი — დედამიწა გამოსახული.
მე ღვთისმშობელი ასეთ დროშით გამომეცხადა.

კ ა რ ლ ო ს ი

რაც გსურს, იქნება...

ქ ა ნ ა (არქიეპისკოპოსს)

ღირსეულო ეპისკოპოსო,
შეახეთ თავზე წმინდა ხელი თქვენს ქალიშვილსა

და შისტვის ზეცას გამოსთხოვეთ ლოცვა-კურთხევა.
(მუხლს მოიყრის)

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

შენ აქ მოხვედი, რომ კურთხევა გაგვიზიარო
და არა ჩვენგან მიიღო ის. ღმერთი გუარავიდეს!
მხოლოდ ჩვენ ყველა უღირსნი და შემცოდენი ვართ.
(ქანა წამოდგება)

მ ს ა ხ უ რ ი

ჰეროლდი გახლავთ ინგლისელთა მთავარსარდლისა.

ქ ა ნ ა

დე, შემოვიდეს, იგი ღვთისგან მოგზავნილია.
(მეფე ანიშნებს მსახურს. მსახური გადის)

მ ი თ ი რ თ ე მ ი მ გამოსვლა

ჰეროლდი. ი გ ი ე ნ ი

კ ა რ ლ ო ს ი

აბა, ჰეროლდო, რას გვაუწყებ, რისთვის მოსულხარ?

ჰ ე რ ო ლ დ ი

რომელი არის აქ თქვენს შორის კარლოს ვალუა,
გრაფი პონტისა, რომელთანაც გამომავგზავნეს?

დ ი უ ნ უ ა

ო, საზიზლარო და უღირსო, მდაბიო ბიჭო,
კანდიერება გყოფინის კიდეც, რომ ფრანგთა მეფე
თავის საკუთარ მიწა-წყალზე არ იცნო მეფედ.
სამოსი გიცავს მოციქულის, თორემ უმისოდ...

ჰ ე რ ო ლ დ ი

საფრანგეთი სცნობს მხოლოდ თავის ერთადერთ მეფეს,
რომელიც ახლა ინგლისელთა ბანაკში ცხოვრობს.

კ ა რ ლ ო ს ი

დამშვიდდი, ბასტარდ. რისთვის მოხვედ, გვაუწყე, ჰეროლდ!

ჰეროლდი

ჩემი სარდალი, ვისაც სისხლის დაღვრა აწუხებს,
ქარქაშში აგებს თვის მრისხანე საომარ მახვილს,
ვიდრე ქალაქი ორლენი დაეცემოდეს,
და მოგიწოდებთ კეთილ ზავზე მოეთათბიროთ.

ქარლოსი

სთქვი.

ქანა (გამოდის წინ)

ნება დამრთე, ჩემო მეფევე, შენი სახელით
ველაპარაკო მე ამ ჰეროლდს.

ქარლოსი

სრული ნება გაქვს.

შენ გადაწყვიტე: ან მშვიდობა, ან ოპი მტერთან.

ქანა (ჰეროლდს)

ვინ გამოგზავნა, შენი პირით ვინ ლაპარაკობს?

ჰეროლდი

გრაფი სალისბურ, ბრიტანელთა მთავარსარდალი.

ქანა

სტყუი, ჰეროლდო, ლორდის ნაცვლად ვერ ისაუბრებ,
რადგან ცოცხლები საუბრობენ და არა მკვდრები.

ჰეროლდი *

ჩემი სარდალი ცოცხალია. თავს კარგადა გრძნობს
და ძალაც შესწევს თვისი მტერი გაანადგუროს.

ქანა

ცოცხალი იყო, როს წამოხვედ, მაგრამ ამ დილით
ორლენიდან ნატყორცნ ისარს ემსხვერპლა იგი,
როს ლატურნელის კოშკით დაბლა იმზირებოდა.

—შენ გეცინება ამ ამბავზე და არა გჯერა?

არა ჩემ სიტყვებს, დაუჯერე შენივე თვალებს!

როდესაც უკან დაბრუნდები ბანაკისაკენ,

წინ მისი ცხედრის პროცესია შემოგეყრება.

ახლა, ჰეროლდო, ის გვიამბე, რაც დაგაბარეს.

ჰეროლდი

თუკი ზენ ძალგის საიდუმლოს ახადო ფარდა,
გეცოდინება მაშინ ესეც, სანამ გეტყოდე.

ჟანა

მე სრულიადაც არ მჭირდება მაგისი ცოდნა.
მაშ მომისმინე ახლა მეც და ჩემი სიტყვები
გადაეც სარღლებს, რომელთაც აქ გამოგაგზავნეს!
— ინგლისის მეფევე, თქვენც, ჰერცოგნო ამპარტავანო,
ბედფორდ და გლოსტერ, ჩვენს ქვეყანას თავს რომ დაესხით!
პასუხი უნდა აგოთ ახლა ღმერთის წინაშე.
დაღვრილ სისხლისთვის ზეცა თქვენგან ანგარიშს ითხოვს.
მაშ მოამზადეთ კლიტეები ყველა ქალაქის,
ძალმომრეობით უსამართლოდ რომ დაიპყარიო!
ქალწული მოდის მაცხოვრისგან გამოგზავნილი,
ის ან მშვიდობას, ან სისხლისმღვრელ ომს შეგთავაზებთ.
ამოირჩიეთ, რაცა გსურდეთ, იცოდეთ თანაც:
ულამაზესი ფრანგთ ქვეყანა იესო ქრისტემ
თქვენ კი არ მოგცათ, არამედ ჩემს ხელმწიფე კარლოსს
და შევა კიდევც ის პარიზში ხელმწიფის დარად,
დიდებულების და მოხარულ ხალხის თანხლებით:
— ახლა კი სწრაფად გასწი ისევ უკან, ჰეროლდო,
რადგან ზენ ვიდრე ახალ ამბით ბანაკს მიაღწევ,
ექვი არაა, იქ გაჩნდება ქალწული უკვე
და ორღეანზე გამარჯვების დროშას აღმართავს.
(იგი გადის, ყველანი გაჰყვებიან)

მეორე მოქმედება

კლდეებით შემოსაზღვრული მიდამო

პირველი გამოცვლა

ტალბოტი და ლიონელი, ინგლისის ჯარის სარდლები. ფილიპე, ბურ-გუნდიის ჰერცოგი და შატონი, ჯარისკაცებით და დროშებით

ტალბოტი

ამ კლდეთა ძირში შეგვიძლია შევჩერდეთ ახლა, რომ მცირე ხნით აქ გავმაგრდეთ და დავიბანაკოთ, აქ შეგვეძლება კვლავ შევკრიბოთ გამოქცეულნი, პირველ შიშისგან რომ დაიბნენ და გაიფანტნენ. მალეობ ადგილზე დააყენეთ კარგნი გუშაგნი! თუმცა გვიფარავს ღვინისაგან უკუნი ღამე, — და თუნდა ფრთებიც გამოისხას სასტიკმა მტერმა, თავდასხმის შიში აქ ჩვენ ახლა არ უნდა გვქონდეს, — მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს, რადგანაც მტერი თავხედობს უკვე და ჩვენ კი ვართ დამარცხებულნი.

(რანდი ფასტოლფი მიდის ჯარისკაცებით)

ლიონელი

დამარცხებულნი! ნულარ იტყვით, სარდალო, ამას. მე ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, ფრანგნი ოდესმე თუ ნახავდნენ ანგლისელთ ზურგებს. — ო, ორლეანო, სამარეო ჩვენი დიდების! აწ შენს ველეებზე განისვენებს პატივი ბრიტთა. ჰოი, წყეულო სამარცხვინო დამარცხებო! ვინ დაიჯერებს მომავალში, რომ ერთმა ქალმა იფრინა ყველა, ვისაც ერთ დროს გაუმარჯვია პუატიესთან, აზინკურთან და თვით კრეკისთან!

ბურგუნდი

და სწორედ ეგლა დაგვრჩენია ჩვენ სანუგეშოდ: კაცმა კი არა, ეშმაკმ გვძლია და დაგვამარცხა.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

არა ეშმაკმა, — თვით ჩვენივე უგუნურებამ.
როგორ, ბურგუნდო, მოჩვენებამ თქვენც შეგაშინათ?
ცრურწმენა არის მაგ სილაჩრის ცული საფარი, —
პირველად ფრანგნი გამოიქცნენ ბრძოლის ველიდან.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ყველა მორბოდა, არავინ არ გაჩერებულა.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

არა, ბატონო! ჯერ თქვენს ფლანგზე დაიწყო იგი.
თქვენ მოიქერით ჩვენს ბანაკში შმაგი ყვირილით:
„თვით ჯოჯობეთი ამდგარაო ჩვენს წინააღმდეგ!“
და ჩვენც ჩაგვყარეთ გამოუვალ შეძრწუნებაში.

ლი ო ნ ე ლ ი

თქვენ ხომ იმას ვერ უარყოფთ, რომ ყველაზე უწინ
გამოიქეცით.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

იმიტომ, რომ ჯერ ჩვენ დაგვარტყეს.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ქალმა გაიგო სუსტი მხარე ჩვენი ბანაკის,
კარგად იცოდა, თუ აქ შიშს სად წააწყდებოდა.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

როგორ? ბურგუნდი დამნაშავე არის ამ მარცხში?

ლი ო ნ ე ლ ი

ინგლისელები მარტონი რომ ვყოფილიყავით,
ღმერთის შეწევნით, ჩვენ ორლენს არ დაგვარგავდით!

ბ უ რ გ უ ნ დ ი

არა — უჩვენოდ თქვენ ორლენს ვერცა ნახავდით!
ვინ გაგიკათათ და მოგცათ გზა ამ სამეფოში,
გამოგიწოდათ მეგობრულად ერთგული ხელი,
როს გადმოსხედით უცხო ქვეყნის სანაპიროზე?

თქვენი ჰენრიხი პარიზში ვინ დაავიროგინა
და ან ფრანგები მას ნეტავ ვინ დაუმორჩილა?
რომ ამ ჩემს მძლავრ მკლავს საფრანგეთში არ მოეყვანეთ,
თქვენ ვერასოდეს, ვერასოდეს ვერა ნახავდით
ფრანგულ ბუხრიდან ამოდენილ ღამისფერ კვამლსა.

ლიონელი

ბრტყელი სიტყვები რომ შევლოდეს, ჰერცოგო, საქმეს,
საფრანგეთს მარტო დაიპყრობდით აქამდე თვითონ.

ბურგუნდი

უკვე შეძრწუნდით, ორლენი რაკი დაჰკარგეთ
და გინდათ ახლა გესლი თქვენი ბოროტებისა
გადმონათხიოთ თქვენს მეგობარ მოკავშირეზე.
თქვენ ეს ქალაქი ანგარებამ დაგაკარგვინათ.
იგი მზად იყო მორჩილებით დამნებებოდა,
თქვენმა შურმა კი ის ხელიდან გამოგვაცალა.

ტალბოტი

ჩვენ განა შენთვის შემოვარტყით ორლენს ალყა?

ბურგუნდი

რაღას იზამდით, ჩენი ჯარით რომ წავსულიყავ?

ლიონელი

არა უარესს იმაზედა, ვიდრე აზინკურს,
სად დავამარცხეთ ბურგუნდიცა და საფრანგეთიც.

ბურგუნდი

არაფრად აგდებთ, როგორც ვატყობ, ჩემს მეგობრობას,
რომელიც ძვირად შეისყიდა რეგენტმა თქვენმა.

ტალბოტი

ღიახ რომ ძვირად, იგი ძვირად დაგვიჯდა დღესაც,
ორლენის წინ — სად დავკარგეთ ღირსება ჩვენი.

ბურგუნდი

გაჩუმდით, ლორდო, თორემ მერე თქვენვე ინანებთ!
ზურგი ვაქციე ჩემი მეფის უწმინდეს ღრმობს,

თავს დავიტეხე გამყიდველის ბილწი სახელი,
განა იმისთვის, რომ უცხოელთ ლანძღვაც ვითმინო?
აქ რას ვაკეთებ? რატომ ვებრძვი ნეტავ საფრანგეთს?
თუკი წილად მხვდა, უმადურებს რომ ვემსახურო,
ჯობს ვემსახურო მას, ვინც ფრანგთა მეფედ შობილა.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

თქვენ ხომ მეფესთან ლაპარაკიც გაგიმართიათ;
ჩვენ ეს შევიტყუეთ და ვიღონებთ კიდეც რაიმეს,
რომ ღალატი თავს ავირიდოთ.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ჰო, ჯოჯოხეთო!
ცილსაც მწამებენ! — წადი ახლავ, ჩემო შატონო,
და წასასვლელად მოამზადე ლეგიონები;
ჩვენს ქვეყანაში დავბრუნდებით.

(შატონი გადის)

ლ ი ო ნ ე ლ ი

გზა მშვიდობისა!
ბრიტის დიდება მაშინ უფრო მეტად ბრწყინავდა,
როდესაც იგი, მის საკუთარ ხმალს მინდობილი,
მარტო იბრძოდა, დამქაშების დაუხმარებლად.
თავის საქმისთვის ყველა თვითონ უნდა იბრძოდეს,
რადგან არ ახსოვს ისტორიას ფრანგების სისხლი,
რომ საკეთილოდ შერეოდეს ინგლისელთა სისხლს.

მ ე ო რ მ გ ა მ ო ს ვ ლ ა

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ზ ა ბ ე ლ ა, მსახურის თანალებით. ი გ ი ვ ე ნ ი

ი ზ ა ბ ე ლ ა

ო, ეს რა მესმის, გთხოვთ გაჩერდეთ, სარდლებო, კმარა!
ეს რა მტრულ ძალას თქვენთვის ტვინი აურევია,
შეუბღალია თქვენი აზრი, ეგოდენ სალი!
ერთსულოვნებას ძალუძს ახლა გადაგვარჩინოს,
ქიშპობა-მტრობით, სიძულვილით კი შეამზადებთ
აუცილებელ და გარდუვალ დალუპვას თქვენსას.
— კეთილო ჰერცოგ! შეაჩერეთ სწრაფი ბრძანება
და თქვენც, დიდებით აღსავსეო სარდალო ტალბოტ,

გთხოვთ შეურიგდეთ თქვენს მეგობარს შეურაცხყოფილს!
მოდიოთ, ლიონელ, დამეხმარეთ, იქნებ როგორმე
დავაშოშმინოთ, შევარიგოთ ამპარტავნები.

ლიონელი

ნუ მთხოვთ, მილედო, ახლა ჩემთვის სულერთი არის,
რადგან ისინი, რომელთა ერთად არ ძალუძთ ყოფნა,
უკეთესია, რომ გაშორდნენ ერთმანეთს მალე.

იზაბელა

როგორ? ცდუნება ჯოჯოხეთის, რომელიც ჩვენთვის
ესოდენ დიდად დამლუპველი იყო ბრძოლის დროს,
ახლაც თავს იჩენს, გონს გვიკარგავს და გვასულელებს?
აქ ჩხუბი მაინც ვინ დაიწყო? მითხარით, ლორდო!

(ტალბოტს)

რატომ ივიწყებთ, რომ ისევ თქვენ მოგიტანთ ვნებას
შეურაცხყოფა ღირსეული მოკავშირისა?
ან რა გსურთ მარტომ გააკეთოთ ამის გარეშე?
ამან დაუდგა საფრანგეთში თქვენს მეფეს ტახტი
და ვით დაადგა თავს გვირგვინი, წართმევაც ძალუძს;
თქვენ მისი ჯარი გიმაგრებთ ზურგს, მისი სახელი.
ინგლისის ყველა მოქალაქე ერთ მშვენიერ დღეს
ჩვენს ქვეყანაში რომ გადმოსხდეს, შემოგვესიოს,
ვერ დაგვიპყრობდით, ერთი პირი თუ გვექნებოდა;
მხოლოდ თვით ფრანგებს შეუძლიათ ფრანგთ დამარცხება.

ტალბოტი

(ერთგულ მეგობრის დაფასება ჩვენ კარგად ვიცით,
მოლაღატეთა აღკვეთა კი ბრძნული საქმეა.

ბურგუნდი

(ვინც მზაკვრულ გრძნობით ერიდება მადლობის თქმასა,
მას თვალთმაქცური სიტყვები არ შემოაკლდება.

იზაბელა

როგორ, ჰერცოგო? შეგიძლიათ ასე ადვილად
გადააბიჯოთ სირცხვილსა და ღირსებას თქვენსას,
ხელი მისცეთ მას, ვინც ღალატით მამა მოგიკლათ?
მხოლოდ უგუნური დაიჯერებს, რომ მეფე კარლოს,

რომელიც თქვენვე მიიყვანეთ დალუპვის კარსა,
გულს მოიბრუნებს და სიწორფელით შეგირიგდებათ.
იქნებ გასურთ კიდევ შეაჩეროთ უფსკრულის პირას
და თქვენი საქმე სულელურად თქვენვე დაჰლუპოთ.
აქ დგანან თქვენი მეგობრები და, მწამს, თქვენი ხსნა
მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთთან კავშირსა და ძალუძს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

არც მიფიქრია შერიგება კარლოს მეფესთან,
მაგრამ სიძულვილს და გულზვიად ყოყლოჩინობას
მე ამ ამაყი ინგლისისას ველარ ავიტან.

ი ზ ა ბ ე ლ ა

მოდით! შეუნდეთ ნაჩქარევი სიტყვები მწარე.
დამარცხებისგან არის იგი გაბრაზებული, —
უბედურება ჩვენ ხომ ყველას უსამართლოდ გვხდის.
მოდით სასწრაფოდ და მიეცით ერთმანეთს ხელი,
სანამდე მტრობა ჯერ კიდევ არ გაღვივებულა.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

რას ფიქრობთ, ბურგუნდ? ალალი და კეთილი გული
სალ განსჯას მუდამ უჯერებს და ემორჩილება.
ჩვენ დედოფალმა ჰკვიანური სიტყვები გვითხრა,
მოიტა ხელი, გააქარვეთ წყრომა გულისა,
რაც მოგაყენათ ჩემმა ენამ მოუთმენელმა.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

აქ იზაბელამ გულსჩამწვდომი სიტყვები გვითხრა,
სამართლიანი ჩემი ბრაზი აწ უკან იხვეს.

ი ზ ა ბ ე ლ ა

კეთილი! მხოლოდ განამტკიცეთ ძმური ამბოროთ
თქვენი კავშირი აღდგენილი და, რაც აქამდე
ცუდად, უკმეხად რამე თქმულა — ქარმა გაფანტოს.
(ბურგუნდი და ტალბოტი ერთმანეთს ეხვევიან)

ლიონელი (უხურებს მათ. თავისთვის)

დიდება ამ ზავს, შურისგების ქალღმერთის ნაყოფს!

იზაბელა

ამ ბრძოლაში ხომ ჩვენ დაემარცხდით, გმირო სარდლებო,
და ჩვენს მხარეზე არ აღმოჩნდა ბედნიერება,
მაგრამ მხნეობა კი არ უნდა დაეკარგოთ ამით.
კარლოს ზეცისგან მფარველობას აღარ მოელის
და ეშმაკის ბნელ ხელოვნებას უხმობს საშველად.
მაგრამ ამაოდ განუწირავს საწყველად თავი,
დალუპვისაგან ჯოჯოხეთიც ველარ დაიხსნის.
მტრის ჯარს ქალწული მეთაურობს ყოვლისმძლეველი,
მე კი მსურს თქვენს ჯარს წინ წავუძღვე იმის მაგიერ
და ვიყო თქვენი წინამძღოლი, თქვენი მისანი.

ლიონელი

დაბრუნდით პარიზს, ქალბატონო. ჩვენ სურვილი გვაქვს,
რომ იარაღით გავიმარჯვოთ და არა ქალით.

ტალბოტი

წადით! დაბრუნდით! მას შემდეგ, რაც თქვენ ბანაკში ხართ,
მტერზე მძლეობა დაეკარგა იარაღს ჩვენსას.

ბურგუნდი

წადით, დაბრუნდით! თქვენი ყოფნა კარგს არ გვიქადის,
მეომარიც კი არ შეგხედავთ კეთილი მზერით.

იზაბელა

(უყურებს ხან ერთს, ხან მეორეს გაკვირვებით)

თქვენაც, ბურგუნდო? თქვენაც ასე ჰქომაგობთ ახლა
ამ უმადურსა, ამპარტავან და ამაყ ლორღებს?

ბურგუნდი

წადით! დაჰკარგავს ჯარისკაცი მტკიცე მხნეობას,
თუკი დარწმუნდა, რომ მან თქვენთვის უნდა იბრძოლოს.

იზაბელა

ძლივს დავამყარე მე თქვენს შორის მტკიცე მშვიდობა,
თქვენ კი კავშირს ჰკრავთ ერთად ახლა ჩემს წინააღმდეგ?

ტალბოტი

წადით, დაბრუნდით! ღმერთი იყოს მფარველი თქვენი.
როდესაც წახვალთ, ეშმაკის არ შეგვეშინდება.

იზაბელა

თქვენი ერთგული მოკავშირე ხომ ვრჩები ისევ?
და თქვენი საქმე ხომ იქნება აგრეთვე ჩემი?

ტალბოტი

მაგრამ თქვენი კი — არ იქნება აროდეს ჩვენი.
ჩვენი მახვილი აღმართულა სამშობლოსათვის.

ბურგუნდი

მე შურს ვძეულობ მამაჩემის დაღვრილ სისხლისთვის,
ჩემს ხმაღს აწმინდებს შვილის წმინდა მოვალეობა.

ტალბოტი

წადით, დაბრუნდით! რაც საკუთარ შვილს თქვენ დაჰმართეთ,
არც კაცთ სიკეთეს, არც სიმართლეს ღვთისას არ ჰფერობს.

იზაბელა

წყევლიმც იყოს ის მეთე შთამომავლამდე,
მან შეურაცყო, შეაგინა თავისი დედა.

ბურგუნდი

შური იძია მამისა და მეუღლისათვის.

იზაბელა

იგი შეიქმნა მსჯავრმდებელი ჩემთა საქმეთა.

ლიონელი

ეგ კი შვილისთვის იყო ძალზე შეუფერები.

იზაბელა

მან მე განმდევნა, ღვიძლმა შვილმა, — მშობელი დედა.

ტალბოტი

რომ მოეყვანა სისრულეში სურვილი ხალხის.

იზაბელა

წყევლიმც ვიყო, თუ ეს საქმე მას ვაპატიო
და ის ვამეფო მისი მამის სახელმწიფოში!

ტ ა ლ ბ ო ტ ი

თქვენ. მსხვერპლად სწირავთ მისი დედის პატიოსნებას!

ი ზ ა ბ ე ლ ა

ო, თქვენ არ იცით, და ვერა გრძნობთ, თქვე სულმოკლენო,
შეურაცყოფილ დედის გულს თუ რა შეუძლია.
ვინაც კარგს მიზამს, იგი მიყვარს, ხოლო ის კი მძულს,
ვინც შეურაცყოფს, თუნდაც იყოს ღვიძლი ძე ჩემი,
მე რომ დავბადე, სიძულვილის ღირსია უფრო,
და სიცოცხლე რომ მივანიჭე, მსურს კვლავ წავართვა.
მან უსინდისო, საზიზღარი ყოყლოჩინობით
შებიღწა მკერდი, რომელსაც ის გამოუზრდია.
თქვენ, რომელნიც ომს აწარმოებთ მის წინააღმდეგ,
არ გაქვთ უფლება და საბაბი, გასძარცოთ იგი.
აბა მითხარით, კარლოსმა თქვენ რით შეურაცყოთ,
რბ დაგიშავათ, იმაზე რომ ამხედრებულხართ?
თქვენ გამოქმედებთ მხოლოდ შური პატივმოყვარე;
მე კი ის უნდა მძულდეს, რადგან მე ვზოხე იგი.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

სწორედ ამ შურისგების გრძნობით იცნობს ის დედას.

ი ზ ა ბ ე ლ ა

ო, საზიზღარო მლიქვნელებო, რარივად მძულხართ,
ქვეყანას თქვენი ვერაგობით ვერ მოატყუებთ!
თქვენ, ინგლისელებო, ხელს რომ იწვდით საფრანგეთისკენ,
ვით ავაზაკნი, უფლებაც კი არა გაქვთ იმის
ერთი მტკაველი მისი მიწაც რომ ძიითვისოთ.
და ამ პერცოგმა, ვისაც კეთილს უწოდებს ხალხი,
თავის სამშობლო, მის წინაპართ სამემკვიდრეო
ურცხვად გაჰყიდა და ჩაუგდო საჯიჯჯნად ხელში
ჩვენი ქვეყნის მტრებს, გადამთიელ ამაყ ბატონებს. —
სიტყვით კი მუდამ გაჰყვირიხართ სიმართლეს ქვეყნად.
— ამიტომ მძულხართ, მლიქვნელებო, დაე, ქვეყანა
მზედაედეს ისეთს, როგორიც ვარ.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ეს მართალია.

თქვენ მტკიცე სულით ინარჩუნებთ სახელს, დიდებას.

იზაბელა

მეც ვნებები მაქვს სხვათა მსგავსად, ჩემს ძარღვებშიაც
დის თბილი სისხლი და მოვედი, ვით დედოფალი,
ამ ქაიყანაზე საცხოვრებლად და არა ლანდად.
ნუთუ მე ჩემი სიხარული უნდა დავმარხო,
რადგანაც ჩემს ნორჩს სიქალწულებს, ვით წყველა ბედის,
შეუკავშირდა ჭკვაზემცდარი, გიჟი მეუღლე.
მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს თავისუფლება;
ვინ შემედაოს მე ამაში? — მაგრამ ან რატომ
ვჩხუბობ მე თქვენთან სამართლიან ჩემს უფლებებზე?
მდორედ დის ხშირი, ცივი სისხლი მაგ თქვენს ძარღვებში,
არა განცხრომას, მრისხანებას იცნობთ თქვენ მარტო!
და ეს ჰერცოგიც მთელ სიცოცხლის განმავლობაში
მერყეობს მუდამ სიკეთეს და სიამოვნების
მას სიყვარული ძალუძს მხოლოდ, სიძულვილს არ სცნობს.
— მე მელუნს წავალ. ამხანაგად დამითმეთ იგი,

(უჩვენებს ლიონელს)

ძალიან მომწონს, თანამგზავრად გამომადგება,
მე მხოლოდ მაშინ შეეასრულებ სურვილებს თქვენსას
და აღარაფერს არ ვიკითხავ მე თქვენს შესახებ.

(იგი თავს დაუქნებს მსახურს და სურს წასვლა)

ლიონელი

იმედი გქონდეთ, დედოფალო, ლამაზ ფრანგ ბიჭებს,
ტყვედ რომ ჩავიგდებთ, მელუნში თქვენ გამოგიგზავნით.

იზაბელა (შემოტრიალდება)

თქვენ მარტო ბრძოლა შეგიძლიათ და ხმალის ქნევა,
ფრანგთ კი ლამაზი საუბარი იციან მხოლოდ.

(გადის)

მისამამ გამოსვლა

ტალბოტი. ბურგუნდი. ლიონელი

ტალბოტი

აი, დიაცი!

ლიონელი

რასა ფიქრობთ, სარდლებო, ახლა?
გავიქცეთ ისევ, თუ სჯობია უკან დავბრუნდეთ,

რომ გაბედული და მამაცი გმირული ბრძოლით
დღეის სირცხვილი ხვალ როგორმე გამოვიწყდით?

ბ უ რ გ უ ნ დ ი

უკვე სუსტნი ვართ, დაქსაქსულნი, ხალხი შეშინდა,
ჩვენი ლაშქარი შიშს მოუცავს და შეძრწუნებას.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

მხოლოდ მაგ შიშმა დააბრმავა თვალები ჩვენი,
ამ საოცარმა წუთიერმა შთაბეჭდილებამ.
მაგრამ სურათი, შემადრწუნებ შიშის აჩრდილი
გაჰკრება წამსვე, ახლოს მივალთ მასთან როდესაც.
ამიტომ ჩემი რჩევა არის, უკან დაებრუნდეთ,
რიყრაყზე ჯარი მდინარეზე გადავიყვანოთ,
მტრის შესახვედრად.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

მოიფიქრეთ...

ლი ო ნ ე ლ ი

თქვენი ნებართვით...

აქ მოფიქრება აღარაა საჭირო, მგონი.
დღეს რაც დავკარგეთ, უნდა სწრაფად კვლავ დავიბრუნოთ,
ან სამუდამოდ დავრჩეთ ასე შერცხვენილები.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ასე გადაწყდეს, ხვალე ჩვენ მტერს შევებრძოლებით
და ქარს გავატანთ მოჩვენებას შიშით შემზარავს,
რომლის მიზეზით მთელი ჯარი დაბრმავებულა;
ამ ქალწულ ეშმაკს გავუსწორდეთ აუცილებლად
და პიროვნული ცხარე ბრძოლა გავმართოთ მასთან.
თუ გაჰბედავს, რომ გამოვიდეს ჩვენს მამაც ხმალთან,
საშინელებას სასტიკ დარტყმით ბოლოს მოვუღებთ,
თუ არა, მაშინ — იცოდეთ, რომ თავს აგვარიდებს —
ჩვენი ლაშქარი ჯადოსაგან განიკურნება.

ლი ო ნ ე ლ ი

დე, აგრე იყოს! მე დამითმეთ, ჩემო სარდალო,
ნება მიბოძეთ. რომ გავიდე იოლ ბრძოლაში.

5. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

სისხლს არც კი დავღვრი, მოჩვენებას ცოცხლად შევიპყრობ
და ბასტარდის წინ, იმისივე შეყვარებულის,
მკლავზე მსუბუქად გადაწვენილს მოვიტან თქვენთან,
ბრიტთა ბანაკში, ჩვენი ჯარის სასიხარულოდ.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ძალიან ბევრსაც ნუ გვპირდებით.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

მას მე შევიპყრობ,
ვფიქრობ, იმას არც ჩემი ხელი მოეფერება,
ახლა წავიდეთ, აღვიდგინოთ მცირედის ძილით
ძალ-ღონე ჩვენი, რაც დღევანდელ ომში დავკარგეთ,
რომ გამოვიდეთ საბრძოლველად გათენებისას.

(გადის)

მეოთხე გავოსვლა

ქანა დროში, მუხარადით და ჯავშნით, მაგრამ ქალურად გადაცმული. დ ი უ-
ნ უ ა, ლ ა ჰ ი რ ი, რ ა ი ნ დ ე ბ ი და ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი. ისინი პირველად გამო-
ჩნდებიან მაღალ მწვერვალზე, შემდეგ ნელა ჩამოდიან კლდეებზე და გამოდიან
სცენაზე

ქ ა ნ ა

(გარშემორტყმულია რაინდებით. ამასობაში მოდიან ჯარისკაცებიც)

უკვე გამოვცდით გუშაგებს და აი, ბანაკიც!
აწ მოიხსენით საბურველი ბნელი ღამისა,
გარს რომ ემოსა თქვენს მდუმარე, ფარულ სიარულს,
დაე, გაიგოს მტერმა უკვე თქვენი აქ მოსვლა
ყიჟინითა და შეძახილით: ღმერთი, ქალწული.

ყ ვ ე ლ ა ნ ი (ყვირიან იარაღის ჩხარუნით)

ღმერთი, ქალწული!

(ისმის დაფდაფების და საყვირის ხმა)

გ უ შ ა გ ე ბ ი

მტერი! მტერი! მტერი მოგვადგა!

ქ ა ნ ა

აქეთ მოიტათ ჩირაღდნები! გადაისროლეთ
ბანაკში ცეცხლი, რომ გამრავლდეს შიში და ძრწოლა.
ყველა შეიპყროს სასიკვდილო მუქარამ მკაცრმა.
(ჯარისკაცები ისწრაფვიან წასასვლელად. მასაც სურს გაჰყვას)

დიუნუა (შეაჩერებს)

შენ. შენი საქმე შეასრულე, ქალწულო, უკვე.
შუა ბანაკში მოგვიყვანე უვნებლად ყველა,
ვერაგი მტერი ასე უცბად ჩაგვიგდე ხელში.
მაგრამ ახლა კი ნულარ გახკალ ბრძოლაში მასთან.
ღე, ჩვენ დაგვითმე, მტრებს ჩვენც კარგად გაუქსწორდებით.

ლაჰირი

შენ ხომ ჩენს ლაშქარს გზა უჩვენე გამარჯვებისა,
წამოგვიმძლვარე დროშა შენი უმანკო ხელით,
მაგრამ მაგ ხელში ნუ აიღებ მრისხანე მახვილს,
ნუ გსურს ცბიერი ომის ღმერთის გამოცდა ამით,
რადგანაც იგი ბრმა არის და შეუბრალები.

ქაბა

ვის შეუძლია შეაჩეროს მრისხანე სული,
მე რომ წინ მიძღვის? მაშ, ისარო, გაფრინდი იქით,
საითაც გტყორცნოს მოისარის მრისხანე ხელმა.
სადაც საფრთხეა, ახლა ჟანაც იქ უნდა იყოს,
არც დღეს და არც აქ მე სიკვდილი არ მიწერია,
ჯერ ჩემს ხელმწიფეს თავს გვირგვინი უნდა დავადგა.
ვერაგი მტერი ვერ მომისპობს სიცოცხლეს, სანამ
არ შევასრულებ იმას, რაც თვით მიბრძანა ღმერთმა.

(გადის)

ლაჰირი

წამო, დიუნუა! უკან გავყვეთ საოცარ გმირ ქალს,
მისი სიცოცხლე დავიფაროთ საკუთარ მკერდით.

(გადიან)

მეხუთემ გამონხვლა

ინგლისელი ჯარისკაცები გადარბიან სცენაზე. შემდეგ ტალბოტი

პირველი

ქალი, ქალი შუა ბანაკში!

მეორე

არ შეიძლება! ჩენს ბანაკში როგორ მოვილა?

მესამე

იქნება ციდან გადმოფრინდა. ეშმაკი შველის.

მეოთხე და მეხუთე
გავიქცეთ ჩქარა! ახლა ყველას სიკვდილი გველის.
(გადიან)

ტალბოტი (შემოდის)

მით აღარ ესპით — გაჩერებაც კი აღარა სურთ!
და მორჩილებაც შიშისაგან გადაავიწყდათ,
თითქოს დასძრაო ჯოჯოხეთმა დაწყევლილ სულთა
ლეგიონები და ყველანი გაგიჟდნენ თითქოს.
ო, ეს რა ხდება, ყველა ერთად: მხდალიც, მამაციც
დამფრთხალი გარბის, აღარ ძალმძის მცირე რაზმიც კი
შემოვიკრიბო, მოზღვავებულ მტერს წინ აღვუღვე,
მთელი ბანაკი უეცარმა შიშმა შეიპყრო!
— ნუთუ მეღა ვარ მარტოდმარტო სრულ ჭკვაზე მყოფი
და ყველა გარბის, თითქოს სჭირდეთ ციებ-ცხელება?
ამ სულმოკლეთა წინაშე ჩვენ უნდა გავრბოდეთ?
ჩვენ ხომ ისინი ოცჯერ ვძლიეთ და დაკაპაუცხეთ.
ვინ არის იგი, ჯერ ვერვისგან დაუძლეველი,
შიშის ქალღმერთი, ვინც უეცრად ბედი ბრძოლისა
შეატრიალა, მხდალი ჯარი გააძვინეარა,
ფრთხალი ქურციკი სასტიკ ლომად გადააქცია?
ამ მატყუარამ, მოვლენილმა გმირის ნიღაბით,
ნამდვილნი გმირნი ნუთუ უნდა შიშით დააფრთხოს?

ჯარისკაცი (შემოვარდება)

ქალი! სარდალო, თავს უშველეთ!

ტალბოტი (ჰკლავს)

ჯოჯოხეთშიამც
გადახვეწილხარ, შე ლაჩარო! ეს ჩემი ხვალი
ყველას გაჰგმირავს, ვინც გაქცევას, ან შიშს მიხსენებს!
(გადის)

ვეეძვსემ გამოსვლა

სცენა იხსნება. მოჩანს ხანძარში გახვეული ინგლისის ბანაკი. მოისმის დაფდაფე-
ბის ხმა. ჯარისკაცები მირბიან, მათ უკან მისდევენ ფრანგები. მცირე ხნის შემ-
დეგ შემოდის მონტგომერი

მონტგომერი (მარტო)

სადღა გავიქცე? ირგვლივ მტერი, სიკვდილი მეფობს!
აქ ეს სარდლები მრისხანე ხმლით გზას გვიღობავენ

და არ გვაძლევენ გადარჩენის საშუალებას.
იქ კი დამლუბველ სიკვდილს სთესავს სასტიკი ქალი
და, როგორც ცეცხლის-მცხუნვარება, მძინვარებს ყველგან,
ირგვლივ არც ბუჩქი, არც მღვიმეა, რომ შევიძალო.
ნეტავ არადროს ეს ზღვა მე არ გადმომელახა,
უბედური ვარ! ფუქმა ფიქრმა ამიყოლია,
ფრანგებთან ომში ვეძებდი მე იოლ დიდებას
და ახლა კი ამ ბრძოლაში მე სიკვდილი მელის. —
ახ, ნეტავ ვიყო მე ჩენს სახლში, სავერნის პირას,
მშობლიურ სახლში, სად მიმელიან მწუხარე დედა
და ახალგაზრდა ნაზი, ტურთა საცოლვე ჩემი.

(შორიდან გამოჩნდება ჟანა)

ვაგლახ, რას ვხედავ! იქ გამოჩნდა საშინელება,
ხანძრის ალიდან მრისხანედ რომ ამოიმართა,
ვით ჯოჯოხეთის შურმგებელი ლამის ჩვენება.
სადღა ვუშველო ახლა თავსა? უკვე შემიპყრო
გულგამგმირავი, სასტიკი და ცეცხლოვან მზერით,
შორით მესროლა თვალთა ბადე აუტღენელი,
ჩემი ფეხები შეიბორკა, ჯადოსნურ ხლართით
შებოკილი ვარ, გაქცევასაც ვეღარ ვახერხებ,
თუმც გული ურჩობს, უნდა მაინც მივაპყრო თვალი
მის გამოხედვას, სასტიკსა და მომაკვდინებელს.

(ჟანა რამდენიმე ნაბიჯს გადმოსდგამს მისკენ და კვლავ შეჩერდება)

მიახლოვდება! მე აქ უნდა შევდგე, სანამდე
თავს დამესხმება, მსურს მუხლებზე შემოვეხვიო
და გამოვთხოვო მე სიცოცხლე — ის ხომ ქალია
და შეიძლება მოარბილოს ჩემმა ცრემლებმა!

(მონტგომერს სურს წავიდეს მისკენ. მაგრამ ჟანა სწრაფი ნაბიჯით წამოვა მის
შესახვედრად)

მეშვიდე გამოცვლა

ჟანა. მონტგომერი

ჟანა

მოკვდი! სიცოცხლე მოგანიჭა შენ ბრიტთა დედამ!

მონტგომერი (დაეცემა მის ფეხებთან)

ო, შეაყოვნე ჩემი მოკვლა, სასტიკო ქალო,
მთლად უმწეო ვარ. გადავყარე ფარ-ხმალი უკვე,

და შენს წინაშე დავცემულვარ ხვეწნით, მუდარით,
შემინარჩუნე მე სიცოცხლე და დღე ნათელი,
მამაჩემისგან ჩემს სანაცვლოდ მიიღე ფული.
მდიდრულად ცხოვრობს ის ვალისის ლამაზ მხარეში,
სადაც სავერნი ვერცხლისფერად მიექანება.
იქ მამაჩემი ორმოცდაათ სოფელს მბრძანებლობს,
თავის საკუთარ შვილისათვის ბევრ ფულს გაიღებს,
თუ გაიგო, რომ ცოცხალი ვარ ფრანგთა ბანაკში.

ქ ა ნ ა

მოსტყუებულხარ, დაღუპულხარ, სულელო ბიჭო!
შენ უღმობელი ქალის ხელით სიკვდილი გელის.
მისგან არ არის ხსნა, იმედი გადარჩენისა.
შენ რომ ნიანგის ხარბ ხახაში ჩავარდნილიყავ,
მოხვედრილიყავ დაუნდობელ ვეფხვის თათებში,
ან მოგეტაცა ძუ ლომისთვის მისი ლეკვები, —
კიდევ შეგეძლო მოწყალება გეპოვა მათთან,
მაგრამ ქალწულთან შეხვედრა კი უფრო მძიმეა,¹
რადგანაც ღმერთთან მკაცრთანა და მიუწვდომელთან
მე ფიცი დავდე საშინელი, შევპირდი ასე:
რომ ყველა მოვსპო ამ ბრძოლაში, ვისაც კი იგი
საბედისწეროდ გამოგზავნის ჩემს შესახვედრად.

მონტგომერი

საშინელია ეგ სიტყვები, მაგრამ თვალები
არა გაქვს ეგრე საშინელი, როს ახლოს გიმზერ.
გული შეიპყრო სიყვარულით მაგ ნაზმა სახემ,
ჰოი, გაფიცებ შენს ნაზ სქესსა და სიქალწულეს,
რომ შეიბრალო ჩემი სიყრმე, ნუ გამიმეტებ!

ქ ა ნ ა

ჩემს სქესს ნუ ჰფიცავ და მე ქალსა ნულარ მიწოდებ!
იმ უსხეულო სულის მსგავსად, რომელიც არ სცნობს
ამქვეყნიურსა შეუღლებას, არ ვგვევარ ქალებს!
და ეს ჯავშანი თავის შიგნით გულს არა ჰფარავს.

მონტგომერი

ჰოი, გაფიცებ კანონიერ, წმინდა სიყვარულს,
რომელსაც კრძალვით თაყვანს სცემენ კაცთა გულები!

ტურფა საცოლვე სამშობლოში მყავს დარჩენილი,
ისე როგორც შენ, სილამაზით აყვავებული,
ის ელის თავის შეყვარებულს ცრემლმორეული.
თუკი შენ თვითონ სიყვარულით გიფეთქავს გული
და იმედიც გაქვს დასტკბე მითი, ნუ განაშორებ
ორ გულს, რომელნიც ასე წმინდად შეერთებულან.

ქ ა ნ ა

შენ მისახელებ ამქვეყნიურ, უცხო ღვთაებათ,
რომელთაც წმინდად, პატივცემის ღირსადაც არ ვთვლი,
და სიყვარულის წმინდა კავშირს რომ მეფიცები,
მისი კანონი არასოდეს მეცოდინება.
დაიცავ თავი და სიცოცხლე, სიკვდილი გიხმობს.

მონტგომერი

მაშ, შეიცოდვე გულმწუხარე მშობლები ჩემი,
სახლში რომ დამრჩნენ, მშობლები ხომ დასტოვე შენაც,
ახლაც მზრუნველად და კეთილად რომ სწუხან შენზე.

ქ ა ნ ა

ო, უბედურო! გამახსენე ახლა მშობლები!
რამდენი დედა დაუტოვეთ ფრანგებს უშვილოდ,
რამდენი ბავშვი დაარჩინეთ უმამოდ, ობლად.
რამდენი ქალი დააქვრივეთ და დააგლოვეთ!
ბრიტთა დედებმაც მწუხარება უნდა იგემონ,
უნდა გაიგონ, თუ რას ნიშნავს ტირილი, ცრემლი,
რომლითაც ახლა აღსავსეა ფრანგთა ქვეყანა.

მონტგომერი

უქირისუფლოდ მძიმე არის სიკვდილი სხვაგან.

ქ ა ნ ა

ვინ მოგიხმობთ ამ მშვენიერ და უცხო მხარეში,
ჩვენი სიმდიდრე მოგეთხარათ, ფეხქვეშ გაგეგოთ,
მშობელ კერიდან გაგედევნეთ და ომის ხანძრით
გადაგებუგათ ქალაქები მშვიდი და წყნარი?
თქვენ ოცნებობდით თქვენი გულის ფუჭი წადილით
ასე უსირცხვოდ დაგემონათ ლალი ფრანგები
და ეს ქვეყანა, ვრცელი მხარე, ვით მცირე ნაგი,
მაგრად მიგებათ ინგლისის დიდ, ამაყ ხომალდზე!
თქვე სულელებო! სამეფო ღერბს საფრანგეთისას

თვით ღმერთი იცავს; უფრო მალე მოსწყვეტთ ზეციდან
ვარსკვლავსა, ვიდრე ერთსა სოფელს ამ სამეფოდან,
რომელთან იგი არის მარად განუყოფელი.

დაჰკრა საათმა შურისგების და ველარც ერთი
ცოცხალი მშვიდად ვერ გასცურავს ამ წმინდა ზღვასა,
რომელიც ღმერთმა მოათავსა ჩვენ ორთა შორის
და რომელიც თქვენ უკანონოდ გადმოგილახავთ.

მონტგომერი (გაუშვებს ჟანას ხელებს)

მაშ, უნდა მოგკვდეთ? მაშ, სიკვდილმა უნდა მიმიღოს?

ჟანა

მოკვდი, ძმობილო, რატომა თრთი ასე ლაჩრულად
ამ გარდუვალი სიკვდილის და ბედის წინაშე?
აი, შემხედვე, მე უბრალო მწყემსი გოგო ვარ,
ხმალს არ ყოფილა მიჩვეული ეს ჩემი ხელი,
რომელიც მხოლოდ ნწყენის კომბალს დაატარებდა,
მაგრამ მშობლიურ ველების გზას გადაცდენილმა,
მოშორებულმა მამის მკერდს და საყვარელ დებსა,
ახლა უნდა შენ, — ო, შე მიწვევს ღვთაებრივი ხმა, —
დაგამწუხრო და წუთისოფელს გაოგასალმო.
არ მიხარია ხალხს ველეტავედ საზარელ სახით,
სიკვდილს ვთესავდე, მეც იმასვე ვემსხვერპლო ბოლოს.
მშობლიურ სახლში დაბრუნებას ვერ შევესწრები,
ჯერ კიდევ მრავალს წუთისოფელს გამოგასალმებთ,
და დაქვრივებულ ინგლისელ ქალთ შეემოსავ თალხით.
მაგრამ ასევე აღსრულდება თვით ჩემი ბედიც.
შენც აღასრულე შენი ბედი, აიღე ხმალი
და შეგებრძოლოთ ერთურთს ტკბილი სიცოცხლისათვის.

მონტგომერი (დგება)

თუ მომაკვდავი ხარ შენც ჩემებრ და იაბალი
შენც გიკარება, შეიძლება ჩემი მახვილით
ემშაკს შეგწირო, ჩვენს გასაპირს მოვულო ბოლო,
ან მოწყალე ღმერთს შევეწირო უმანკო მსხვერპლად.
შენ კი ჯოჯობხეთს შეევედრე, რომ დაგიფაროს,
წყუფლო ქალო, დაიცავი სიცოცხლე შენი!

(ხელს სტაცებს ფარ-ხმალს და თავს დაეხმება ჟანას. შორიდან მოისმის საომარ-
რი მუსიკა. მალე მონტგომერი მკვდარი დაეცემა ძირს)

მეორე გამოსვლა

ქ ა ნ ა (მარტო)

საკუთარ ფეხით მოხვედი შენ თვითონ სიკვდილთან!
(გაეცლება და დაფიქრებული შეჩერდება)

ჰოი, წმინდანო, ძლიერებას მანიჭებ რარიგს.
გამოუცდელ ხელს მხედრის ღონით აიარაღებ
და ჩემს ქალურ გულს ხდი ესოდენ შეუბრალებელს.
როს სიბრალულით აღმართული ხელი კანკალებს,
თითქოს ანგრევდეს წმინდა ტაძრის უცხო შენობას,
როცა მტრის სხეულს უნდა ხმლითა ბოლო მოუღოს,
რკინის მახვილის ელვარება შეაკრთობს ჩემს სულს, —
მაგრამ მაშინვე მეუფლება ძლიერი ძალა
და მახვილი გზას თვითონ იგნებს მითროლარე ხელში,
შთაებერაო თითქოს ხმაღსაც ცოცხალი სული.

მესამე გამოსვლა

რ ა ი ნ დ ი ნიღაბით. ქ ა ნ ა.

რ ა ი ნ დ ი

წყეულო, შენი აღსასრულის საათმა დაჰკრა,
შენ დაგეძებდი ასე დიდხანს ამ ბრძოლის ველზე;
ჰოი, წყეულო ქმნილებო! კვლავ გაემგზავრე
ჯოჯოხეთისკენ, საიდანაც შენ ამოსულხარ.

ქ ა ნ ა

ვინ ხარ, რაინდო, ნუთუ ჩემთან ბოროტმა სულმა
გამოგაგზავნა შესახვედრად? ჩანს, თავადი ხარ,
არც ბრიტანელი უნდა იყო, რადგან შენს ფარზე
მხოლოდ ბურგუნდის ღერბი არის ამოკვეთილი,
რომლის წინაშე ჩემი ხმალი დაბლა ეშვება.

რ ა ი ნ დ ი

შეჩვენებულო, არც შეგფერის ძირს რომ დაეცე
თავადის ხმალით, რადგან შენი წყეული თავი
უნდა მოჰკვეთოს საზიზღარი ჯალათის ცულმა,
და არა ჰერცოგ ბურგუნდისა მეფურმა ხმაღმა.

ჟანა

მაშ ეს შენა ხარ თვით ჰერცოგი კეთილშობილი?

რაინდი (აიწვევს ნილას)

მე ვარ, საბრალოვ, მაშ — შეიძრწუნდი და აცახცახდი,
ველარ დაგიცავს ხელოვნება ეშმაკეული.

შენ ერეოდი და ხოცავდი სუსტსა და ლაჩრებს,
ახლა კი შენს წინ დგას მამაცი...

მმათე გამოსვლა

დიუნუა და ლა ჰირი. იგივენი

დიუნუა

შესდექ, ბურგუნდო!

უნდა იბრძოლო მამაკაცთან და არა ქალთან.

ლა ჰირი

ჩვენ ვიცავთ ქალწულს, ჩვენი მისნის უწმინდეს თავსა,
შენმა მახვილმა ჯერ ეს მკერდი უნდა განგმიროს.

ბურგუნდი

არ შეშინია არც ამ ეშმაკ ჯადოქარისა
და არცა თქვენი, მონებად რომ გადუქციევიხართ.
გრცხვენოდეს, ბასტარდ, და შენც, ლა ჰირ, უნდა გრცხვენოდეს,
რომ თქვენი ძველი სიმამაცე შეურაცყავით
წყეულ ეშმაკის ჯადოსნური ხელოვნებისგან,
მისი საჭურვლის მტვირთველებად გადაიქცით.
გამოდით, ყველას ხმალში გიწვევთ, ვინც ღვთის ძალისგან
ხსნას არ მოელით და ისწრაფით ეშმაკისაკენ.

(იშიშვლებენ ხმლებს საბრძოლველად. ჟანა შუაში ჩაუდგება)

ჟანა

შეჩერდით!

ბურგუნდი

უკვე თრთი მაგ შენი მიჯნურისათვის?
ის შენს თვალთა წინ უნდა ახლა...

(მივარდება დიუნუას)

უ ა ნ ა

შეჩერდით ახლავ!

ლა ჰირ, სასწრაფოდ გააშველე — აქ ფრანგთა სისხლი არ დაიღვაროს, ხმლით ეს ჩხუბი არ გადაწყდება, რადგან სხვა არის განაჩენი მაღალი ზეცის — სულ სხვაა, ვამბობ, მომისმინეთ და დაერწმუნეთ იმ სულს, რომელიც ჩემზე მეფობს, ჩემში ლაღდება.

დ ი უ ნ უ ა

რატომ აჩერებთ ჩემს მკლავს უკვე აღმართულს მტერზე და სისხლიანსა განაჩენსა ჩემი ხმლისასა? ის ქარქაშიდან იმისათვის ამოიწვავდა, რომ საფრანგეთის ვერაგ მტერზე ეძია შური.

უ ა ნ ა

(ჩადგება შუაში და დიდი სივრცით გააცალკევებს. დიუნუას) გადექი განზე!

(ლა ჰირს)

ნურას იტყვი, დადექი ჩუმად!

ახლა ბურგუნდის ჰერცოგთანა მე ვლაპარაკობ.

(ყველანი სდუმან)

რას შვრები, ბურგუნდ? რომელია აქ შენი მტერი, შენი თვალები სასიკვდილოდ რომ დაეძებენ? აი, ეს პრინცი საფრანგეთის შვილია შენებრ და ეს მამაციც არის შენი თანამებრძოლი და მე თვითონაც ქალწული ვარ შენი ქვეყნისა. ჩვენ აქ ყველანი, სასიკვდილოდ რომელთაც გვდევნი, შენვე გეკუთვნით. მზად არიან ჩვენი მკლავები შემოგეხვიონ სიყვარულით. ჩვენი მუხლები მოიყრებიან შენს წინ კრძალვით. და ჩვენი ხმალი შენს წინააღმდეგ დაჩლუნგდება; ღირსეულია ეგ სახე ჩვენთვის, თუნდაც ემაგ მტრის მუზარადში, რომელიც ჩვენი მეფის ძვირფას ნიშნებს ატარებს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ტკბილი სიტყვების ყალბი ჟღერით მოგსურვებია, რომ, ჯადოქარო, შემიპყრო და მომაჯადოვო. მაგრამ შენ ამით ვერასგზით ვერ გამასულღებ. მაგ სიტყვებისთვის დახშულია ყურები ჩემი

და შენთა თვალთა ცეცხლოვანი ისრები სწრაფი
მიზანს ვერ აღწევს, ჩემი მკერდის ჯავშანზე სხლტება.
ხელი მოჰკიდე იარაღსა, გიჯობს, დიუნუა,
არა სიტყვებით, არამედ ხმლით უნდა ვიომოთ.

დიუნუა

დაე, ჯერ სიტყვა — შემდეგ ბრძოლა! რად გეშინია
შენ სიტყვებისა? ეგ სილაჩრე სიტყვის წინაშე
იმას ნიშნავს, რომ შენს მხარეზე სიმართლეს არ გრძნობ.

უანა

ჩვენ შენს წინაშე გაჰირვებამ არ მოგვიყვანა;
არა, არ ვითხოვთ შებრალებას მოსულნი შენთან.
მიმოიხედე, თქვენი საქმე წასულა უკან,
ბრიტთა ბანაკი თავის სიხლის ზორევეში ცურავს
და თქვენი მკედრებით ბრძოლის ველი დაფარულია.
ყოველგან გვესმის საომარი საყირი ფრანგთა.
ღმერთმა ისურვა: გამარჯვება რომ ჩვენი იყოს.
მაგრამ რტოები, მოტეხილი დაფნის ღეროდან,
გვინდა, რომ შენთან მეგობრულად გავინაწილოთ.
— ო, დაგვიბრუნდი, მოღალატევე კეთილშობილო,
გადმოდი ჩვენსკენ, სად სიმართლე, გამარჯვებაა.
მე თვითონ, ღვთისგან მოციქულად გამოგზავნილი,
ხელს გიწვდი, როგორც მეგობარი, მინდა დაგიხსნა,
შეგირიგო და ჩვენს მხარეზე გადმოგიყვანო.
თვით ზეცაკ ფრანგთა მხარეზეა. ანგელოზები, —
რომელიც შენ ჯერ არ გინახავს, — მეფეს შევლიან.
როგორც ეს დროშა, ჩვენი საქმეც მხისებრ თეთრია,
წმინდა ქალწული არის მისი მხსნელი სიმბოლო.

ბურგუნდი

დახვანჯულია ეგ სიცრუით საესე სიტყვები,
მაგრამ მაგ პირით თითქოს ბავშვი ლაპარაკობდეს.
უბიწოება აკერია ეშმაკსაც პირზე
და ჰბაძავს იგი ზეცის სადა უმანკობას.
მე აღარა მსურს მოგისმინო, იშიშვლე ხმალი,
ჩემი ყურები, ვით მკლავები, ვგრძნობ, რომ სუსტდება.

უანა

შენ მე მიწოდებ ჯოჯობეთის ბოროტ მოციქულს,
მაგრამ მითხარი, დაზავება, მშვიდობის თხოვნა

თუ მიგაჩნია ბოროტ საქმედ ჯოჯოხეთისა?
ნუთუ თანხმობა იბადება მის სიბნელიდან?
აბა რა არის მასზე კარგი, წმინდა, უბიწო,
იბრძოდე შენი სამშობლოსთვის, შენი ხალხისთვის?
აბა მითხარი, როდის მოხდა ეს სასწაული,
რომ თავის საქმე, ეგზომ წრფელი, უარპყო ზეცამ
და დაუტოვა დასაცავად ის ეშმაკებსა?
განა ეს საქმე, რასაც ვამბობ, შეიქნებოდა
ეგოდენ წმინდა, რომ შეეთხზათ ზეცის გარეშე?
ან ვის შეეძლო ჩინს სამწყსოში ჩამოსულიყო,
რომ განემარტა ჩემებრ მწვემისი გოგონასათვის
იღუმალება, სიდიადე მეფურ საქმეთა?
მე არასოდეს არა ვმდგარვარ მეფეთ წინაშე,
უცხოა ჩემი ენისათვის ლამაზი სიტყვა,
მაგრამ ახლა კი ეს მჭირდება, რომ დაგარწმუნო,
და ვფლობ გონებამახვილობას მაღალ საქმეთთვის,
ჩემი ბავშვური მზერისათვის ისე, როგორც მზე,
ნათელი არის მეფეთა და ქვეყნების ბედი.
და ჩემი სიტყვა ელვის ისრად გადაქცეულა.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

(უეცრად ათრთოლდება და გოცებით გულაჩუყებული ათვლიერებს ენას)
რა მემართება? ეს რა მომდის? ეს თვით ღმერთთა,
ჩემს მკერდში გული ასე სწრაფად რომ დააწყნარა!
ნუთუ არ ცრუობს ეს მთრთოლარე ქალის ჩვენება!
იგი არაა ჯადოქარი, მე რომ მიმონებს,
არამედ მიქცევს გავლენაში ძლიერი ზეცა,
და გული მიგრძნობს, რომ ის ღმერთის მოციქულია.

ე ა ნ ა

იგი ათრთოლდა. მე ამოდ არ მილოცია,
მისი შუბლიდან ეს მწუხარე შავი ღრუბლები
გადაიყარნენ, გაიფანტნენ ცრემლების ფრქვევით
და ახლა უკვე მშვიდი მხერა მისი სახიდან
დაწყნარებული მისი გრძნობის თეთრ ნათელს აფრქვევს...

— ჩააგეთ ხმლები და ერთმანეთს გადავეხვიოთ —
მას ცრემლი მოსდის, გვმორჩილდება, იგი ჩვენია!

(ენას ხმალი და დროშა ხელიდან გაუცვივა. მკლავებგაშლილი გაეჩანება ჰერცო-
გისკენ და აღელვებული გადაეხვევა. ლა ჰირი და დიუნუა დაპყრიან ხმლებს და
ისინიც ჰერცოვის მოსახვევად მიეშურებიან)

მისამე მოქმედება

მეფის სასახლე შალონში, მარნის სანაპიროზე

პირველი გამოცვლა

დიუნუა და ლაჰირი

დიუნუა

ჩვენ გულითადი მეგობრები ვიყავით ომში,
ერთი საქმისთვის გამოვიღეთ ორივემ ხელი,
მრავალს სიკვდილს და გასაქირში ერთად ვყოფილვართ
და ნუთუ ქალის სიყვარულმა უნდა გაგვეპაროს,
დღემდე ცვალებად ბედისაგან განუშორებნი?

ლაჰირი

მისმინეთ, პრინცო!

დიუნუა

საოცარი იგი ქალწული,
ვიცი რომ გიყვართ, ისაც ვიცი, რასაცა ჰფიქრობთ.
მოსულხართ ახლა ხელმწიფესთან, რომ გამოსთხოვოთ
იმისი ხელი — თქვენს მამაცურ დამსახურებას,
არ შეიძლება, რომ კარლოსმა უარი უთხრას.
მაგრამ იცოდეთ — სანამ იმას მე სხვისა ხელში
დავინახავდე...

ლაჰირი

მოისმინეთ, პრინცო!

დიუნუა

მე მასში

მიზიდავს არა ელვარება მის ლამაზ თვალთა.
ჯერ არასოდეს შემხვედრია ისეთი ქალი,
მას შეეძაროს მომხიბვლელი სულის მხნეობით.
იგი ღვთაების მოციქულად მოვიდა ქვეყნად,

რომ საფრანგეთი დალუპვისგან გადაარჩინოს.
ნახვისთანავე დაემონა მას ჩემი გული
და წმინდა აღთქმა დავდე, რომ ის ცოლად შემერთო.
მამაცი კაცის მეგობრობას შეიძლებს მხოლოდ
გულადი ქალი და სახმილით აღზნებულ გულში
მინდა მსგავსივე შეუდრეკი მკერდი ჩავიკრა.

ლ ა ჰ ი რ ი

ვით შემიძლია ჩემი მცირე დამსახურებით,
რომ შევედარო შენს სახელს და გმირულ დიდებას!
სადაც დიუნუა აღმართულა მიუვალ კედლად.
იქ მორჩილებით უბრძოლველად დასთმობს ყოველი.
მგვრამ მდაბიო მწყემს გოგონას ვით შეუძლია
შეიქნეს თქვენი საკადრისი, ღირსი მეუღლე.
სათაკილოა თქვენს ძარღვებში ნჩქეთვარ მეფურ სისხლს
მდაბიო სისხლი შეერიოს მწყემსი გოგოსი.

დ ი უ ნ უ ა

იგი ბუნების ღვთაებრივი წმინდა ბავშვია,
ისე როგორც მე, და ჩემივე თანასწორია.
თვით მეფის ხელის ღირსეულიც კი არის იგი,
რადგან ის არის ანგელოზთა უმანკო სარძლო.
და მისი თავი შემოსილი ღვთაებრივ შუქით
თვით ამქვეყნიურ გვირგვინზეც კი უკეთა ბრწყინავს.
ამქვეყნიური დიდებაც კი, უზენაესი,
იმის წინაშე უმაქნისი, პატარა მოჩანს.
დაადგით ერთურთს სამეფოთა ყველა ტახტი, და
ააგეთ თუნდაც მოციმიციმე ვარსკვლავებამდე,
იმ სიმაღლემდე ვერასოდეს მიაღწევთ მაინც,
სადაც დგას იგი ანგელოზურ დიდებულებით.

ლ ა ჰ ი რ ი

დაე, ხელმწიფემ გადაწყვიტოს.

დ ი უ ნ უ ა

არა, მან თვითონ.

მან ჩვენს სამშობლოს მიანიჭა თავისუფლება
და მისი გულიც უნდა იყოს თავისუფალი.

ლ ა ჰ ი რ ი

აგერ, თვით მეფეც!

მეორე გამოსვლა

კარლოსი. აგნესა სორელი. დიუ შატელი და შატონი.
იგივენი

კარლოსი (შატონს)

მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ის აქ მოდის და სურს კიდეც
ხელმწიფედ მიცნოს, მომცეს ფუცი ერთგულებისა?

შატონი

ღიას, მეფეო, შენს სატახტო ქალაქ შალონში
მბრძანებელს ჩეჰსას შენს ფეხებთან სურს რომ დაემხოს.
მან მე მიბრძანა, რომ გადმოგეცე მისი სალაში
მდაბლად და კრძალვით, როგორც ბატონს და მისსა მეფეს.
იგი ფეხდაფეხ მომდევს და აქ მალე გაჩნდება.

სორელი

იგი აქ მოვა! ჰოი, ამ დღის მზევ მშენიერო,
ჩენთან რომ მოგაქვს სიხარული, ზაკი, მმვილობა.

შატონი

ორი ათასი რაინდითა, ჩემი ბატონი
მუხლებზე კრძალვით დაემხობა, მეფეო, შენს წინ,
მაგრამ ის ელის, რომ მას ცუდად არ მოეპყრობი,
გადაეხვევი მეგობრულად ვით საკუთარ ძმას.

კარლოსი

მღელვარედ ელის ჩემი გული მასთან შეხვედრას.

შატონი

ჰერცოგი ვთხოვს, რომ ძველი მტრობა გადაივიწყო
და პირველივე ნახვისთანავე ერთი სიტყვითაც
არ გაიხსენო.

კარლოსი

დავიწყებას მივეცი უკვე

შე ის წარსული სამუდამოდ, რადგანაც ახლა
უნდა მომავლის ნათელ დღეებს ვუმზიროთ მხოლოდ.

შატონი

გარდა ამისა შუამდგომლობს ჩემი ბატონი,
რომ შეივრდომებ, აპატიებ ყველა მისიანს.

კარლოსი

ყველას, მეც მინდა გაეამრავლო სამეფო ჩემი.

შათიონი

თვით დედოფალი იზაბელაც უნდა შეივრდო
და შეირიგო, თუკი ამას იგი ინებებს.

კარლოსი

ჩემს წინააღმდეგ ის იბრძოდა და მე კი — არა,
თუ მოისურვებს, ჩვენი ბრძოლაც უმალ შესწყდება.

შათიონი

და თორმეტ რაინდს შენი სიტყვის თავდებად ითხოვს.

კარლოსი

წმინდაა ჩემი სიტყვა.

შათიონი

არქიეპისკოპოსმა

ეს სიტყვიერი დაზავება შენს და მას შორის
ორთავ მაგიერ ფიცით უნდა დაადასტუროს.

კარლოსი

დე, ვეზიარო ამ ზეციურ ბედნიერებას,
ჩემი გული და ჩემი სიტყვა ერთი იქნება.
რალა საწინდარს ითხოვს კიდევ ჰერცოგი ჩემგან?

შათიონი

(გადახედავს დიუ შატელს)

აქ ვხედავ ერთსა, შეიძლება მისმა დასწრებამ
თქვენი შეხვედრა ჩააშხამოს.

(დიუ შატელი მიდის აჩქარებით)

კარლოსი

წადი, დიუ შატელ!

სანამ ჰერცოგს არ შეეძლება შენი დანახვა,
გთხოვ არ გამოჩნდე სასახლეში მის აქ ყოფნის დროს.

(თვალს გააყოლებს, შემდეგ უკან დაედევნება და გადაეხვევა)

6. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

ჩემო ერთგულო მეგობარო, შენ უფრო მეტი
გინდოდა ჩემი სიმშვიდისთვის, ვიდრე ეს ზავი!..
(დიუ შატელი გადის)

შ ა ტ ი ო ნ ი

სხვა მუხლებს, მეფევე, ეს ეტრათი შეგატყობინებს.

კ ა რ ლ ო ს ი (არქივისკოპოსს)

წესი ააგეთ! ყველაფერზე შევთანხმდით უკვე;
ამ მეგობრისთვის არაფერი არ უნდა გგშურდეს.
წადით, დიუნუა! წაიყოლეთ ასი რაინდი
და მეგობრულად შეეგებეთ მომავალ ჰერცოგს.
მწვანე შტოების გვირგვინებით მოირთოს ყველა
და ისე შეხვდნენ ჯარისკაცი შერიგებულ ძმებს.
ქალაქიც მორთეთ საზეიმოდ, თვალმიშინდევალად.
დაე, ზარების გუგუნმა მთელ ქვეყანას ამცნოს,
რომ საფრანგეთი და ბურგუნდი კვლავ ერთდებიან.
.. (შემოდის მსახური. ისმის საყვირების ხმა)
გესმით? ნეტავი რასა ნიშნავს ეგ საყვირის ხმა?

მ ს ა ხ უ რ ი

ქალაქში უკვე შემოვიდა ჰერცოგი ბურგუნდი.

(გადის)

დ ი უ ნ უ ა

(მიდის ლა ჰირთან და შატერთან ერთად)

წამო, წავიდეთ შესახვედრად!

კ ა რ ლ ო ს ი (სორელს)

სტირი, აგნესა? აწ სიმტიციე მეც აღარ მყოფნის,
ეს ბედნიერი შეხვედრა რომ გადავიტანო.
ჰოი, რამდენი დაეცა ძირს სიკვდილის მსხვერპლად,
სანამ შევძლებდით კვლავ მშვიდობით ერთუერთის ნახვას!
მაგრამ მძინვარე ქარიშხალი დაწყნარდა უკვე,
უკუნი ლამე დღემ შესცვალა და მალე მოვა
იგი დრო, როცა დამწიფდება ნაყოფი მისი!

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (ფანჯარასთან)

აღტაცებული ხალხი ჰერცოგს გარშემო ერთყმის,
გზას არ აძლევენ, მათ ჩამოსვებს ცხენიდან. იგი
და სიხარულით უკოცნიან დეზებს, მოსასხამს.

კარლოსი

ო, ეს კეთილი ხალხი არის, თვის სიყვარულშიც
ის ისეთივე მგზნებარეა, ვით რისხვის ჟამსა.
მათ ასე მალე დაივიწყეს, რომ მაგ ჰერცოგმა
მათი მამები და შვილები ამსხვერპლა სიკვდილს;
ერთი მცირედი წუთი შთანთქამს მთელს სიცოცხლეს!
— მტკიცედ, აგნესა! შეიძლება ეგ სიხარული,
როგორც ეკალი, ისე მოხედეს ჰერცოგის სულსა;
დაე, აქ იგი არაფერმა არ შეუტაცოს.

მისამე გამოსვლა

ჰერცოგი ბურგუნდი. დიუნუა. ლა ჰირი. შატონი და ორი
რაინდი ჰერცოგის ამალიდან. ჰერცოგი შეჩერდება კარებთან. მეფე მიეშუ-
რება მის შესახვედრად. ამასობაში ჰერცოგი მიუახლოვდება ჩუფეს და იმ წუთში,
როცა დააპიროებს მეფის წინ მუხლებზე დამხობას, მეფე გადაეხვევა მას.

კარლოსი

თქვენ მოგვისწარით — თუმც ვფიქრობდით შეგგებებოდით,
მაგრამ გყოლიათ ფრინველივით სწრაფი ცხენები.

ბურგუნდი

ისინი თქვენსკენ მომაფრენდნენ.

(გადაეხვევა სორელს და აკოცებს შუბლზე)

ნება მიბოძეთ,

ჩემო კეთილო ნათესავო! ეს არრასული
წესია ჩენი და არც ერთმა ლამაზმა ქალმა
იგი არ უნდა დაივიწყოს.

კარლოსი

მითხრეს, რომ თქვენი

სასახლე არის სიყვარულის საბრძანებელი,
სად თავს იყრიან ქვეყნის ყველა უღამაზესნი.

ბურგუნდი

მოვაპრე ხალხნი ვართ, მეფეო, და განცხრომისთვის
თვალთ დასატკობად ქვეყანაზე რაც კი არსებობს,
ჩენს ბაზრებზეა, მაგრამ უფრო ყველაზე მეტად
ტურფა ქალწულთა სავანეა ქვეყანა ჩემი.

სორელი

(ერთგულს სიყვარულს აქვს ყველაზე დიდი ღირსება,
იგი ბაზარზე არასოდეს არ იყიდება.)

კარლოსი

თქვენ გძრახავენ, რომ სიყვარულში ხართ ცვალებადი
და მანდილოსანთ სათნოებას ამითი ლახავთ.

ბურგუნდი

სწორედ მაგიტომ დავისაჯე მე ასე მკიცრად.
ჩემო მეფეო, ადრე მიხვდა მას თქვენი გული,
რაც ქარიშხლიან ცხოვრებამ მე გვიან მასწავლა!

(იგი შემობრუნდება არქივისკოპოსისაკენ და ხელს ჩამოართმევს)

კურთხევისა გთხოვთ, ღირსეულო წმინდა მამაო,
თქვენ ხომ ყოველთვის იქ ბრძანდებით, სად სიმართლეა,
და ვისაც თქვენთან შეხვედრა სურს, თქვენი კურთხევა,
იგი ყოველთვის უნდა იღვეს სიკეთის გზაზე.

არქივისკოპოსი

მადლობა გამჩენს! სიხარულით ამევსო გული,
მზად ვარ სიცოცხლევც კი გაეწირო, თუ ღმერთი მომთხოვს,
ჩემმა თვალებმა რაკი ეს დღე უკვე იხილეს.

ბურგუნდი

(სორელს)

მე მითხრეს, თითქოს გაიმეტეთ ალმასის ქვები,
ჩემს წინააღმდეგ იარაღის გამოსაქედად.

ო, ნუთუ მართლა მოიფიქრეთ ჩემი დაღუპვა,
ასე ძალიან თუ გინდოდათ სიკვდილი ჩემი?
მაგრამ დამთავრდა ჩვენი ჩხუბი ამის შესახებ.
რაც დაგიკარგავს, ყველაფერი ნაპოვნი არის.

აქვეა თქვენი სამკაულნი უძვირფასესნი,
სამშობლოსათვის ომში მსხვერპლად რომ გაიმეტეთ,
აწი მათ ჩემგან დაზავების ნიშნად მიიღებთ.

(იგი გამოართმევს ერთ-ერთ მის მხლებელს ფულიან ყუთს და გაუწვდის აგნესს,
რომელიც შეხედავს მეფეს გაურკვეველი მხერით)

კარლოსი

მიიღეთ ძღვენი, როგორც ორგზის უძვირფასესი:
სიყვარულის და დაზავების ნიშანი მტკიცე.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

(აგნესას თმებში გაუბნევს ბრილიანტის ვარდს)

რატომ არ არის ეს გვირგვინი საფრანგეთისა,
რომ იგიც ასე უდიდესი მოკრძალებითა
თქვენს ლამაზ თავზე შევებნიო და დავამაგრო.

(მნიშვნელოვნად წაავლებს ხელზე ხელს)

და მეგობრად მეც დამიგულეთ, თუ კი ოდესმე
დაგჭირდეთ იგი!

(აგნესა ატირებული მიდის კუთხისაკენ; მეფე ძლიერ აღლევებულა. მათ ყველა
თანაგრძნობით უცქერის)

ბ უ რ გ უ ნ დ ი

(შეზადავს ყველას და გადაეხვევა მეფეს)

ო, ჩემო მეფეე!

(ამავე დროს სამი ბურგუნდიელი რაინდი ისწრაფვის დიუნუასა, ლა ჰირისა და
არქიეპისკოპოსისაკენ და გადაეხვევიან ისინი მათ. ჰერცოგი მეფის მკლავებში
რამდენიმე წუთს რჩება)

ნუთუ შემეძლო მძულებოდით, განგდგომიყავით!

კ ა რ ლ ო ს ი

წყნარად! აღარ სთქვათ არაფერი!

გ უ რ გ უ ნ დ ი

ინგლისელისთვის

უნდა დამედგა თავს გვირგვინი, მიმეცა ფიცი?
ჩემი მეფე კი ღრმა უფსკრულში გადამესროლა?

კ ა რ ლ ო ს ი

გადაივიწყეთ ყველაფერი! თქვენ გეპატიათ.
ეს იშვიათი წუთი უკვე ყველაფერსა სცვლის.
რაც მოხდა, მხოლოდ უკუღმართი ბედისგან მოხდა.

ბ უ რ გ უ ნ დ ი (სტაცებს ხელზე ხელს)

ო, დამერწმუნეთ, მსურს სიკეთით გადაგიხადოთ!
თქვენი ტანჯვის და მწუხარების სამაგიეროდ,
მთელს საფრანგეთს კვლავ დავუბრუნებ თქვენს მბრძანებლობას,
ზვიად ინგლისელთ ერთ სოფელსაც არ დავუტოვებ.

კ ა რ ლ ო ს ი

რაკი დავზავდით, მტრისა სულაც არ მეშინია.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

მერწმუნეთ, მეფევ, არასოდეს დამშვიდებული
გული არ მქონდა, როს ვიბრძოდი თქვენს წინააღმდეგ-
ეს ანგელოზი რატომ ჩემთან არ გამოგზავნეთ?

(უჩვენებს სორელზე)

მე მაგის ესდენ მწარე ცრემლებს ვერ გავუძლებდი.

— ახლა კი ვერა, თუნდაც ძალა ჯოჯოხეთისა,
ვერ გაგვაშორებს მკერდით მკერდთან შეერთებულებს?
უკვე ვიპოვე მე ნამდვილი ჩემი ადგილი,
ხეტიალს ჩემსას აქ, შენს გულთან, მოელო ბოლო.

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

(გამოდის მათ შორის)

რაკი დაზავდით, საფრანგეთი აღდგება ისევ,
როგორც ფენიქსი თვის ფერფლიდან ახლად შობილი
და გაგვიღიმებს მყოობადი კვლავ მშვენიერი.
მოუშუშდება ჩვენს ქვეყანას ღრმა ტკივილები,
უხვი დოვლათით აივსება სოფლები ჩვენი
და ქალაქები აღდგებიან ნანგრევებიდან,
ჩვენი ველები ისევ მწვანედ აბიბინდება —
მაგრამ ისინი, დაცემულნი მსხვერპლად შუღლისა,
ვერ აღდგებიან ვერასოდეს და მათზე ცრემლი.
ჭირისუფალთგან დაფრქვეული, ცრემლად დარჩება.
ქვეყანაზე კვლავ აყვავდება ნორჩი თაობა,
მაგრამ წარსული მსხვერპლი გახდა უბედურების.
ბედნიერება შვილიშვილთა ველარ შობს მამებს.
აი, ეს არის თქვენი მტრობის ნაყოფი მწარე.
ეს იყოს თქვენთვის გაკვეთილი და გეშინოდეთ
ღვთაების ხმლისა, ქარქაშიდან სანამ დაძრულა.
ღმერთი გაწრთვნილი შევარდენი ხომ არ გგონიათ,
რომ კვლავ მოფრინდეს მონადირის ნაცნობ ძახილზე,
კაცთმოწოდებას არ შეისმენს ის ხელმეორედ
და როგორც დღეს ჰქმნა, ღრუბლებიდან ხელსა მხსნელისას
ჩვენთვის მარჯვე დროს მუდამ ასე არ გამოგვიწვდის.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

თქვენთან ციური ანგელოზი ყოფილა, მეფევ!
სად არის იგი? მე იმას აქ რატომ არ ვხედავ?

კარლოსი

სად არის ჟანა? დღეს აქ ჩვენ ის რატომ გვაკლია,
ამ საზეიმო და დიდებულ, ბრწყინვალე ჟამსა,
რომელიც ჩვენ მან მოგვანიჭა?

არქიეპისკოპოსი

ჩემო ხელმწიფევე,
ქალწულს არ ხიბლავს მხიარული სასახლე შენი.
როცა არ უხმობს ღვთაებრივი ბრძანება ქვეყნად,
კაცთ შორის ყოფნას მაშინ იგი მორცხვად გაურბის
ადამიანთა ხილვას, მათ თვალს ცნობისმოყვარეს.
როცა სამშობლოს დიდებისთვის ის არ მოქმედებს,
მაშინ თათბირობს მალალ ღმერთთან განმარტობით,
ამიტომ მოსდევს ღვთის წყალობა მის ყოველ ნაბიჯს.

მეოთხე გამოსვლა

ჟანა და იგივენი

(ჟანა ჯავშანგადაცმულია, მაგრამ თავზე მუხარადი არ ახურავს. თმებში ყვავილების გვირგვინი აქვს გაბნეული)

კარლოსი

შენ წმინდანივით შემკობილი გამოგვეცხადე,
რომ თვით დალოცო ეს კავშირი შენგან შექმნილი?

ბურგუნდი

როგორ საშიში იყო იგი ჩვენთან ბრძოლაში
და რარიგ ბრწყინავს სილამაზით ამ სიმშვიდის დროს!
ხომ შევასრულე ჩემი სიტყვა? კმაყოფილი ხარ,
შენს ბრძანებას რომ დავმორჩილდი, წმინდა ქალწულო?

ჟანა

ჰერცოგო ბურგუნდ, აწ, აღსავსევი დიდი სიკეთით,
ჩვენს წინა ბრწყინავ ღვთაებრივი შუქით მოსილი,
ხოლო აქამდე სისხლისფერი მწუხარე ნათლით
ჩვენი ქვეყნისთვის საშიშ მთვარედ ეკიდე ცაზე.

(ათვალიერებს ირგვლივ ყველას)

მე აქა ვხედავ კეთილშობილ რაინდთა კრებულს,
ყველას თვალები სიხარულით გაჰბრწყინებიათ;
მაგრამ აქ ერთი უბედური შევნიშნე მხოლოდ,
ის იმალება, როცა ყველა ასე ზეიმობს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ეგ ვის ამძიმებს ასე დიდი დანაშაული,
დაეპყვებული რომ იყოს ჩენს მოწყალეებაში?

ქ ა ნ ა

მაშ, მან გაბედოს ჩენთან მოსვლა? სთქვი, რომ მოვიდეს!
ამით შეავეს შენი დიდი დამსახურება,
ის დაზავება აღარ არის, როდესაც გული
არ იშვებს ნეტარ სიხარულით თავისუფალი.
ფსკერზე ნარჩენი ერთი წვეთი სიძულვილიც კი
მეგობრულ თასში მთლად მოშხამავს კურთხეულ სასმელს.
არ უნდა იყოს წყენა ისე სისხლით შესვრილი,
ჭერცოგმა მისი პატიება რომ ვერ შეიძლოს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ახლა მიგიხვდი.

ქ ა ნ ა

მაშ, ჰერცოგო, გსურს აპატიო?
გსურს, რომ მოექცე მას სულგრძელად? შემო, დიუ შატელ!
(ქანა კარს გაუღებს და შემოიყვანს დიუ შატელს, რომელიც მოშორებით გა-
ჩერდება)

ჰერცოგი უკვე შეურიგდა თავის ყველა მტერს,
არც შენ მოგაკლებს მოწყალეებას.

(დიუ შატელი რამდენიმე ნაბიჯს გადასდგამს ჰერცოგისკენ და ცდილობს მის
თვალეებში ამოიკითხოს ჰერცოგის სუზვილი)

ბ უ რ გ უ ნ დ ი

რას შერები, ქანა,
ნუთუ არ იცი, ახლა ჩემგან რასა სთხოვლობ?

ქ ა ნ ა

უხვი ბატონი ფართოდ აღებს სასახლის კიშკარს
ყველა სტუმრისთვის, უარს არვის არ ეუბნება;
ვით ლურჯი ზეცის კაბადონი ქვეყანას ფარავს,
ასე მოიცავს მოწყალეება მტერს და მეგობარს.
ამ თვალმიუწვდენ, ამ უსაზღვრო გადაშლილ სივრცეს
მოელვარე მზე თავის სხივებს თანაბრად აფრქვევს,
წყურვილისაგან ძარღვებგამშრალ ყველა მცენარეს

მაღალი ზეცა ერთნაირად ასხურებს ნამსა.
იგი, რაც წმინდა სიკეთეა, მაღლიდან მოდის,
მქისე წყვილიად კი ნაპრაღში ბინადრობს მხოლოდ!

ბ უ რ გ უ ნ დ ი

მას შეუძლია თვის ნებაზე დამიყოლიოს,
ჩემი მხნე გული იმის ხელში ცვილივით ხდება!
— მოდი, დიუ შატელ, გაპატიებ, გადამეხვიე.
არ გამირისხდე, მამაჩემის მწუხარე სულო,
რომ მე ხელს ვართმევ იმას, ვინც შენ ბოლო მოგიღო.
ნუ მიწყენთ თქვენაც, მაპატიეთ, სიკვდილის ღმერთო,
რომ დავამსხვრიე ფიცი სასტიკ შურისგებისა,
მანდ, თქვენთან დაბლა, მარადიულ უკუნ ლამეში,
არ ფეთქავს გული, ყველაფერი დგას უმოძრაოდ.
მაგრამ აქ მაღლა მზის ნათელზე სხვაგვარადაა.
ადამიანი თავის ცოცხალ ცვალებად გრძნობით
იოლი მსხვერპლი ხდება ყოვლისშემძლე წამისა.

კ ა რ ლ ო ს ი (ჯანას)

წმინდა ქალწულო, სიკეთე ვით გადაგიხადო!
როგორ ბრწყინვალედ შეასრულე პირობა შენი!
როგორ შესცვალე ჩემი ბედი ასე მთლიანად!
შენ შემარიგე მეგობრები, მხოლოდ მტრები კი
დამიმარცხე და ქალაქები მათი უღლისგან
გამოიხსენი. შენ მარტო ჰქმენ ეს ყველაფერი, —
მითხარ, მე რალა მოგიზღო მის სამაგიეროდ?

ქ ა ნ ა

ადამიანი იყავი დიდს ნეტარებაში,
ვით უბედო ჟამს, და უმაღლეს მწვერვალზე მდგარი
ნუ დაივიწყებ, თუ რას ნიშნავს მეგობრის ხელი.
გაჭირვების დროს დამცილება დიდი მოგეგო
და ლარიბ-ლატაკთ სამართალზე, მოწყალებაზე
უარს ნუ ეტყვი, რადგან ღმერთმა ამ ხალხისაგან
წარმოაგლინა შენი მხსნელი. — მეფეო, უნდა
შენი სკიპტრის ქვეშ საფრანგეთი შემოიერთო,
შენ წინაპარი შეიქნები დიდ ხელმწიფეთა,
რადგანაც შენგან. აყვავდება შთამომავლობა,
რომელიც შენი წინაპრების სახელს დაჰბინდავს.

შენი შტო მუდამ იყვავილებს ქვეშევრდომთ გულში,
სანამდე ხალხის სიყვარულს ის გაუფრთხილდება;
ამპარტავნობით კი ის მალე დაილუპება,
რადგან ქობეძში, საიდანაც ახლა მოვიდა
შენი დამხსნელი, სუთვეს დიდი საფრთხე, რომელიც
შენს დამნაშავე შვილიშვილებს ბოლოს მოულებს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

წმინდა მისანო, რადგან ღვთისგან შთაგონებული
შენი თვალები მომავალში ყველაფერსა სკვრეტს,
მითხარ, ჩემს მოდემას რანაირი ბედი მოელის,
თუ გამრავლდება, განივრცობა დიდება მისი?

ქ ა ნ ა

ბურგუნდ! მეფეთა სიმაღლემდე ხარ შენ ასული
და უფრო ზევით მიისწრაფის ამაყი გული,
რომ ღრუბლებამდე აღიმართოს შენობა შენი, —
მაგრამ იცოდე მას ზეციდან ძლიერი ხელი
გზას გადულობავს, შეაჩერებს მისსა ზეაღსვლას.
ნუ გეშინია, შენი სახლი არ დაინგრევა!
ის ქალის სახით გააგრძელებს თავის სიცოცხლეს
და სკიპტროსანი მეფეები, მწყემსები ხალხის
მისი საშოდან ქვეყანაზე აღმოცენდება.
ორ დიდსა ტახტზე იმეფებენ ისინი ქვეყნად:
შეჰქმნიან კანონს აწ ცნობილი ქვეყანისათვის
და იმისთვისაც, რომელიც ჯერ ღვთაების ხელით
დაფარულია ჯანღებისგან ზღვათა გადაღმა,
სადაც ჯერ ვერვის გადუცურავს, მიუღწევია.

კ ა რ ლ ო ს ი

მითხარ, ქალწულო, რადგან შენში სული მეტყველებს,
ეს მეგობრული შეთანხმება რომ დავამყარეთ,
გასტანს თუ არა კიდევ დიდხანს, რომ შვილიშვილთაც
შეება მიაგოს?

ქ ა ნ ა

(ჩამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

მეფეებო, დიდებულებო!

განხეთქილების გეშინოდეთ, ნუ გააღვიძებთ

თავის ბუნაგში ავბედითად მძინარე მტრობას,
რადგან, თუ ერთხელ გაიღვიძა, გამძვინვარდება,
დაიბადება საშინელი თაობა მისგან,
ქვეყნად დაანთებს ბრძოლისაგან ხანძარზე ხანძარს.
— ნულარ ინებებთ ამის მეტი ვაიგოთ ჩემგან,
აწმყოთი დასტკბით და მე კი აწ ნება მიბოძეთ
ალარა ვთქვა რა მომავალზე.

სორელი

წმინდანო ქალო,
თუ მიისწრაფის ჩემი გული დიდებისაკენ,
მითხარ, მაუწყე, ქალწულო, მეც მისნური სიტყვა.

ჟანა

სული მიჩვენებს მარტოოდენ ქვეყნის დიად ბედს;
შენი ბედი კი იმალება შენსავე პკერდში!

დიუნუა

გვითხარ, მისანო, როგორია თვით შენი ბედი,
წმინდა ასულო, გაგვიმხილე ამ ქვეყნის მოკვდავთ,
ალბათ, მოგელის ქვეყნიური ბედნიერება,
რადგანაც ასე უმინკო და ღვთისმოშიში ხარ.

ჟანა

ბედნიერება სუფევს ცაში, უზენაესთან.

კარლოსი

შენს ბედზე ზრუნვა, დაე, იყოს ხელმწიფის ვალი!
მსურს დიდებულ ვყო საფრანგეთში სახელი შენი,
რომ შემდეგ კრძალვით და დიდებით მოიხსენიონ
ის მომავალმა თაობებმა. დე, ჩემი ვალი
შესრულდეს ახლა. დაიჩოქე!

(ჟანა დაიჩოქებს. მეფე ხმაღს ამოიღებს და მისი წვერით შეეხება)

წამოდექ ფეხზე,

აწ ისე, როგორც მაღალი და კეთილშობილი,
შენ აგამალლა შენმა მეფემ ბნელი მოდგმიდან,
კეთილშობილი იყოს შენთა წინაპართ ფერფლიც —
ღერბად ატარე საფრანგეთის თეთრი შროშანი
და ჩვენი ქვეყნის დიდებულთა თანაბარ იყავ,

მხოლოდ ვალუას სისხლი იყოს მთელს საფრანგეთში
შენი სისხლივით ღირსეული, კეთილშობილი.
ყველაზე დიდმა დიდებულმა ჩემს ამაღაში
ეგ შენი ხელი მიიჩნიოს უდიდეს ჯილდოდ.
დე, ჩემი საქმე იყოს შენთვის მეუღლის შოვნა.

ღ ი უ ნ უ ა (გამოვა წინ)

მე ავირჩიე იგი, თუმცა მდაბიო იყო;
და ეს პატივი, რომლითაც ის ამჟამად ბრწყინავს,
არასა მატებს მის ღირსებას და ჩემს სიყვარულს.
ახლა კი მე აქ, ჩემი მეფის თვალთა წინაშე,
და უწმინდესი ეკლესიის მამის დასწრებით,
ვით კეთილშობილ ჩემს მეუღლეს, ხელსა ვთავაზობ,
თუკი ქალწულიც ღირსად გამხდის თავის ხელისა.

კ ა რ ლ ო ს ი

ო, საოცარო, მშვენიერო, ტურფა ასულო,
შენ სასწაულსა სასწაულზე ახდენ ყოველთვის,
არათერია ქვეყნად შენთვის შეუძლებელი,
რადგან ძლიერი სიყვარული აღძარი უკვე
ამ ამაყ გულში.

ლ ა ჰ ი რ ი (გამოვა წინ)

სამკაული უძვირფასესი,

მე კარგად ვიცი, არის ჟანას უმანკო გული.
ის ყოველგვარი განდიდების ღირსია ქვეყნად,
მაგრამ იგი მას არ აღუძრავს ამაყ სურვილებს,
არ მისწრაფვის წარმავალი დიდებისაკენ.
ერთგული გული, ხასიათი პატიოსანი
და ჩემი მტკიცე სიყვარული, მას რომ ვთავაზობ
ამ ჩემი ხელით, — მისთვის, მგონი, საკმარისია.

კ ა რ ლ ო ს ი

შენც გიყვარს, ლა ჰირ? ეს მამაცი ორი მეტოქე,
კეთილშობილნი, თანაბარნი მხედრულ სახელით!
ხომ არ გსურს, ქალო, რაკი მტრები შემომირიგე,
აწ საყვარელი მეგობრები ჩამომამორო?
ჯილდო მათ შორის მხოლოდ ერთ-ერთს მიენიჭება,
თუმცა ორივე ერთნაირად ღირსეულია.
სთქვი, ესე საქმე გადასწყვეტოს თვით შენმა გულმა.

სორელი (მიუახლოვდება)

ამ უეცარი ამბით ქალი განცვიფრებულა,
სიმორცხვისაგან გადაჰკვრია სიწითლე ლაწევებს.
ღრო მიეცით, რომ დაეკითხოს თავის გულს იგი
და მეგობარ ქალს გაუმელავენოს გულისნადები,
თავისი სული თავისუფლად გადამიშალოს.
მოვიდა ჟამი, როცა უნდა მიუახლოვდე
ამ მკაცრ ქალიშვილს ისე, როგორც საკუთარი და.
დაგვტოვებ მარტო, მოვისაზრებთ ქალნი ქალურად
და მოუცადეთ პასუხს ჩვენსას.

ქარლოსი (დააპირებს წასვლას)

დე, მასე იყოს!

ქანა

არა, მოიცათ! ჩემო მეფევე, ლაწვთა სიწითლე
არ არის ქალურ მორცხვობისგან გამოწვეული.
ამ კეთილშობილ ქალთან არ მაქვს მე საიდუმლო .
ისეთი, რომ ვერ გაუმელავენო ჩემს საქმროებსაც.
ისინი თავის არჩევანით დიდ პატივს მღებენ;
განა იმისთვის მივატოვე სამწყემსო ჩემი,
რომ მომეპოვა ღირსეული დიდება ქვეყნად,
ან ქალწულ მკერდზე ეს ფოლადის ჯავშანი განა
მე საქორწილო გვირგვინისთვის მაქვს გადაცმული?
სხვა საქმისათვის ვარ მე ქვეყნად მოწოდებული
და მხოლოდ ქალწულს შეუძლია ის შეასრულოს.
მე დიდი ღმერთის მეომარი ქალი ვახლავართ,
ვერც ერთ მამაკაცს ვერ გაუწევე მეუღლეობას.

არქიეპისკოპოსი

ქალი ვაჟკაცის თანამგზავრად არის შობილი
და ამ ბუნებას თუკი იგი ემორჩილება,
ის ამით ზეცას ღირსეულად ემსახურება.
როდესაც შენი საკუთარი ღმერთის ბრძანებას,
ბრძოლის ველისკენ რომ მოგიხმობს, შენ აღასრულებ,
მაშინ იარაღს დაბლა დასდებ, წმინდა ქალწულო,
და ისევ ქალურ უნაზეს სქესს დაუბრუნდები,
რომელიც თუმცა შენ უარპყავი, მაგრამ ის ქვეყნად
სისხლის საღვრელად და მეომრად არ გაჩენილა.

უანა

ღირსო მამაო, მე არ ვიცი სული ღვთიური
რა საქმისათვის მომიწოდებს, რას დამდებს ვალად,
მაგრამ დრო მოვა და მისი ხმა შემომესმება,
მაშინ მორჩილად შევასრულებ ბრძანებას მისას.
ახლა კი მიხმობს, აღვასრულო მე ჩემი საქმე.
ჩემი მეფის შუბლს არ ამშვენებს გვირგვინი ჯერაც,
წმინდა ზეთით არ განბანილა იმისი თავი,
ჩემი ბატონი ჯერ ხელმწიფედ არ იწოდება.

კარლოსი

ახლა ჩვენ ვდგევართ რაიმსისკენ მიმავალ გზაზე,

უანა

არც ერთი წუთით დაყოვნება რა შეიძლება,
რადგანაც მტერი ირგვლივ მყოფი გზას ჩაგვიკეტავს,
მაგრამ მე მტრებზე წაგიყვან შენ გამარჯვებისკენ!

დიუნუა

მაგრამ, როდესაც შესრულდება ეს ყველაფერი,
როდესაც შევალთ ჩვენ რაიმსში გამარჯვებულნი,
მაშინ ხომ მაინც ნებას დამრთავთ, წმინდა ქალწულო...

უანა

მაღალი ზეცა თუ ინებებს, რომ ამ სისხლისმღვრელ
სასტიკ ბრძოლიდან გამოვიდე გამარჯვებული,
მაშინ ჩემს საქმეს დავამთავრებ და მწკემს გოგონას
აღარ ექნება ადგილი აქ, ღიღებულთ წრეში.

კარლოსი (წაავლებს ხელს)

შენ გიწვევს ახლა ღვთაების ხმა, ძლიერი სული
და სიყვარული მგზნებარ მკერდში დაღუმებულა,
მაგრამ მერწმუნე, იგი მუდამ არ დაღუმდება!
როს იარაღის ხმა მისწყდება და გამარჯვება
მოგვითანს ნათელ სიმშვიდესა და ყველას გულებს
დაუბრუნდება ნაზი გრძნობა და სიხარული,—
ისინი შენშიც უეჭველად გაიღვიძებენ,
დააფრქვევ ცრემლებს შვების მომგვრელ მწუხარებისას,

რადგან შენს თვალებს ისინი არ დაჰვიწყებია.
ახლა მთლიანად ზეცისგან რომ აღვსებულა,
დაიწყებს გული ქვეყნიური მეგობრას ძებნას. —
ახლა ათასნი იხსენი და ჰყავ ბედნიერი,
მაშინ ერთისთვის თვით იქნები ბედნიერება.

ქ ა ნ ა

კარლოს, ღეთაებრივ მოვლენისგან უკვე დაღლილხარ,
მისი ჭურჭელის დამსხვრევა რომ მოგსურვებია,
წმინდა ქალწული, მოციქული იგი ღმერთისა,
გსურს გადისროლო ჩვეულებრივ ცხოვრების მტვერში?
თქვე ბრმა გულეზო! მორწმუნენო ეგოდენ მცირედ!
თქვენს გარეშემო ბრწყინავს ზეცის დიდებულება
და თქვენს თვალთა წინ სასწაულს ხსნის უცნობ საბურველს.
თქვენ კი მიყურებთ, როგორც დიაცს, უბრალო ქალსა.
განა ქალს მართებს, რომ ჯავშანი მკერდზე გადიცვას
და ჩაერიოს მამაკაცთა მძვინვარე ომში?
ვაგლახ მე მაშინ, თუ კი ხმალსა შურისგებისას
ამ სასტიკ ომში მე უჰანკო ხელით ვატარებ
და გულს კი მსხვერპლად ამქვეყნიურ ტრფობას შევწირავ.
ო, არა! მაშინ ჯობდა მე არ გაეჩენილიყავ!
ნულარას მეტყვი, ნურც ერთ სიტყვას, რადგან თქვენ მაგით
გსურთ ჩემი სული შეაშფოთოთ და გაარისხოთ.
საქმროდ უბრალო შეხედვაც კი საკმარისია,
საშინელება იგრძნოს გულმა და შეიბღალოს.

კ ა რ ლ ო ს ი

გაჩუმდით ყველა! ამოა მოდრეკა მისი.

ქ ა ნ ა

უბრძამე დაჰკრან საომარი საყვირი ისევ!
მე ეს სიმშვიდე სულს მიწაზეებს და მავიწროვებს,
კვლავ მბრძანებლურად მიხმობს შორად მე ჩემი ბედი
და მდევნის უქმი სიმშვიდიდან, ამ სიწყნარიდან,
რომ დავასრულო მალე ჩემი დიადი საქმე.

მ ე ხ უ თ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

რ ა ი ნ დ ი, შემოდის აჩქარებით

კ ა რ ლ ო ს ი

რაო, რა მოხდა?

რაინდი

მარნს მოადგა, მეფეო, მტერი
და საბრძოლველად ლაშქარს აწყობს.

ქანა (შთაგონებით)

ბრძოლა და ომი!

ახლ^ა კი უკვე ჩემი სული განთავისუფლდა.
ხმალი ხელს ვიკრათ! მე დავაწყო ლაშქარს საომრად.
(სწრაფად გადის)

კარლოსი

მიჰყევი, ლა ჰირ,—იმათ სურთ, რომ რაიმსის კართან
გვირგვინის გამო გამიმართონ სასტიკი ბრძოლა!

დიუნუა

მათ მოაქროლებს ჩვენსკენ არა ვაჟკაცის გული,
სასოპიხდილნი ბედსა სცდიან უკანასკნელად.

კარლოსი

მე თქვენ არ გინმობთ, ბურგუნდ, მაგრამ დრო დადგა უკვე,
რომ დავივიწყოთ განვლილ ღღეთა ავი საქენი.

ბურგუნდი

დარჩებით ჩემით კმაყოფილი.

კარლოსი

და მე თვითონაც

მინდა წარვუძღვე ლაშქარს ჩემსას რაიმსის გზაზე,
რომ ჩემს სატახტო ქალაქს თვალწინ რაინდულ ბრძოლით
დავიმსახურო მე გვირგვინი. ჩემო აგნესა,
თქვენი რაინდი გეუბნებათ ახლა: „მშვიდობით!“

აგნესა (ართმევს ხელს)

მე აღარ ვტირი, აღარ ვშიშობ, მეფეო, შენთვის,
ჩემი იმედი ზეცაზეა დამყარებული,
ამდენ საწინდარს იგი უხვი მოწყალებისას
არ მოიღებდა, რომ წუხილი გველოდეს ბოლოს.
გამარჯვების წინ ვეთხოვები მე ჩემს ხელმწიფეს

და გული მიგრძნობს შევიყრებით რაიმისის ბქესთან.

(ისმის დაფთაფების მძლავრი ხმაური. მოისმის ორკესტრის ხმა, სცენის უკან ისმის იარაღის ჩახაჩუხი)

ხცენა იცვლება. მოჩანს ბრძოლის ველი, სადაც ღვანან ხეები ჯგუფ-ჯგუფად ხცენაზე გადარბიან ჯარისკაცები

მემკვსე გამოსვლა

ტ ა ლ ბ ო ტ ი, ფ ა ს ტ ო ლ ფ ე [დაყრდნობილი. მას მოაცილებენ ჯარისკაცები, შემდეგ შემოდის ლიონელი]

ტ ა ლ ბ ო ტ ი

აქ დამასვენეთ, დაბლა დამსვით ამ ხეთა ჩრდილში, თქვენ კი გასწიეთ კვლავ ბრძოლაში, ლაშქარს მიხედეთ; არა მწირდება მე დამხმარე სიკვდილის დროსა.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

ო, უბედურო, მწუხარებით აღსავსე დღეო!

(შემოდის ლიონელი)

რა დროს მოხვედით, ლიონელო, როგორ წუთებში? აქ სასიკვდილოდ დაქრილი წევს ჩვენი სარდალი.

ლი ო ნ ე ლ ი

ო, ღმერთმა ნუ ქნას! წამოდექით, ღირსეულო ლორდ, ახლა დრო არ გვაქვს, ძირს რომ იწვეთ ღონემიხდილი, ნუ დანებდებით სასტიკ სიკვდილს, ბუნებას სთხოვეთ, თქვენში ძლიერი სურვილებით იცოცხლოს ისევ.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ო, ამოა! ბედისწერის საათმა დაჰკრა, ფრანგთ ქვეყანაში ჩვენი ტახტი უნდა დაემხო. ამ უკანასკნელ, სასომიმღებ და მკაცრ ბრძოლაში ამოად ვცადე დამელწია მარცხისგან თავი. აწ, ხედავ, ვწევარ განგმირული მწვავე ისრისგან და ვერც ავდგები.— ჩვენ დაეკარგეთ რაიმისი უკვე, მაშ, იჩქარეთ, რომ გამოიხსნათ პარიზი მაინც.

ლი ო ნ ე ლ ი

პარიზი უკვე მეფისწულთან შეთანხმებულა; ასეთი ცნობა მოგვიტანა ჩვენმა შიკრიკმა.

ზ. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

დაე, იჩქეფეთ, ნაკადებო ჩემი სისხლისა,
რადგან არ მინდა მზეს ვუყურო მე ამის შემდეგ!

ლიონელი

მე დაყოვნება აღარ ძალმიძს. — ფასტოლფე, სარდალი
გადაიყვანეთ სხვაგან სადღე უშიშარ ადგილს,
რადგან ამ მხარეს დიდხანს ველარ შევინარჩუნებთ.
ჩვენი ჯარები უკუ იქცნენ ყოველი მხრიდან,
მრისხანე ქალის შემოტევას ველარ უძლებენ.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

უბუნურებავ, შენ მაჯობე, მე ვილუპები!
განწირულია შენთან თვითონ ღმერთების ბრძოლაც.
მაღალო ჭკუავ, ქალიშვილო ღვთაებრივ სიბრძნის,
ნათლით აღსავსე, გონიერო დამფუძნებელო
მსოფლიოს დიდი შენობისა, ქვეყნის მმართველო,
ვინ ხარ შენ მაშინ, როცა ასე უგუნურობის
მქროლავი რაშის კუდზედა ხარ უკან მიბმული,
უფსკრულსა ხედავ, მაგრამ მაინც შიგა ვარდები!
წყეულიმც იყოს, ვინც ამ ქვეყნად თავის სიცოცხლეს
ღირსეულისა დიდებითა ამთავრებს მხოლოდ
და სიბრძნეს ირჩევს ცხოვრებაში უტყუარ საფრად!
მთელი მსოფლიო სისულელეს ეკუთვნის...

ლიონელი

მილორდ!
მცირეოდენი სიცოცხლეა შემოგარჩენიათ —
იფიქრეთ ღმერთზე!

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ჩვენ რომ ვიყოთ დამარცხებულნი
მამაცთა მიერ, ვით მამაცნი, შეგვეძლებოდა
გვეთქვა, რომ იგი ყოვლის შემძლე ბედის ბრალია,
ყველაფერს მუდამ მის ნებაზე რომ ატრიალებს, —
მაგრამ ჩვენ ხომ ვერ შევიქმნებით ცდუნების მსხვერპლნი.
განა ეს ჩვენი ქარიშხალით საეხე სიცოცხლე
ღირსი არ იყო ღირსეული დასასრულისა?

ლიონელი (ართმევს ხელს)

მშვიდობით, მილორდ! შენთვის ცრემლსა სავალდებულოს,
ვით მეგობარი, ბრძოლის შემდეგ დავაფრქვევ ცხარედ,
თუკი გადავჩი მე ცოცხალი, მაგრამ ახლა კი
ისევ მეძახის ბრძოლის ველზე სასტიკი ბედი,
სად, ვით მსჯავრდები, უმოწყალოდ მრავალ მსხვერპლს ისვრის.
მშვიდობით, ჩემო მეგობარო, საბჭიომდე,
— მეგობართათვის ხანმოკლეა გაყრის წუთები.

(გადის)

ტალბოტი

სწრაფად მთავრდება ყველაფერი. მე დედამიწას
და ამ ნათელ მზეს დავუბრუნებ ყველაფერ იმას,
რაც ტკივილად და სიხარულად სჩქეფდა ჩემს გულში
და უძლიერეს ტალბოტისგან, ვინც მეომრული
თავის სახელით მთელ ქვეყანას აზანზარებდა,
აღარაფერი გადარჩება, გარდა ფერფლისა. —
ასე მიაღწევს კაცი თავის აღსასრულის უამს
და ერთადერთი ნადავლი, რაც ჩვენ ამ ბრძოლიდან
გამოგვაქვს, არის მხოლოდ რწმენა არარაობის
და უდიდესი სიძულვილი ყველაფერ იმის,
რასაც ჩვენ ასე ვადიდებდით, რაც ასე გვსურდა.

მეფიდიე გამოსვლა

კარლოსი. ბურგუნდი. დიუნუა. დიუ შატელი და ჯარისკაცე-
ბი შემოდინ

ბურგუნდი

ბრძოლა დამთავრდა.

დიუნუა

გამარჯვება ჩვენია უკვე.

კარლოსი (შეამჩნევს ტალბოტს)

შეხეთ, ვინ არის იმ ხის ძირას ულონოდ მწოლი,
ნათელ სიცოცხლეს სულთმობრძავი რომ ეთხოვება?
იგი უბრალო მეომარი არ უნდა იყოს.

წადით! უშველეთ, შველა კიდევ თუ შეიძლება.

(მეფის ჯარისკაცები მიუახლოვდებიან)

ფასტოლფი

უკან დაიწით! სიკვდილის წინ პატივი ეცით
იმას, ვისთანაც სიცოცხლის ჟამს მიახლოებდას
ვერ გაჰბედავდით!

ბურგუნდი

ტალბოტი წევს სისხლში მოსვრილი!
(იგი მიუახლოვდება. ტალბოტი შეხედავს მას და მაშინვე კვდება)

ფასტოლფი

გაბრუნდი, ბურგუნდი! გმირის მწერას უკანასკნელსა
არ შეუძლია მოლაღატის პირისპირ ნახვა.

დიუნუა

ო, საშიშარო გმირო ტალბოტი! მძლეეთამძლეველო!
შენ ახლა ასე მცირე სივრცით ჰკმაყოფილდები,
უწინ კი შენს სულოს, მშფოთარესა და გოლიათურს,
თვით ფრანგთა მიწა, ესდენ ფართო ვერ აოკებდა.
— ახლა კი, მეფევ, ვით ხელმწიფეს მოგესალმები,
რადგან მაგ თავზე ირხეოდა გვირგვინი შენი,
სანამდე სული ამ სხეულში ცოცხალი იყო.

კარლოსი

(მღუმარედ ათვალეირებს ტალბოტს)

ის თვითონ ზეცამ დაამარცხა და არა მეფემ.
აქა წევს იგი, ფრანგთ მიწაზე ისე, ვით გმირი
საკუთარ ფარზე და არა სურს ხელი გაუშვას.
წაასვენეთ!

(ჯარისკაცებს გვამი გააქვთ)

დე, განუსვენოს მალაღმა ზეცამ!

მას ამ ადგილზე ღირსეული ძეგლი აეგოს!
ჩვენი სამშობლოს შუაგულში, სადაც გმირულად
თავის სიცოცხლე დაამთავრა, დე, განისვენოს!
ჯერ ასე შორად არ მოსულა მახვილი მტრისა,
ვით მისი ხმალი, და მიწა, სად სამარე ჰპოვა,
იქნება მისთვის საუცხოო ეპიტაფია.

ფასტოლფი (აძლევს მეფეს ხმალს)

მე თქვენი ტყვე ვარ, ხელმწიფეო...

კარლოსი (უბრუნებს ხმალს უკან)

არა, რაინდო!

მკაცრი ომიც კი პატივსა სდებს მოვალეობას.

სამარის კართან მიაცილე სარდალი შენი.

სწრაფად, დიუ შატელ, შიშით ლელავს ჩემი აგნესა.

წა, განუქარვე შეშფოთება, ამბავი ამცნე,

რომ ცოცხლები ვართ, რომ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ

და რაიმისიკენ წაიყვანეთ ზეიმით!

(დიუ შატელი გადის)

მერვე გამოსვლა

ლაჰირი და იგივენი

დიუნუა

ლაჰირ,

სად არის ეანა?

ლაჰირი

რაო? ამას მე თქვენვე გკითხავთ.

იგი დავტოვე ცხარე ომში თქვენს სიახლოვეს.

დიუნუა

დასახმარებლად ხელმწიფისკენ გამოვეშურე,

მჯეროდა, რომ თქვენ დაიცავდით, არ დასტოვებდით.

ბურგუნდი

მტრის ხშირსა ბრბოში დავინახე ამ მცირე ხნის წინ,

ჰაერში თეთრად ფრიალებდა იმისი ღროშა.

დიუნუა

ვაგლახ! სად არის ნეტავ იგი? გული ცუდს მიგრძნობს!

წამო, ვიჩქაროთ, გამოვიხსნათ, მე მეშინია,

რომ იგი შორად გაეტაცოს გამბედაობას.

და მარტოდმარტო იბრძოდეს მტრებგარშემორტყმული,

იგი მრავალთა წინააღმდეგ მშველელთ გარეშე.

კარლოსი

სწრაფად, უშველეთ!

ლაპირი

მეც წამოვალ!

ბურგუნდი

და ჩვენც ყველანი!

(ყველანი გადიან)

ხხვა ადგილი ბრძოლის ველისა. შორს მოსჩანს რაიმის ციხე-კოშკი, მზით გაბრწყინებული

მეცხრამ გამოსვლა

რაინდი მთლად შავ ჯავშანში, ნილაბჩამოშვებული. უანა უკან მოსდევს რაინდი შეჩვრდება და უცდის მას

უანა

ჰოი, ვერაგო! ახლა მივხვდი შენს ცბიერებას! ცხარე ბრძოლიდან მოტყუებით გამომიყვანე აქ იმისათვის, რომ ბრიტანელ ვაჟების თავებს ააცილო შენ სიკვდილი და უბედურება. მაგრამ ახლა კი თვით შენ უნდა მოგილო ბოლო.

შავი რაინდი

რისთვის მსდევ უკან ასერიგად გაცოფებული, რატომ მოჰყვები ჩემს ნაბიჯებს ასე კვალდაკვალ, როცა სიკვდილი შენი ხელით არ მიწირია?

უანა

მძულხარ, წყეულო შავო სულო, ვით ბნელი ღამე, რომელსაც მოჰგავს იგი ფერი, შენ რომ ატარებ, და მიწვევს გულის შინაგანი მძლავრი სურვილი, შენს მოსასპობად, აღსაგველად ქვეყნის პირიდან. მითხარ, ვინა ხარ? აიხადე შენი ნილაბი:.. მე რომ ტალბოტი არ მენახა ჩემს წინ ბრძოლაში ძირს დაცემული, ვიტყოდნი, რომ შენა ხარ იგი.

შავი რაინდი

ნუთუ დადუმდა შენში სული ნათელმზილველი?

ქ ა ნ ა

იგი ლალადებს გასაგონად გულის სიღრმეში, —
ორივეს გველის ერთნაირი უბედურება.

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

რაიმსის ჭიშკარს მიაღწიე გამარჯვებულმა,
აწ კი იკმარე მოხვეჭილი დიდება შენი,
ბედნიერებას, მონასავით რომ გემსახურა,
ხელი გაუშვი, სანამ თვითონ გაგეშვებოდეს;
ის ერთგულებას ეფერება, მას პატივსა სცემს,
მაგრამ ბოლომდე არავის არ ემსახურება.

ქ ა ნ ა

რად მომიწოდებ, რომ შევჩერდე მე შუა გზაზე?
რად მომიწოდებ მივატოვო დიადი საქმე?
მე ჩემსა აღთქმას აღვასრულებ აუცილებლად!

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

ყოვლადძლიერო, შენ ყველაფერს დაამხოვ ქვეყნად,
ყოველ ბრძოლაში გაიმარჯვებ, — მაგრამ გაფრთხილებ:
აღარ გახვიდე ამის მეტად, ქალწულო, ომში!

ქ ა ნ ა

მე ხმაღს ხელიდან არ გაუშვებ, სანამ ამ ზვიად
ინგლისს დაბლა არ დავამხოვ და ბოლოს მოვუღებ.

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

შეხე! იქ მოჩანს რაიმსი თვის ციხე-კოშკებით,
შენი მგზავრობის დასასრული, მიზანი შენი! —
რარიგ ბრწყინავენ გუმბათები მალალი ტაძრის,
შენ შეგიძლია შეხვიდე იქ დიდი ზემით,
მეფეს გვირგვინი თავს დაადგა და აღასრულო
აღთქმა, რომელიც დასდე დიდი ლმერთის წინაშე —
მაგრამ დაბრუნდი! გირჩევ, რომ არ შეხვიდე შიგნით!

ქ ა ნ ა

მაგრამ ვინა ხარ, მოლალატევ, რომელსაც ასე
მოგსურებია შეშინება, შერცხვენა ჩემი?

რატომ ინებებ მომევლინო, ვით ცრუ მისანი?

(შეგ ზაინდს სურს წაიღეს, ჟანა წინ გადაუდგება)
მითხარ, ან მოკვდი ჩემი ხელით, ბოროტო სულო!
(სურს ხმალი ჩასცეს)

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი
(შეგება ხელით. ჟანა უმოძრაოდ რჩება)

მოჰკალ იგი, რაც მოკვდავია!
(ჩამოხვედება. გაიფრთხილებს და დაიქუხებს. შავი რაინდი ჰქრება)

ჟ ა ნ ა

(დიდხანს დგას მღუმარზე და გაცეხული, მაგრამ შემდეგ გამოერკვევა)
იგი არ იყო ხორციელი არსება ქვეყნის.
ის, მოჩვენება ჯოჯოხეთის, მკვლრებით აღმდგარი,
გამოცხადდა აქ ჩემი გულის შესაძრწუნებლად,
მაგრამ ის როგორ შემაშინებს, როდესაც ხელში
მიპყრია ჩემი დიდი ღმერთის მრისხანე ხმალი?
მსურს გამარჯვებით დაეასრულო ეს დიადი გზა,
თუნდ ჯოჯოხეთი აღდგეს თავის საშინელებით,
ჩემ მხნეობას ვერ შეასუსტებს და ვერ შეარყევს!
(სურს წასვლა)

მეათე გავოსვლა
ლიონელი. ჟ ა ნ ა

ლიონელი

წყეულო ქალო! მოემზადე, უნდა ვიბრძოლოთ,
ორივე ცოცხალი ველარ გავალთ ამ ადგილიდან.
ჩვენი მამაცნი ჯარისკაცნი დაჰხოცე ყველა;
გმირმა ტალბოტმა ჩემს მკლავებზე დალია სული.—
იმ მამაცთათვის შური უნდა ვიძიო შენზე,
ან უბედური მათი ხვედრი გავინაწილო.
აღბათ, შენ იცი, ამ ბრძოლაში ვინ გამარჯვებს
და ვინ მოკვდება. შენს წინაშე დგას ლიონელი,
უკანასკნელი წინამძღოლი ჩვენი ჯარისა,
და მისი მკლავი ჯერ კიდევ არ დამარცხებულა.
(იგი შეუტრებს ჟანას. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ ჟანა ხელიდან გააგდებინებს
ხმალს)

მზაკვარო ბედო!

(განაგრძობს ჟანას წინააღმდეგ ბრძოლას)

ქ ა ნ ა

(ბრძოლის დროს ჟანა ლიონელს მოაგდებინებს მუხარადს. ლიონელი დარჩება შიშველი სახით. ჟანა მის თავზე შურისგებით აღმართავს ხმალს)

მაშ, მიიღე. რასაც ეძებდი.

წმინდა ქალწული ჩემი ხელით მსხვერპლად გწირავს.

(უცებ ჟანა შეხედავს ლიონელს. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებიან, ჟანა შეჩერდება და დაუშვებს ხელს)

ლიონელი

რალას აყოვნებ, შენი ხელი რამ დააკავა?
ჩემი სახელი ხომ წაიღე, მეც შემიწირე,
აწ შენს ხელში ვარ, შებრალებას აღარ მოველი.

(ჟანა ხელით ანიშნებს, რომ გაიქცეს)

როგორ, გავიქცე? და მე უნდა შენ გიმადლოდე
სიცოცხლეს ჩემსას? — დავიღუპო უმჯობესია.

ქ ა ნ ა (აარიდებს მზერას)

მე არც კი მინდა ვიცოდე, რომ პირისპირ შემხვდი,
ჩემს ხელში იყო ჩავარდნილი შენი სიცოცხლე.

ლიონელი

ო, მეზიზღები, შებრალებაც არ მინდა შენგან.
მოჰკალი მტერი, შენ რომ სძულხარ, მტერი, რომელსაც
სურდა მოეკალ.

ქ ა ნ ა

მე მომკალი, შენ თავს უშველე.
წა, გაიქეცი!

ლიონელი

ეს რა მესმის?

ქ ა ნ ა

აჰა, ვაგლახ მე!

ლიონელი (მიუახლოვდება).

ამბობენ თურმე ბოლოს უღებ ყველა ინგლისელს,
ვინც კი ბრძოლაში შეგეყრება, -- მაშ, მე რისთვისღა
მიცოდებ ასე?

უანა

(სწრაფად აღმართავს ხმაღს მის წინააღმდეგ, მაგრამ ისევ დაუშვებს, რა წამსაც კი მას სახეში შეხედავს)

ღვთისმშობელო!

ლიონელი

რისათვის უხმობ

ღვთისმშობელს ახლა, როცა შენთან მაღალსა ზეცას საქმე არა აქვს.

უანა

(ძლიერი სასოწარკვეთილებით)

ო, რა ვქენი, წმინდა ქალწულო!

მე დავარღვიე წმინდა ალთქმა, შენ რომ მოგეცი.

(მწუხარებით აღსავსე იფშვნეტავს ხელებს)

ლიონელი

(შეჭყურებს თანაგრძნობით და ახლოს მიდის)

საბრალო გოგოვ, მენანები და გულს მიღელვებ;
შენც ჩემებრ ქვეყნად დიდსულოვნად დაჰბადებულხარ;
ბოღმა და რისხვა ამ ჩეს გულში მინელდა უკვე,
მსურს თანაგრძნობა გაგიწიო, გმირო ქალწულო,
საიდან მოხვედ, ან ვინა ხარ?

უანა

გაიქეც! ჩქარა!

ლიონელი

მე მენანება სიქალწულე, მშვენება შენი!
შენი შეხედვა გულს მითრთოლებს. და მე შენს შველას
სიამოვნებით შევიძლებდი. მაგრამ ეს როგორ?
წამო, წავიდეთ! დაარღვიე ეგ საშიშარი
ულეთო კავშირი — გადააგდე შენი მახვილი.

უანა

ღირსი არცა ვარ ის ვატარო!

ლიონელი

მაშ, გადააგდე

ეგ მახვილი და მე გამომყე!

ქ ა ნ ა (შეშინებული)

მე შენ გამოგყვე!

ლი ო ნ ე ლ ი

შენ შეგიძლია თავს უშველო და მე გამომყვე!
მე შენი ხსნა მსურს, მაგრამ დიდხანს ნულარ აყოვნებ..
შენს გამო უკვე საშინელი ტკივილი მიპყრობს,
გაუარკვეველი სურვილი მაქვს შენი დახსნისა.

(გაუყრის მკლავს. შორიდან გამოჩნდებიან დიუნუა და ლა ჰირი)

ქ ა ნ ა

ბასტარდი მოდის. ისინი ზომ მე დამეძებენ.
აქ რომ გიპოვონ...

ლი ო ნ ე ლ ი

მე ვიქნები შენი დამხსნელი!

ქ ა ნ ა

წამსვე მოკვდები, რომ იმათი ხელით დაეცე.

ლი ო ნ ე ლ ი

ნუთუ მე შენთვის ძვირფასი ვარ?

ქ ა ნ ა

წმინდანი ზეცის!

ლი ო ნ ე ლ ი

კიდევ შევხვდებით? ან გავიგებ მე შენზე რამეს?

ქ ა ნ ა

ო, არასოდეს!

ლი ო ნ ე ლ ი

საწინდარი ეს ხმალი იყოს.

რომ კიდევ განახავ!

(გამოსტაცებს ხელიდან ხმალს)

ქ ა ნ ა

უგუნურო, მაგასაც ჰბედავ?

ლიონელი

ახლა მე ვუთმობ ძალას შენსას. შევხვდებით კიდევ.
(გადის)

მთიერთმეტე გამოსვლა

დიუნუა. ლა ჰირი. ჟანა

ლა ჰირი

აგერ ის არის, ცოცხალია!

დიუნუა

წმინდა ქალწულო,
ნუ გეშინია, მეგობრები ვდგევართ შენს გვერდით.

ლა ჰირი

ის ლიონელი გარბის იქა?

დიუნუა

დაე, გაიქცეს!

ჟანა, დამთავრდა უკვე ბრძოლა, ჩვენ გავიმარჯვეთ.
რაიმის აღებს თავის ჭიშკარს და მთელი ხალხი
მიეჩქარება შესახვედრად ხელმწიფისაკენ.

ლა ჰირი

რა დაემართა? ფერი მისდის. იგი იქცევა.

(ჟანას თავბრუ ეხვევა და უნდა წაიქცეს)

დიუნუა

ჩანს დაკრილია — გაუხსენი ჯავშანი სწრაფად —
იგი მკლავშია დაკოდლილი, მაგრამ მსუბუქად.

ლა ჰირი

შეხე, სისხლი სდის კრილობიდან!

ჟანა

დაე, მას გაჰყვეს

ჩემი სიცოცხლეც!

(უღონოდ გადაესვენება ლა ჰირის მკლავებზე)

მეოთხე მოქმედება

სადღესასწაულოდ მორთული დარბაზი

სვეტები შემკულია ყვავილების გირლიანდებით; სვეტების უკან ისმის ფლეიტის ხმა

პირველი გამოცვლა

ჟანა

სდუმს იარაღი და ომის ხმაც დადუმდა ველად,
ისმის სიმღერა ირგვლივ ტკბილთა ჰანგთა მფრქვეველი,
ქუჩებს მოედო მხიარული ფერხულის ჟღერა,
ტაძარი ბრწყინავს და ელვარებს საკურთხეველი,
მწვანე რტოებით მორთულია ჭიშკარი ყველა,
სვეტებს ამშვენებს გვირგვინები შუქთა მფრქვეველი;
ფართო რაიმისი ველარ იტევს სტუმარს მრავალსა,
დღესასწაულზე დასასწრებლად აქ მომავალსა.

*

დღეს ყველა იწვის სიხარულის ზემთაგონებით
და ყველას გული ახლა ერთი აზრითა ჰფეთქავს,
წინათ რომ იყვნენ სიძულვილით დანაშორებნი,
ინაწილებენ აწ საერთო სიხარულს ერთად.
აქამდე ფრანგი, მტერს ლაჩრულად დანაპონები,
თვის წარმოშობით და სახელით ამაყობს ეხლა;
ალუდგენია ბრწყინვალემა გვირგვინსაც ძველსა
და საფრანგეთი კვლავ თაყვანს სცემს მის მბრძანებელსა.

*

მაგრამ მხოლოდ მე, ვინც ეს საქმე ვქმენ დიდებული,
არ ძალმიძს დავტკბე ამ ზეიმით და ნეტარებით,
რადგანაც ჩემი გარდაქმნილი, შეცვლილი გული
უკან მიმაფრენს ზეიმიდან ანაჩქარები.
ბრიტთა ბანაკში არის იგი დავანებული,
მტრისკენ ისწრაფვის მოქანცული ჩემი თვალები.
უნდა გავრბოდე მეგობართგან, თავს ვიფარავდე!
და გულის მძიმე დანაშაულს ჩემთვის ვმაღავდე!

*

ნუთუ სურათი მამაკაცისა
 ამ წმინდა მკერდით უნდა ვატარო?
 გული რომ ციურ შუქით ავსილა,
 მიწიურ ტრფობით გამოვადარო?
 მე, გამოზხნელსა ჩემი ქვეყნისას,
 მეომარ ქალსა, მალალ ღმერთისას,
 მტრისათვის უნდა მიძგერდეს გული,
 აღსავსე ტრფობით და სიყვარულით?
 ვითლა შევხედო ნათელსა მზესა,
 როგორ გაეუძლო სირცხვილსა ჩემსა!

(სცენის უკან მუსიკა გადადის თანდათან ნახ, მთროლოარე მელოდიაში)

როგორ ხიბლავენ ჩემს ყურთა სმენას,
 ვაგლახ! რა ტკბილი ჰანგები ისმის!
 ყოველ მათგანში მისი ხმა მესმის,
 გულს აჯადოებს ჩვენება მისი!

*

ბრძოლის ქარცეცხლი რომ აღდგებოდეს,
 მტერს შეზარავდეს შუბი ელვარე,
 კვლავ ვიპოვიდი მე ჩემს მხნეობას
 ცხარე ბრძოლაში რისხვით მღელვარე!

*

ო, ეს ჰანგები, ეს ნაზი ხმები, —
 ჩემი გული რომ აქციეს ტყვედა! —
 ართმევენ ჩემს მკერდს მრისხანე ძალას,
 ხდიან ისინი უნაზეს ვნებად,
 და თვალთგან ცხარე ცრემლები მწყდება!

(პაუზის შემდეგ ცოცხლად)

უნდა მომეკლა? შემეძლო კი იმის მოკვლა,
 როს დავინახე მოელვარე თვალები მისი?
 უმალ შემეძლო გაშეგმირა ჩემივე მკერდი!
 დამნაშავე ვარ, რომ აღმოვჩნდი ასე შემბრალე?
 ან შებრალება ცოდვა თუა? ო, შებრალება!
 შებრალების ხმა. თუ გესმოდა, ქალწულო, სხვებთან,
 რომელნიც შენმა დაუნდობმა ხმალმა იმსხვერპლა?
 რატომა სდუმდი მაშინ, როცა ყრმა ვალისელი
 სიკოცხლისათვის ასე დიდხანს გევედრებოდა?
 ცბიერო გულო, რად ატყუებ შენ თვითონ ზეცას, —
 სულაც არ იყო იგი ნაზი ხმა შებრალების.

*

რატომ შეხედე მას თვალებში, რად დაინახე
 კეთილშობილი მისი სახის მშვენიერება!
 სწორედ მაგ მზერით ჩაიდინე დანაშაული;
 საბრალოე! მხოლოდ ბრმა იარაღს თხოულობს ღმერთი,
 ბრმა მზერით უნდა მიჰყოლოდი მის მოწოდებას!
 ნახვისთანავე მიგატოვა ღვთისმფარველობამ,
 ცბიერი მახით ჯოჯოხეთმა შეგიპყრო წაბსვე.

(კვლავ მოისმის ფლეიტის ხმა, ჟანა იძირება ღრმა მწუხარებაში)

ნაზო კომბალო, ნეტავ აროდეს
 მრისხანე ხმალში არ გამეცვალე!
 წმინდა მუხაო, შენი შრიალი
 არა მსმენოდა სულაც ნეტავ მე!
 ჰოი, ნეტავ რად გამომეცხადე,
 დიღო ქალღმერთო, დედაო ღვთისავე!
 შენი გვირგვინის ღირს არ ვყავი,
 მიიღე უკან, ნურც გამხდი ღირსად!

*

ვნახე გაიხსნა ზეცა მარადი
 და ანგელოზთა სახეც ვიცან მე!
 მაგრამ იგი ზომ ცაში არ არის,
 ჩემი იმედი ცხოვრობს მიწაზე!
 მაშ, როგორ ძალგის მე დამამყარო
 ეს საშიშარი მოვალეობა!
 მგრძნობარე შეჰქმნა ზეცის სამყარომ,
 ვით შეუძლია ამ გულს მხნეობა!

*

თუ გსურს ამ ქვეყნად გვიჩვენო ძალა,
 ირჩიე სულნი, ცაში რომ დგანან,
 ქვეყნიურ ცოდვით განტვირთულები,
 წარგზავნე ქვეყნად შენი სულები,
 მხოლოდ ისინი მტერს დაამხობენ,
 რომელნიც გულით არაფერს გრძნობენ!
 ო, ნუ აირჩევ, წმინდანო, ქალწულს,
 მწყემსი გოგონას უწყინარ, ნაზ სულს.

*

რად გადავწყვიტო ბელა მეფეთა,
 ან ბრძოლის ბედზე ვწუხდე მე რადა?

მაღალი მთების იალღებზე
ბატკნებს დავევდი უღარდელადა...
მაგრამ მოხვედ და წამომიყვანე
ვრცელ დარბაზებში ზვიად მეფეთა,
ამით კი მხოლოდ ცუდი მიყავ მე
სულ სხვაგვარ ბედზე მეოცნებესა!

მეორე გამოცვლა

აგნესა სორელი. ჟანა

სორელი

(შემოდის ალღებულთ. როცა იგი შეამჩნევს ჟანას, გაექანება მისკენ უღლებ შე-
მოსახვევად; უეცრად რაღაცას მოისაზრებს. შეჩერდება და დაეცემა მის წინ მუხ-
ლებზე)

ო, ასე არა! აჰ, ამ მტვერში, შენს წინ!

ჟანა

წანოდექ!

რა გემართება? შენ ივიწყებ, თუ ჩვენ ვინა ვართ.

სორელი

დამტოვეთ ასე, სიხარულის სწრაფვანა იგი,
რომელიც, ჟანა, შენს ფეხებთან მე კრძალვით მამზობს,
რომ ღვთაების წინ გადმოვშალო მღელვარე გული
და უხილავი გავაღმერთო, ქალწულო, შენში.
ანგელოზი ხარ, ვინც რაიმსში ჩემი ხელმწიფე
შემოიყვანე, რომ გვირგვინი დაადგა თავზე.
რასაც სიზმარში ვერასოდეს ვერ ვიხილავდი,
უკვე შესრულდა. საზეიმო შესამოსელით
დგას ჩემი მეფე და მზადა ავიდეს ტახტზე.
მის გარეშემო დიდებულნი შემოკრებილან,
სამეფო ნიშანთ წასაღებად ეკლესიაში.
ტაძრისკენ ხალხი ტალღასავით მიეფინება.
ისმის ფერხული, ზარებს რეკვენ. ო, არცკი ძალმიძს
ბედნიერება ესოდენი გადავიტანო.

(ჟანა წამოაყენებს მას ფეხზე. აგნესა უყურებს გაშტერებთ)

მაგრამ შენ ისევ მკაცრი ხარ და გულჩათხრობილი,
ბედნიერებას ჰქმნი და თვით არ ეზიარები.
ცივი გაქვს გული, სიხარული არ გეკარება,
რადგან გინახავს სიღიადღე მაღალი ზეცის

და არ გაღელვებს ქვეყნიური ბედნიერება.

(ყანა აღელვებული სტაცებს სორელს ხელს, შემდეგ ისევ გაუშვებს)

მაგრამ შენც ძალგიდს იყო ქალი და გრძნობა გქონდეს!
ომი დამთავრდა. მოიხსენი ჯავშანი ახლა
და შეიცანი შენი თავი უნაზეს ქალად!
სიყვარულისგან ანთებული ეს ჩემი გული
გაგირბის, სანამ იარაღში ჩამჯდარსა გხედავს.

უ ა ნ ა

და რა გსურს, ჩემგან რას თხოულობ?

ს ო რ ე ლ ი

განიარაღდი!

შემოიხსენი ეგ ჯავშანი, რადგან ფოლადით
დაფარულ მკერდსა სიყვარული ყოველთვის უჭურთხის.
გახდი დიაცი და მაშინ შენც სიყვარულს იგრძნობ.

უ ა ნ ა

განვიარაღდე ახლა უნდა? — ო, არასოდეს!
მე მსურს შიშველი მკერდით ომში გადავერიო!
შევიძლო მაინც საშინელი ჩემი ჯავშანით
მაგ თქვენ მხიარულ ზემისგან თავი დავიცვა!

ს ო რ ე ლ ი

შენ ხომ უყვარხარ გრაფ დიუნუას. იმისი გული,
სავსე გმირული დიდებით და ქველმოქმედებით,
მარტოდენ შენთვის ანთებულა უწმინდეს გრძნობით.
მშვენიერია გმირს უყვარდე გულწრფელი გულით
და უფრო კარგი, რომ თვითონაც გიყვარდეს იგი!

(ყანა ზურგს შეაქცევს ზიზლით)

ნუთუ გძულს იგი? არა, არა! შენ ძალგიდს მხოლოდ
ის არ გიყვარდეს, რატომ უნდა გეზიზღებოდეს?
ჩვენ ხომ იგი გძულს, მხოლოდ იგი, ვინც შეყვარებულს
წაგვართმევს ხოლმე. შენ ხომ არავინ არ გყვარებია!
მშვიდი გული გაქვს — ჰოი, მას რომ გრძნობა გააჩნდეს.

უ ა ნ ა

ო, შემთბრალე, დაიტირე შენ ჩემი ბედი!

8. ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

სორელი

რაღა აკლია ნეტავი შენს ბედნიერებას?
ხომ შეასრულე შენი სიტყვა და საფრანგეთი
უკვე დაიხსენ, მოიყვანე რაიმსში მეფე
გამარჯვებული, ეზიარე დიდებას ეგზომს
და ბედნიერი შენი ხალხიც გაფასებს დიდად;
ყველა გაღმერთებს, ყველგან შენი ქება გაისმის,
შენ ხარ ქალღმერთი ამ უდიდეს დღესასწაულს;
შენებრ არ ბრწყინავს თვით ხელმწიფეც გვირგვინოსანი.

ჟანა

შემეძლოს მაინც, ბნელ უფსკრულში დავინთქებოდი.

სორელი

რა მოგდის, ჟანა, რატომ ლელავ ასე ძალიან?
ვის შეუძლია თავისუფლად ამ დღეს შეხედოს,
როს შენი მზერა მწუხარებით დაბლა ეშვება?
უნდა მრცხვენოდეს, ვწითლდებოდე, რადგან შენს გვერდით,
შენს გმირობასთან უსუსური, პატარა ვჩანვარ,
ვით შემიძლია ან კი შევწვდე დიდებას შენსას?
გაგიმელავენებ კი ჩემს უმწეო არარაობას?
არა სამშობლოს ღირსეული დიდება ესე,
არც ეგზომ დიდი ბრწყინვალემა სამეფო ტახტის,
არც ხალხის ლელვა, გამარჯვების დღესასწაული,
ო, არა, ჟანა, ვერ იპყრობენ ისინი ჩემს გულს.
მხოლოდ ერთია ჩემი გულის დამტყვევებელი,
მან მოიპოვა მის სიღრმეში ადგილი მხოლოდ,
ის ღვთაებრივი არსებაა, ადიდებს ხალხი,
იმას ლოცავენ, მის წინაშე ყვავილებს ჰვენენ,
ის შე მეკუთვნის, იგი ჩემი საყვარელია.

ჟანა

ბედნიერი ხარ, ბედნიერი! მშურს შენი ბედი!
გიყვარს ის, ვინაც ყველას უყვარს, და შენი გულიც
უნდა ხმამალა გამოსთქვამდეს აღფრთოვანებას
და ის არაფერს არ მალავდეს კაცთა წინაშე,
რადგან დღეს არის მხოლოდ შენი დღესასწაული.
ყველა ეს ხალხი ურიცხვნი და უსასრულონი,

რაიმსის კედლებს ტალღებივით რომ აწყდებიან,
შენს სიხარულს და შენს დიდებას ინაწილებენ.
გვირგვინს გიწნავენ, გადიდებენ წრფელი გულითა,
შენს ნეტარებას იზიარებს ფრანგი ყოველი,
შენ გიყვარს იგი, მზე ყველაზე შუქთა მთოველი,
ეს დღე ბრწყინვაა მხოლოდ შენი სიყვარულისა.

სო რ ე ლ ი (მოეხვევა ყელზე)

როგორ მახარებ! შენ მთლიანად გამიგე უკვე!
მიეხვდი, რომ შენაც ამქვეყნიურ სიყვარულს იცნობ,
რასაც მე ვგრძნობდი, ის შენ უფრო ნათლად გამოსთქვი.
გული შიშის და სიმბდალისგან თავისუფლდება
და ერთგულების სავეს გრძნობით გენდობა შენა.

ქ ა ნ ა

(სწრაფად გაინთავისუფლებს თავს მისი მკლავებიდან)

დამტოვე მარტო, გამეცალე! თავს ნუ იჩრდილავ
ავადმყოფური, დამლუბველი სიხლოვითა!
იყავ ბედნიერ, წადი! მე კი ნება მომეცი,
ბნელით დაეფარო სირცხვილი და უბედურება.

სო რ ე ლ ი

შენ მე მაშინებ, ვერ მიგიხვდი, მიუწვდომელო.
შენი არსება ჩემთვის მუდამ ფარული იყო.
ვის ძალუძს მისწვდეს იმას, რაიც შენი უმანკო,
წმინდათაწმინდა სულისათვის გასაგებია!

ქ ა ნ ა

შენ თვითონა ხარ უმანკო და წმინდანი ქალი
და რომ შეგეძლოს ამ ჩემს გულში ჩამოგეხედა,
მაშინვე ჩემგან, როგორც მტრისგან, უკუილტვოდი.

მესამე გამოსვლა

დი უ ნ უ ა. დი უ შ ა ტ ე ლ ი და ლ ა ჰ ი რ ი, ქ ა ნ ა ს დ რ ო შ ი თ.

დი უ ნ უ ა

შენ გეძებთ, ქანა. ყველაფერი უკვე მზად არის.
ხელმწიფემ შენთან გამოგეგზავნა, ჩვენს მბრძანებელს სურს
ტაძრისკენ წინ შენ გაუმძღვარო ეს წმინდა დროშა.

სამეფო კარის დიდებულთა და თავადთ შორის
უნდა შენც იყო, მისდიოდე მეფის მახლობლად,
ხელმწიფეს არ სურს დამალოს და ქვეყნიერებას
უნდა აუწყოს, რომ ზეიმის მიზეზი შენ ხარ
და შენ გეკუთვნის ამ დღის მთელი პატივისცემა.

ლა ჰირი

დროშა აქ არის, მიიღე ის, წმინდა ქალწულო!
უკვე გიცდიან დიდებულნი, მეფე და ხალხი.

ჟანა

მას წინ გავუძღვე! და ეს დროშა მეჭიროს ხელში?

დიუნუა

სხვას ვის შეჭფერის, ღირსეული ვისა აქვს ხელი,
ეგოდენ წმინდა, რომ ეს შენი დროშა ატაროს.
შენ ხომ მიგქონდა ის ბრძოლაში; წაიღე ახლაც,
გამარჯვებულთა სიხარულის დასამშვენებლად.

(ლა ჰირს სურს გადასცეს დროშა. ჟანა შეშინებული უკან დაიწევს)

ჟანა

შორს! გამეცალეთ!

ლა ჰირი

რა გაშინებს! რა გემართება,
საკუთარ დროშის წინაშე თრთი? აბა, შეხედე!

(იგი შლის დროშას)

ეს ის დროშაა, ომში ძლევეთ რომ მიაჩხვედი.
თვით დედა ღვთისა არის მასზე გამოხატული,
მიწის ბურთს ზემოთ რომ მისცურავს ჰაეროვანი —
როგორც თვითონ მან გასწავლა ეს და შთაგაგონა.

ჟანა (შეშინებული ათვლიერებს)

იგია! იგი! მომეგლინა ასეთი სახით.
შეხეთ, როგორი შუბლშეკრული და რისხევით სავსე-
მიცქერის იგი მოღუშული წამწამებიდან!

სორელი

მგონი, შენ ჰკვაზე აღარა ხარ! მოდი კვლავ გონზე!
რა უცნაურად იცქირები, გამოერკვიე!

ეს ქვეყნიური ხატებაა იმისი მსგავსი,
ის ხომ არასდროს არა სტოვებს ზეცის სამყოფელს.

ქ ა ნ ა

ჰოი, მრისხანევ, თუ მოხვედი ჩემს დასასჯელად?
გამანადგურე და დამსაჯე, დამეცი მეხი
და განმაშორე წარწყმედილი თავი ტანიდან.
მე დავარდვიე მოცემული პირობა შენთან,
მე შევარცხინე და შევერყვენი სახელი შენი!

დი უ ნ უ ა

ვაგლახ! ო, ეს რა საშინელი სიტყვები მესმის!

ლ ა ჰ ი რ ი (გაოცებული დიუ შატელს)

ხედავთ, დიუ შატელ, რარიგ ძლიერ მღელვარებს იგი?

დი უ შ ა ტ ე ლ ი

მე იმას ვხედავ, რისი ნახვაც ასე ძალიან
დიდი ხანია მაშინებდა.

დი უ ნ უ ა

როგორ? რას ამბობთ?

დი უ შ ა ტ ე ლ ი

ვერ გეტყვით იმას, რასაც ვფიქრობ. ღმერთს ექნა მაინც
ჩვენი მეფისთვის ჯერ გვირგვინი დაგვედგა თავზე.

ლ ა ჰ ი რ ი

საშინელება, ამ დროშიდან მტერს რომ ზარავდა.
აწ ნუთუ თავზე უნდა რისხვით დაგატყდეს შენვე?
დე, ბრიტანელნი ცახცახებდნენ მის დანახვაზე,
იგი საშიში არის მხოლოდ ფრანგთა მტრებისთვის,
ხოლო მის ერთგულ მოქალაქეთ მწყალობელია.

ქ ა ნ ა

შენ მართალს ამბობ, მეგობართა მწყალობელია,
ხოლო მტერთათვის კი — ზარმცემი საშინელება!

(ისმის მარში)

დიუნუა

მათ საზეიმო სვლა დაიწყეს, დაიჭი დროშა.

არცერთი წუთით დაყოვნება არ შეიძლება!

(ისინი აიძულებენ ჟანას დროშას ხელი მოჰკიდოს. იგი გამოართმევს დროშას მწარე ზიხლით და გადის. დანარჩენები უკან მისდევენ)

სცენა წარმოადგენს თავისუფალ მოედანს ეკლესიის წინ

მეოთხე გამოცვლა

მაყურებლებით ივსება სცენის უკანა მხარე, საიდანაც გამოდიან ბერტრანი, კლოდ მარი და ეტიენი, მათ მოსდევენ მარგო და ლუიზა. შორიდან მოისმის მარში

ბერტრანი

გესმით მუსიკა! ისინი ჩვენ მოგვიახლოვდნენ!
როგორ სჯობია, მოედანზე გაეჩერდეთ აქვე,
თუ შევერიოთ ხალხის დენას მოზღვავებულსა,
რომ მომავალნი უფრო ახლოს ვნახოთ როგორმე?

ეტიენი

იქ ვერ გავალწევთ, რადგან უკვე ყოველი ქუჩა
ხალხით, ცხენებით და ურმებით გაქედილია.
მო, შევიცადოთ ამ სახლებთან და აქვე შევხვდეთ;
აქედან უფრო დავინახავთ მოხერხებულად,
ისინი ახლოს ჩაგვივლიან.

კლოდ მარი

ისეა, თითქოს

მთელ სახელმწიფოს მოეყაროს აქ თავი ერთად...
და ხალხთა სწრაფვა ისე დიდი, ძლიერი არის,
ლოტარინგიის შორეული ქვეყნიდანაც კი
მოედინება მდინარისებრ.

ბერტრანი

აბა, მითხარი,

ვინღა დაჯდება თავის სახლში გამომწყვდეული,
როს სამშობლოში უდიდესი ამბავი ხდება,
რაც ამდენ ოფლად, სისხლის ფასად დაგვიჯდა უკვე,
სანამდე გვირგვინს კანონიერ თავს დავადგამდით.
და ჩვენ ხელმწიფეს, კანონიერს, რომელსაც ახლა
თავს გვირგვინს ვადგამთ, უფრო ცივად არ უნდა შევხვდეთ,

ვიდრე პარიზელს, ვინც სენ-დენში ტახტზე ავიდა.
იგი უჭკვოა, ვინაც ამ დიდ დღესასწაულში
არ დაიყვირებს: გაუმარჯოს ხელმწიფეს ჩვენსას!

მეხუთე გამოსვლა

მარგო, ლუიზა შემოდიან მათთან

ლუიზა

მარგო, აქ ვნახავთ საყვარელ და ძვირფას დას ჩვენსას.
როგორა ჰფეთქავს ჩემი გული!

მარგო

ჩვენ ვნახავთ იმას
დიდების შუქით გაბრწყინებულს და ვიტყვიტ ჩვენთვის:
ის არის, ისა, ჩვენი ჟანა, ჩვენი კარგი და.

ლუიზა

მე არც კი ძალმიძს დავიჯერო, სანამდე თვალით
თვითონ არ ვნახავ, რომ ის ქალი, მძლეთამძლეველი,
ორღეანელ ქალს რომ უხმობენ, ჩვენი და არის,
ასე უეცრად დაკარგული ჩვენი სოფლიდან.

(მარში ახლოვდება)

მარგო

კვლავ ეჭვიანობ! ახლა შენი თვალითა ნახავ.

ბერტრანი

გაჩუმდით! ისინი მოდიან!

მეექვსე გამოსვლა

წინ მოდიან მუსიკოსები, მათ მოსდევენ თეთრად შემოსილი ბავშვები ხელში რტოებით; მათ უკან ორი ჭეროლდი და ჯარისკაცთა რაზმი, მაგისტრები, მოხელენი საპარადო ტანსაცმელით, ორი მარშალი კვერთხით, ბურგუნდის ჭერცოგი ხმლით, დიუნუა სკიპტრით. სავა დიდებულნი გვირგვინით და სამეფო კვერთხით. მათ უკან რაინდები ორდენთა სამოსით. მგალობელნი გუნდრუკის საკმეველით. ორი ეპისკოპოსი სურნელოვანი ზეთის ჭურჭლით. არქიეპისკოპოსი ჯვრით. მას მოჰყვება ჟანა დროშით. იგი მოდის თავჩალუნული და უთანაბრო ნაბიჯით. დები მას რომ თვალს მოჰკრავენ, გამოხატავენ უდიდეს გაკვირვებას. მათ უკან მოდის მეფე ბალდაზინის ქვეშ, რომელიც მოაქვს ოთხ ბარონს. უკან მოსდევენ ჯარისკაცები, შემდეგ ჯარისკაცთა რაზმი. როდესაც პროცესია ეკლესიაში შედის, გაისმის მარში

მეშვიდე გამოსვლა
ლუიზა. მარგო. კლოდ მარი. ბერტრანი

მარგო

ნახე დაიყო?

კლოდ მარი

მკერდს ემოსა ოქროს ჯავშანი
და ხელმწიფის წინ მიდიოდა თავისი დროშით!

მარგო

სწორედ ის იყო, ჩვენი ჟანა, ჩვენი ძვირფასი.

ლუიზა

მან ვერც კი გვიცნო, ალბათ, იგი ვერც მიხვდა იმას,
რომ მისი დები იყვნენ ხალხში იმის მახლობლად.
მიწას უცქერდა ფერმკრთალი და დაღონებული,
თავისი დროშით მიდიოდა აღელვებული.
ო, მისი ნახვა მე სულაც არ გამხარებია.

მარგო

ჩვენ ვნახეთ ჟანა შემოსილი დიდების შუქით,
მაგრამ უწინ კი, ცხვარს რომ სდევდა უდაბურ მთებში,
ვინ იფიქრებდა, განდიდებულს თუ ვიხილავდით.

ლუიზა

მამის სიზმარი უკვე ახდა და ჩვენ რაიმსში
ვდგევართ ჟანას წინ მოკრძალებულ პატივისცემით.
აი ტაძარი, მამაჩვენმა სიზმრად რომ ნახა,
ხომ ხელაგ ახლა, ყველაფერი აცხადდა უკვე.
მაგრამ მან ნახა სხვა მწუხარე სიზმარიც კიდევ.
აჰ, მეცოდება იგი ასე განდიდებული.

ბერტრანი

რაღასა ვდგევართ აქ უსაქმოდ? შევიდეთ ჩვენაც
წმინდა ტაძარში დასასწრებლად...

მარგო

დიახ, წავიდეთ!

შესაძლო არის იქა ვნახოთ როგორმე ჟანა.

ლ უ ი ზ ა

ჩვენ ხომ ის უკვე კიდევ ვნახეთ. დავბრუნდეთ უკან,
ჩვენს სოფელშივე.

მ ა რ გ ო

როგორ? ასე მიუსალმებლად?

ამბავი მაინც არა ვკითხოთ?

ლ უ ი ზ ა

ალარ გვეკუთვნის

ჩვენ იგი უკვე, ვინაიდან მისი ადგილი
მეფე-მთაფართა შორისაა,—ჩვენ კი რანი ვართ,
ჩვენი ნახვით ხომ მის დიდებას ჩრდილს მივაყენებთ.
ის მაშინაც კი გაგვიბოდა, ჩვენთან რომ იყო.

მ ა რ გ ო

ნუთუ იგი ჩვენ გვერიდება და ვეზიზღებით?

ბ ე რ ტ რ ა ნ ი

თვით მეფემ არ გვიუკადრისა და მეგობრულად
თავის ქვეშევრდომთ, მდაბიოებს, გვესალმებოდა.
დაე, ამაღლდეს და განდიდდეს, ხელმწიფე მაინც
უდიდესია აქ ყველაზე.

(ტაძრიდან ისმის საყვირის და დაფდაფების ხმა)

კ ლ ო დ მ ა რ ი

წამო, შევიდეთ!

(ისინი გაეშურებიან ტაძრისკენ და ხალხში იკარგებიან)

შ ე მ ც ხ რ ე ბ ა მ ო ს ც ლ ა

ტიბო შემოდის შავი სამოსით. მას მოსდევს რაიმონდი და ცდილობს
გააჩეროს იგი

რ ა ი მ ო ნ დ ი

შამაო ტიბო, მოიცადეთ, დავბრუნდეთ უკან!
ხედავთ აქ ყველა სიხარულით აღსავეს არის,
ეგ მწუხარება დღესასწაულს ჩრდილს მიაყენებს.
წამო, გავიქცეთ, შამაო არკ, ამ ქალაქიდან.

ტ ი ბ ო

ხომ ნახე კარგად ჩემი ბავშვი ასე საბრალო?
ხომ დაინახე?

რ ა ი მ ო ნ დ ი

გთხოვთ გავიქცეთ, გემუდარებით.

ტ ი ბ ო

ხომ შეამჩნიე რარივ ფრთხილად მიაბიჯებდა,
როგორ ფერმკრთალი, დაბნეული ჰქონდა მას სახე.
ო, საცოდავი, ის გრძნობს თავის მდგომარეობას.
უკვე დრო დადგა, გამოვიხსნა ჩემი გოგონა,
მინდა ამ წუთით ვისარგებლო.

რ ა ი მ ო ნ დ ი

რა განგიზრახავთ?

ტ ი ბ ო

მსურს დავამარცხო, მინდა შორად გადავისროლო
ამ უმაქნისი დიდებიდან. დიახ, მე მინდა,
რომ ძალით მაინც დავუბრუნო ისევ თავის ღმერთს,
რომელსაც იგი გადაუდგა.

რ ა ი მ ო ნ დ ი

კარგად იფიქრეთ,
ნუ აჩქარდებით, ნუ დალუბავთ საკუთარ შვილსა.

ტ ი ბ ო

მოკვდეს სხეული, ოღონდ სული გადარჩეს მისი.

(ჯანა გამოვარდება ეკლესიიდან უდროშოდ. ხალხი მოსდევს გარშემო, ჰკოც-
ნიან მის ტანსაცმელს. მას შეაჩერებს ხალხის ნაკადი)
იგი ფერმკრთალი გამოვარდა წმინდა ტაძრიდან,
ეკლესიიდან შიში სდევნის. ის აქეთ მოდის.
ეს, ალბათ, თვითონ ღვთაებრივი მართლმსაჯულება
სდევნის ტაძრიდან შეძრწოლებულს.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მშვიდობით, ტიბო!

წულარ ინებებთ, რომ მე კიდევ გამოგყვეთ სადმე.
მე აქ იმედით სავსე მოვედ, მაგრამ მივდივარ

აწ უიმედო და მწუხარე. მე ვნახე ჟანა
და ვგრძნობ, ის ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულია.

მეცხრამ გამოსვლა

ჟანა. ხალხი. შემდეგ მისი დები

ჟანა

(ხალხით გარშემორტყმული ნელა მოდის წინისაკენ)
მე აღარ ძალმიძს აქ დარჩენა — სულნი მღვენიან,
ვით მეხის გრგვინვა, ისე ისმის ორგანოს ხმები.
ტაძრის თაღები ჩამოქცევას ლამობენ ჩემზე,
შორს, ღია ცის ქვეშ, მსურს ვეძიო სულს სავანე,
იქ მივატოვე ჩემი დროშა, წმინდა ტაძარში,
და არასოდეს ამ ხელს იმას არ მივაკარებ.
თითქოს სიზმარში მენახოსო, აქ დავინახე
მე საყვარელი ჩემი დები მარგო, ლუიზა.
ჩემს სიახლოვეს გაიარეს იმათ აქ თითქოს,
მაგრამ ეს იყო მარტოოდენ ცრუ მოჩვენება.
ოჰ, შორს არიან ისინი, ვით ბავშვობა ჩემი,
როგორც უმანკო ჩემი ლალი ბედნიერება.

მარგო (წინ გამოდის ხალხიდან)

ის არის, ისა! ჩვენი ჟანა.

ლუიზა (ისწრაფვის მის შესაბვედრად)

ო, ჩემო დაო!

ჟანა

ნუთუ არ იყო მაშ სიზმარი — ნუთუ ეს თქვენ ხართ,
ჩემო ლუიზა, ჩემო მარგო, მე თქვენ გეხვევით!
აქ უცხო აღვილს მრავალ ხალხის თანადასწრებით
მწუხარე გულში კვლავ ვიკონებ თქვენს ძვირფას მკერდებს.

მარგო

ის კიდევ გვიცნობს, ისევ ჩვენი კეთილი დაა.

ჟანა

თქვენ სიყვარულმა მოგიყვანათ ასე შორიდან
ჩემს სანახავად. ჩემო დებო, ნუ გამიწყრებით,
რომ წამოსვლისას მე თქვენ ველარ გამოგეთხოვეთ.

ლ უ ი ზ ა

შენ წაგიყვანა იღუმალმა ბრძანებამ ღვთისა.

მ ა რ გ ო

ხმამ შენს შესახებ, მთლად რომ შესძრა მთელი ქვეყანა,
შენმა სახელმა, ყველას პირზე რომ აკერია,
ისე ვით ყველგან, მოაღწია ჩვენს წყნარ სოფლამდც,
გამოგვიყვანა ამ დიდებულ დღესასწაულზე.
ჩვენ აქ მოვედით, რომ გვენახა დიდება შენი,
არც მარტონი ვართ!

ქ ა ნ ა (სწრაფად)

მამაჩემიც ხომ თქვენთან არის?

სადაა ნეტავ, რატომ არ ჩანს, რად იმალება?

მ ა რ გ ო

მამა არ გვახლავს.

ქ ა ნ ა

არა? ნუთუ არ მოისურვა

ვენახე მაინც? მოკითხვა ხომ შეჰომითვალა?

ლ უ ი ზ ა

მან არც კი იცის, ჩვენ რომ აქ ვართ.

ქ ა ნ ა

მან არც კი იცის!

რატომ არ იცის? თქვენ იბნევით. დაბლა ხრით თვალებს
და არ მიმელავენებთ სიპართლესა! სად არის მამა?

მ ა რ გ ო

რაც შენ წამოხვედ...

ლ უ ი ზ ა (ანიშნებს თვალებით)

მარგო!

მ ა რ გ ო

მამა დადარდიანდა.

ჟ ა ნ ა

დადარდიანდა?

ლ უ ი ზ ა

ნუ სწუხდები, დამშვიდდი, ჟანა!
შენ კარგად იცნობ მამაჩვენის ნათელმხილველს და
შორსმკვრეტელობით აღსავსე სულს. ის დამშვიდდება,
როცა გაიგებს, რომ შენ ასე ბედნიერი ხარ.

მ ა რ გ ო

ხომ ხარ ნამდვილად ბედნიერი? გმართებს კიდევაც,
რადგანაც ასე დიდი ხარ და პატივცემული.

ჟ ა ნ ა

ბედნიერი ვარ, რადგან გხედავთ თქვენ ჩემთან ისევ,
კვლავ შესმის თქვენი საუბარი, საყვარელი ხმა,
რომელიც ისევ ჩემს მშობლიურ მდელს მაგონებს.
იქ მე ვმწყემსავდი მალალ მთებზე ფარას ცხვრებისას,
იქ მე ვიყავი ბედნიერი, ვით სამოთხეში —
ნუთუ იმ წუთებს ვერასოდეს ვერ დავებრუნებ?
(იგი ჩამალავს სახეს ლუიზას მკერდზე. კლოდ მარი, ეტიენი და ბერტრანი გა-
მოჩნდებიან შორად. ისინი ვერ ბედავენ მოახლოებას)

მ ა რ გ ო

მოდით, ეტიენ, ბერტრან, მარი, ნუ გეხათრებათ!
არ არის იგი გულზვიადი, ისევ წყნარია.
და ჩვენც, ხომ ხედავთ, მეგობრულად გვესაუბრება,
სწორედ იმგვარად, სოფელში რომ იცოდა ხოლმე.
(ისინი მიდიან ახლო და გაუწვდიან ხელს. ჟანა უყურებს თვალგამტერებით და
ეძლევა ღრმა დუმილს)

ჟ ა ნ ა

ხად, სად ვიყავი? ოჰ, მითხარით, ეს ყველაფერი
გრძელი სიზმარი ხომ არ იყო, აწ გავიღვიძე?
და მეც მოვდივარ ღომ-რემიდან, ხომ მართალია?
თუ ჩამეძინა ჯადოსნური მუხის ქვეშ, ჩრდილში.
გამოვიღვიძე ახლა და თქვენ ჩემს ირგვლივ სდგებართ,
კარგად ნაცნობი სახეები, ჩემი ერთგულნი.

მე ამ მეფეთა და საომარ საქმის შესახებ
იქნება ვნახე მარტოოდენ ფუჟი სიზმარი —
მათ ჩრდილებივით გაიარეს ჩემს სიახლოვეს,
ვით ზმანებებმა, ჯადოსნური ხის ქვეშ ნახულმა.
მაშ რაიმსში რაჲ მოგიყვანათ? ან მე თვით როგორ
მოვსულვარ აქა? მე დომ-რემის არ დავტოვებდი...
ო, სთქვით მართალი, მეგობრებო, სთქვით, გამახარეთ.

ლ უ ი ზ ა

ჩვენ რაიმსში ვართ, შენ კი ამ დიდ საქმის შესახებ
კი არ გესიზმრა, არამედ ის შენ შეასრულე.
ო, გონს მოეაფე, გარეშემო მიმოიხედე
და შეხედე ამ ოქროს ჯავშანს, რარიგად ბრწყინავს.
(უანა ხელს დაიდებს მკერდზე, გამოერკვევა და შეშინდება)

ბ ე რ ტ რ ა ნ ი

შენ ხომ ხელიდან გამომტაცე ეგ მუზარადი.

კ ლ ო დ მ ა რ ი

რატომ გვიკვირდეს, რომ გგონია სიზმრად ნახული,
რადგანაც იგი, რაც ნამდვილად მოიმოქმედე,
ძნელია, კაცმა თვით საოცარ სიზმარშიც ნახოს.

ქ ა ნ ა

წამო, გავიქცეთ! დავბრუნდები მეც თქვენთან ერთად,
ჩვენს ყრუ სოფელში, მამაჩემის სახლკარში ისევ.

ლ უ ი ზ ა

ო, წამო, წამო ჩვენთან ერთად.

ქ ა ნ ა

აქ მე ყველანი
მადიდებენ და ჩემს ღირსებას აზვიადებენ,
მაგრამ თქვენ მიცნობთ ვით პატარას და სუსტ არსებას,
თუმც მათებრ ასე არ მადიდებთ, გიყვარვართ უფრო.

მ ა რ გ ო

მაშ, შენ დიდების მიტოვება მოგსურვებია!

უ ა ნ ა

შორს გადავისვრი მე დიდებას და ამ საზიზღარ
მორთულობასაც, თქვენს გულებს, რომ მე დამაშორა.
მსურს გადავიქცე მე ზღაბიო მწყემს ქალად ისევ,
და, ვით უმცროსი, ძველებურად კვლავ გემსახუროთ.
დანაშაული მკაცრ სასჯელით მოგინანიო
და გავხდე თქვენებრ უაღრესად კეთილშობილი.

(ისმის საყვირების ხმა)

მეათე გამოსვლა

მეფე გამოდის ეკლესიიდან თავზე გვირგვინით და სამეფო პორფირით. ა გ ნ ე ს ა
ს ო რ ე ლ ი. ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი. ბ უ რ გ უ ნ დ ი. დ ი უ ნ უ ა. ლ ა ჭ ი რ ი.
დ ი უ შ ა ტ ე ლ ი. კ ა რ ი ს კ ა ც ნ ი და ხ ა ლ ხ ი

ხ ა ლ ხ ი

(ყვირიან მეფის გამოსვლისას)

დიდება მეფეს, გაუმარჯოს კარლოს მეშვიდეს!

(გაისმის საყვირის ხმა, მეფის ნიშნებისთანავე ჰეროლდები აჩუმებენ ხალხს)

მ ე ფ ე

კეთილო ხალხო! გმადლობთ დიდი სიყვარულისთვის.
გვირგვინი იგი, ღვთაებამ რომ დამადგა თავზე,
მედგარი ბრძოლით, თარ-ხმლით არის მოპოვებული
და კეთილშობილ ხალხის სისხლში ამოვლებული.
მაგრამ სიმშვიდე მას რტოებით ზეთისხილისა
კვლავ აამწვანებს და შეამკობს უწინდებურად.
მადლობა ყველას, ვინაც ჩვენთვის იბრძოდა მედგრად,
ხოლო მტრებზე კი მოწყალება უნდა მოვილოთ,
რადგან ჩვენც ღმერთმა გადმოგვხედა მოწყალე თვალით.
დე, შეწყნარება იყოს ჩემი პირველი სიტყვა.

ხ ა ლ ხ ი

დიდება კარლოსს, გაუმარჯოს კეთილ ხელმწიფეს!

მ ე ფ ე

მხოლოდ ღვთისაგან, უზენაეს მბრძანებლისაგან,
იღებდნენ გვირგვინს მიფეები საფრანგეთისა.
და, როგორცა ჩაეს, ჩვენც გვირგვინი მისი შეწევნით

და მისი ხელით მივიღეთ დღეს.

(უჩვენებს ქალწულზე)

აქ დგას ღვთაების მოციქული, რომელმაც ისევ
თქვენ დაგებრუნათ თქვენი მეფე კანონიერი
და დაამსხვრია დამპყრობელთა უღელი მძიმე.
მისი სახელი თვით დენისის სახელის მსგავსად
წმინდაა, რადგან მან დაიცვა ჩვენი ქვეყანა.
მის სადიდებლად აღვაგოთ აქ საკურთხეველი.

ხ ა ლ ხ ი

ლიდება ჟანას! გაუმარჯოს ჩვენს დამხსნელ ქალწულს!
(საყვირის ხმა ისმის)

მ ე ფ ე (ჟანას)

თუ შენც ჩვენებრ ხარ მიწიერი ადამიანი,
გვითხარ, როგორი გაგახარებს ბედნიერება;
მაგრამ, თუ მალლა ზეცაშია შენი სამშობლო
და ქალწულებრივ სხეულში გაქვს მოთავსებული
ციურ ბუნების მომხიბვლელი ჴმანკო შუქი,
მაშინ ჩვენს თვალებს მოაცილე ბნელი ბურუსი
და დაგვანახე შენი თავი ნათელსა შუქში
იმნაირ სახით, როგორსაც თვით ზეცა გბილულობს.
რომ მიწიერთაც პატივი გცეთ.
(ყველა სდუმს, ყველას თვალები მიპყრობილია ჟანაზე)

ქ ა ნ ა (უეცრად)

ო, ღმერთო! მამა!

მეთერთმეტე გამოცვლა

ტ ი ბ თ გამოვა ხალხიდან და გაჩერდება ჟანას პირდაპირ.

ხ ა ლ ხ ი

ო, მისი მამა!

ტ ი ბ თ

ღიახ, მისი მწუხარე მამა,
რომელმაც უნდა მოახდინოს უბედურება
და ღვთის სამსჯავროს საკუთარი შვილი გადასცეს.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ჰა! ეს რას ნიშნავს!

დიუ შატელი

საშინელი რამე მოხდება!

ტიბო (მეფეს)

ნუთუ გჯერა, რომ გაიმარჯვე ღვთაების ძალით?
მოსტყუებულხარ, მეფე! ხალხი დაბრმავებულა!
ღმერთმა კი არა, შენ ეშმაკმა გადაგარჩინა.

(ყველა შიშით უკან დაიწვეს)

დიუნუა

ხომ არ გაპკივდი?

ტიბო

მე კი არა, შენ თვით გაპკივდი.

ყველა ესენი, ეს ჭკვიანი ეპისკოპოსიც,
რომელთაც სჯერათ, რომ თვით ზეცამ გამოუგზავნა
და მოუვლინა მოციქული ამ გოგოს სახით,
აი, ამ წუთსვე დაინახავთ მამის წინაშე
გაბედავს იგი თუ არა კვლავ რომ დაამტკიცოს
ეს თვალთმაქცობა, რომელითაც მან მოატყუა
მეფე და ხალხი. უპასუხე წმინდა სამეფას,
თუ შენ წმინდა ხარ, უცოდველი და ღვთისნიერი.

(საერთო დუმილი. ყველა უცქერის ჟანას. იგი დგას უმოძრაოდ)

სორელი

ღმერთო, იგი სდუმს!

ტიბო

იგი უნდა სდუმდეს კიდევაც

იმის წინაშე, ვინაც თვითონ ბნელ ჯოჯოხეთშიც
საშინელია! ნუთუ იგი არის წმინდანი,
ღვთის მოციქული? ყველაფერი მან მოიგონა
მოჯადოებულ მუხის ქვეშა, სად დიდი ხნიდან
ბუდობს ბოროტი, ავი სული; იქ მან მიჰყიდა
თავისი სული ეშმაკს, მტერსა კაცობრიობის,
რომ მოეპოვა წუთიერი დიდება ქვეყნად.
დე, გაიშიშვლოს მან მკლაფები, ნახეთ წერტილნი,
რომელნიც თვითონ ჯოჯოხეთმა აღბეჭდა მათზე.

9. ფ რ ი დ რ ი ს შ ი ლ ე რ ი — ტრაგედიები.

ბ უ რ გ უ ნ დ ი

საშინელია, მაგრამ მამას უნდა ვერწმუნოთ,
რომელიც თავის საკუთარ შვილს ასე მკაცრად სჯის.

დ ი უ ნ უ ა

არა, არ უნდა დავუჯეროთ ამ სულელ გლეხკაცს,
თავის უცოდველ და უმანკო ბავშვის შემრცხვენელს.

ს ო რ ე ლ ი (ჯანას)

სთქვი, დაარღვიე საშინელი ღუმილი შენი,
დაგერწმუნებით, რასაც იტყვი, ჩვენ ვწუხვართ შენზე.
მაგ ბაგეთაგან წარმოთქმული ერთი სიტყვითაც
ჩვენ დავმშვიდდებით, ოღონდ გვითხარ, ოღონდ უარჰყავ
ეს უდიდესი ბრალდება და ხალხს განუცხადე
შენი სიმართლე და მაშინ ჩვენც დაგერწმუნებით.

(ჯანა დგას უმოძრაოდ. აგნესა განზე გადაგება შიშით)

ლ ა ჰ ი რ ი

იგი შეშინდა. გაოცებამ და შეძრწუნებამ
თუ დაადუმა მისი ბაგე. ასეთ უდიდეს
ბრალდებისაგან შეძრწუნდება უმანკობაც.

(იგი მიუახლოვდება ჟანას)

გონს მოდი, ჟანა! უდიდესსა უცოდველობას
აქვს თავის ენა, მზერა ჯიქურ შემმართებელი,
ყოველ ბრალდებას ძირს რომ ამბობს და აცამტკერებს.
კეთილშობილი მრისხანებით აღსდექი ისევ
და შეარცხვინე ეკვი შენზე შეუფერები,
რომელიც ასე შეურაცხყოფს შენს სათნობას.

(ჯანა დგას უძრავად, ლა ჰირი დაიხვეს ჟან. ხალხის მღელვარება მატულობს)

დ ი უ ნ უ ა

რად ღელავს ხალხი, რატომ თრთიან თვით რაინდებიც,
უცოდველია, თავდებობას ვიღებ ჩემს თავზე
და რაინდულის ღირსებითა ამ ჩემს ხელთათმანს
ვაგდებ აი აქ, საბრძოლველად სუყველას ვიწვევ —
ვინაც გაჰბედავს, რომ უწოდოს მას დამნაშავე.

(გაისმის ძლიერი ქუხილი. ყველა შემინებულია)

ტი ბ ო

უზენაესი გრგვინავს რისხვით, პასუხი გაეც,
სთქვი, რომ არა ხარ დამნაშავე და მაგ შენს გულში
მტერი არა ზის, დამსაჯე მე სიცრუისათვის.

(გაისმის მეორედ უფრო ძლიერი გრგვინვა, ხალხი გაიფანტება სხვადასხვა მხრე-
საკენ)

ბ უ რ გ უ ნ დ ი

ღმერთო, გვიშველე! ეს ამბავი ცუდს მოასწავებს.

დი უ შ ა ტ ე ლ ი (მეფეს)

წამო, წავიდეთ, ჩემო მეფევე, ამ ადგილიდან!

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (ჯანას)

ღმერთის სახელით გეკითხები, რისთვისა სდუმხარ:
უცოდველი ხარ, თუ გამძიმებს დანაშაული?
და თუ ქუხილის მძლავრი გრგვინვა შენ გემოწმება,
მაშინ, აჰა, ეს წმინდა ჯვარი, მას ეამბოროე.

(ჯანა რჩება უმოძრაოდ. კვლავ გაისმის მძლავრი ქუხილი, გრგვინვა. მეფე, აგ-
ნესა სორელი, არქიეპისკოპოსი, ბურგუნდი, ლა ჰირი, დიუ შატელი გადიან)

მ ი თ ო რ მ ი მ ტ მ გ ა მ ო ს ვ ლ ა

დი უ ნ უ ა. ჟ ა ნ ა

დი უ ნ უ ა

მე თავიდანვე გიწოდე შენ ჩემი საცოლდე,
ვუჯეროდი შენს ლამაზ თვალებს, ახლაც მწამს მათი.
უფრო მეტი მწამს შენი, ვიდრე ყველა ამ ამბის,
ვიდრე თვითონ ამ ქუხილისა, ცაში რომ გრგვინავს.
კეთილშობილი მრისხანებით დადუმებულხარ,
მაგ შენს უცოდველ სიწმინდეში კარჩაკეტილი.
და აღარც კი გსურს, რომ უღირს ექვს პასუხი გასცე.
უარპყავ იგი და გამენდე გულდანდობილი,
შენს სიმართლეში არასოდეს დავექვებულვარ.
ნურაფერს მეტყვი, მხოლოდ ხელი გამომიწოდე,
იმის ნიშნად და საწინდარად, რომ შენ ამ ჩემს ხელს
და კეთილ საქმეს ენდობი მხნედ და გაბედულად.

(იგი გაუწვიდის ჟანას ხელს. ჟანა ზურგს შეაქცევს თრთოლვით. დიუნუა უცქე-
რის გაკვირვებით და შიშით)

მეცამეტე გამოსვლა

ჟანა. დიუ შატელი. დიუნუა. ბოლოს რაიმონდი

დიუ შატელი (უკან ბრუნდება)

ჟანა დარკ! თვითონ ჩვენმა მეფემ ნება გიბოძათ
წაბრძანდეთ იქა, სადაცა გსურთ. ჩვენი ქალაქი
დატოვებთ სწრაფად, ღია არის კიშკარი თქვენთვის.
ნუ გეშინიათ, თქვენ დაგიცავთ ხელმწიფე თვითონ.
წამო, დიუნუა, არ შეგფერით ამ ადგილს დგომა,
ნუ დააყოვნებთ. ყველაფერი როგორ დასრულდა!

(იგი მიდის. დიუნუა მცირე ხნის დუმილის შემდეგ შეხედავს ჟანას და მიდის.
ჟანა მარტო რჩება. ბოლოს გამოჩნდება რაიმონდი. რამდენიმე ხანს ჩერდება
მოშორებით და ათვალღერებს ქალწულს მდუმარე გულისტკივილით, შემდეგ
მივა მასთან და გაუყრის ხელს)

რაიმონდი

წამო, წავიდეთ. ქუჩები მთლად დაცარიელდა.
მომეცით ხელი, წამოგყვებით და გაგაცილებთ.

(მის შეხედვას ჟანა უპასუხებს თანაგრძნობით. მდუმარედ შეხედავს რაიმონდს,
შემდეგ ახედავს ზეცას. მკვირცხლად აძლევს ხელს და მიდის)

მეხუთე მოქმედება

ულრანი ტყე

შორიდან მოჩანს მენახშირის კოხი. საშინლად გრგვინავს და ელავს. ისმის სროლა

პირველი გამოცვლა

მენახშირე და მისი, ცოლი

მენახშირე

რა საშინელი ავდარია, რა საზარლად ქუხს,
მთლად ცეცხლში არის გახვეული მგრგვინავი ზეცა
და ნათელი დღე გადაიქცა თითქოს ბნელ ღამედ,
ისე რომ ვარსკვლავთ ციმციმსაც კი შეამჩნევს თვალი.
თითქოს შეებნელმა ჯოჯოხეთმა აიშვა თავი,
ქშინავს გრიგალი და ზანზარებს მთლად დედამიწა.
როგორც ძლეულნი, დაბლა ხრიან იფნები ტოტებს
და ამ საშინელ ომს ზეცისას, გრიგალს, რომელსაც
შეშინებულნი გაურბიან მძვინვარე მხეცნი
და ბუნაგებში ეძიებენ თავშესაფარსა,
ადამიანთა დამშვიდება არ შეუძლია.
ამ საშინელი ქარიშხალის საშიშ გრიალში
ისმის სროლის ხმა, შემზარავი, გამუდმებული.
ორივე ჯარი დგას აქ ისე ერთურთთან ახლოს,
რომ იმათ მხოლოდ ტყე აშორებთ და ყოველ წუთში
შესაძლო არის გაიმართოს სასტიკი ბრძოლა.

ცოლი

ღმერთო გვიშველე და დაგვიხსენ. მტრები ხომ უკვე
ჩვენმა ლაშქარმა დაამარცხა, გაანადგურა;
როგორ შესძლებენ კვლავ შეგვიქმნან საშიშროება?

მენახშირე

შესძლებენ, რადგან ჩვენი მეფე ველარ აშინებთ.
იმის შემდეგ, რაც ჯადოქარად გამოაცხადეს

ჟანა რაინსში, ლაშქარიდან განდევნეს იგი
და უწმინდური სული ომში ჩვენ აღარ გვშველის, —
ბედი უკულმა შეტრიალდა.

ცოლი

შეხე! ვინ მოდის?

მეორე გამოსვლა

იგივენი. ჟანა. რაიმონდი

რაიმონდი

აი, ეს ქობი, შემობრძანდით, აქ ჩვენ ვიპოვიით
ამ საზარელი ქარიშხლისგან თავშესაფარსა.
ველარ აიტანთ თქვენ მეტს, რადგან მესამე დღეა
აღარაფერი გიკამიათ. ყველა გაგვირბის,
მხოლოდ მცენარის ფესვებია საკვები თქვენი.
(ქარიშხალი თანდათან წყნარდება. თანდათან ნათელი დგება)
აქ გულკეთილი ხალხნი ჩანან. შემოდით შიგნით!

მენახშირე

როგორცა ჩანს, თქვენ დასვენება გინდათ. მობრძანდით!
როგორც ამ ღარიბ ქობს შეჭტურის, ჩვენც დაგიხვდებით.

ცოლი

რატომ ისურვა ამ ქალწულმა აბჯარის ასხმა?
თუმც მართალია, ახლა ისე მძიმე დრო არის,
რომ ქალმაც უნდა გადაიცვას ჯავშანი მკერდზე.
თვით დედოფალი იზაბელა, ასე ამბობენ,
მტრების ბანაკში აბჯრიანი დაიარებდა
და ჩვენს ჯარშიაც თურმე ერთი მწყემსი ქალწული
იბრძოდა ჩვენი მეფისათვის მახვილით ხელში.

მენახშირე

რას ლაპარაკობ, შედი ქობში და ქალწულს მალე
გამოუტანე ფინჯნით რამე სულმოსათქმელად.

(მენახშირის ცოლი შედის ქობში)

რაიმონდი (ჟანას)

ხედავთ, როდია ყველა კაცი შეუბრალები,
ამ უღრან ტყეში გულკეთილი ხალხი ყოფილა.

გამხიარულდით, ქარიშხალი დაწყენარდა უკვე
და მშვიდად ჩადის ტყის გადალმა მზე შუქმფრქვეველი.

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

აღბათ, იქნებით ჯარისკაცი ჩვენი მეფისა,
რადგან მოდიხართ აბჯრიანნი; ჰო-და გაფრთხილდით,
ინგლისელები აქ ჩვენს ახლო დგანან ბანაკად,
მათი რაზმები ტყეში ხშირად დაძრწიან ხოლმე.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ვაი! როგორღა ვუშველოთ თავს?

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

დარჩით, სანამდე
ჩემი ბიჭიკო ქალაქიდან დაბრუნდებოდეს.
იგი თარული ბილიკებით წაგიყვანთ ისე,
რომ არაფერი შეგემთხვიოთ. გზა კარგად ვიცით.

რ ა ი მ ო ნ დ ი (ჟანას)

მაშ მოიხსენით ეგ ჯაგშანი და მუზარადი,
ასე გადაცმულს უფრო გიცნობთ ვერაგი მტერი.
(ჟანა შეარხვეს თავს)

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

ქალწული ძალზე მწუხარე ჩანს. ჩუმაღ! ვინ მოდის?

მ ე ნ ა ხ შ ი რ ი ს ც ო ლ ი

გამოდის ქოხიდან ხელში ფინჯანით. მ ე ნ ა ხ -
შ ი რ ი ს ბ ი ჭ ი

ც ო ლ ი

აი, ეს არის ჩვენი ბიჭი, უკან დაბრუნდა.

(ჟანას)

შესვით, ქალწულო! ღმერთი იყოს თქვენი მოწყალე!

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე (თავის შვილს)

მოხვედი, ანეტ? რა ახალი ამბავი მოგაქვს?

ბ ი ჟ ი

(თვალში მოხვდება ქალწული, რომელმაც ფინჯანი პირთან მიიტანა. იგი იცნობს მას, მივარდება და გამოჰკლევს ფინჯანს პირიდან)

რას შერებით, დედავ? ვის მასპინძლობთ? ეს ქალი არის ორღენელი ჯადოქარი.

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე და მ ი ს ი ც ლ ი

ღმერთო, გვიშველე!

(პირჯვარს იწვრენ და გარბიან)

მ ე ო თ ხ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

რ ა ი მ ო ნ დ ი. ქ ა ნ ა

ქ ა ნ ა (წყნარად)

ხომ ხედავ, წყველა მე თანა მდევს, ყველა გამირბის, იზრუნე მხოლოდ შენს თავზე და დამტოვე მარტო.

რ ა ი მ ო ნ დ ი

თქვენ მიგატოვოთ? მერე ახლა? აბა ჩემს გარდა ვინ გაგაცილებთ?

ქ ა ნ ა

არ მჭირდება, მარტო არა ვარ.

ხომ გაიგონე მეხის გრგვინვა ჩემს თავზე ციდან? მე ბედს მიეყვარ, ფიქრი ნუ გაქვს. დასახულ მიზანს ისე მივალწევ თავისთავად, არც კი ვეძებო.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაგრამ სად წახვალთ? აქა ღვანან ინგლისელები, მათ ფიცი დასდეს, რომ სასტიკად იძიონ შური თქვენზე, იქით კი ჩვენებია თქვენს წინააღმდეგ...

ქ ა ნ ა

არ შემემთხვევა, რაც ბედისგან არ მიწერია.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ვინლა გიშოვის სასმელ-საჭმელს? ვინლა დაგიცავთ მძვინვარ მხეცთაგან, უფრო მძვინვარ კაცებისაგან, ვინლა მოგივლით გაჭირებულს, ავად რომ გახდეთ?

ქანა

მე კარგად ვიცნობ ყველა ბალახს, მცენარის ფესვებს,
ჩემი ცხვრებისგან შევისწავლე კარგად გარჩევა
სასარგებლოსი მანენესაგან. — ვიცი აგრეთვე
ვარსკვლავთა სრბოლა ცის სივრცეში, ღრუბელთა დენა
და იღუმალის წყაროების ხმაურიც მესმის.
ცოტა სჭირდება ადამიანს, ბუნებაში კი
სუყველაფერი უხვად არის.

რაიმონდი (სტაცებს ხელს)

ნუთუ არ მოხვალთ
თქვენს გონებაზე და ღვთის წინ არ მოინანიებთ —
არ დაბრუნდებით წმინდა ტაძრის წიაღსა შინა?

ქანა

ნუთუ ცოდვილად მიგაჩნევა, რაიმონდ, შენაც?

რაიმონდი

მე რადლა არა? ის მდუმარე აღიარება...

ქანა

შენ, ვინც გამომყევ ამ უდიდეს გასაჭირის ჟამს
და ვინაც დარჩი ერთადერთი ერთგული ჩემი,
არ მიმატოვე მაშინ, როცა მთელი ქვეყანა
განდგა ჩემგან, — შენ ნუთუ ახლა მთელი ისეთ გიჟად,
რომ უარყავი ჩემი ღმერთი!

(რაიმონდი სღუმს)

ოჰ, რა მწარეა!

რაიმონდი (გაოცებული)

მაშ თქვენ ნამდვილად ჯადოქარი არა ხართ განა?

ქანა

მე, ჯადოქარი?

რაიმონდი

და მაშ ნუთუ ეს სასწაული
თქვენ შეასრულეთ მხოლოდ დიდი ღვთაების ძალით
და მის წმინდანთა დახმარებით?

ქანა

მაშ, აბა რითი?

რაიმონდი

აბა რად სდუმდით საშინელი ბრალდების დროსა?
თქვენ ახლა ამბობთ და მაშინ კი მეფის წინაშე
არაფერი სთქვით, როცა თქვენ ეს უფრო გმართებდათ!

ქანა

მაშინ მე ჩემ ბედს მღუპარებით დავემორჩილე.

რაიმონდი

თქვენ არ შეგეძლოთ გეპასუხათ მამათქვენისთვის?

ქანა

ის, რაც მამისგან მომივიდა, ღმერთისგან მოხდა,
მე მამის პირით გამომცადა თვითონ ღვთაებამ.

რაიმონდი

თქვენზე ბრალდება ხომ ზეცამაც დაადასტურა!

ქანა

და მეც მაგიტომ ვდუმდი სწორედ.

რაიმონდი

როგორ? შეგეძლოთ
თავი გემართლათ ერთი სიტყვით და შეიყვანეთ
ასეთ უბედურ შეცდომაში მთელი ქვეყანა?

ქანა

ეს მორჩილება იყო ჩემი, არა შეცდომა.

რაიმონდი

და ეს სირცხვილი ისე უხმოდ გადაიტანეთ,
რომ ბაგეთაგან ჩივილიც კი არ დაგცდენიათ!
რარიგ მაკვირვებთ და თან ვრჩები შეძრწუნებული.
ახლა მკერდს შიგნით ისევ შევებით მიფეთქავს გული,
სიამოვნებით ვერწმუნები სიმართლეს თქვენსას,
რადგანაც მიმძიმს დავიჯერო ბრალდება იგი.

მე ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი, რომ კაცის გული ასე მღუმარედ აიტანდა ამ სისასტიკეს.

ქ ა ნ ა

განა ღირსი ვარ მოციქული ვიყო ღვთაების,
როცა მის სურვილს უსიტყვოდ არ დავემორჩილე?
შენ რომ გგონია, არც ისეთი უბედური ვარ.
თუმცა ჩავვარდი გასაჰირში, გამომაძევეს,
მინც არ არის ჩემთვის დიდი უბედურება,
რადგან მხოლოდ აქ შევიცანი მე ჩემი თავი
იქ, სად დიდების ბრწყინვალეობა გარემემოსა,
ჩემს გულში იყო დიდი ბრძოლა გაჩაღებული,
რადგან ყველაზე უბედური ვიყავი მე იქ,
ყველასა შურდა ჩემი ბედი, ჩემი პატივი.
ახლა კი უკვე განვიკურნე. ეს ქარიშხალი,
დედამიწას რომ აზანზარებს, მეგობრად მეძმო
და ცოდვათაგან განგვტვირთა ჩვენ: მე და ქვეყანა.
დე, თავს გადამხდეს, რაც განგებას მოუვლენია.
უკვე დავმშვიდდი და სისუსტეს აღარ ვგრძნობ ახლა.

რ ა ი მ ო ნ დ ი

წამო, წავიდეთ და ეგ თქვენი უცოდველობა
ყველას ვაუწყოთ, მთელს ქვეყანას გავაგებინოთ.

ქ ა ნ ა

ვინც შეცდომაში შეიყვანა, იგი დაიხსნის.
ბედის ნაყოფი არ ვარდება მოუმწიფებლად.
დადგება ქამი და ის ქამი მე გამამართლებს.
ახლა რომელნიც მე მწყევლიან და მაძევენ,
თავის შეცდომას მიხვდებიან ისინი მაშინ,
და მწარე ცრემლებს დააფრქვევენ ჩემს ბედკრულ ბედზე.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაშ ამ შემთხვევას კვლავ მღუმარედ უნდა უცადო?

ქ ა ნ ა (ნაზად წაავლებს ხელს)

შენ, მეგობარო, მხოლოდ ხედავ ბუნების საგანს.
მიწიურობით შებორკილა თვალები შენი.
მე კი ვხედავ, რომ ღვთის გარეშე კაცთა თავიდან

ერთი ბეწვი თმაც არ ვარდება. შეხედე იმ მზეს,
ცის დასავალზე რომ ეშვება — მაშინ მიხვდები,
რომ იგი ხვალაც თავის შუქით მოგვევლინება.
სწორედ ასევე დადგება დღეც გამართლებისა.

მეხუთე გამოცვლა

დედოფალი იზაბელა ჯარისკაცებით გამოჩნდება სცენის სიღრმეში

იზაბელა (სცენის გარეთ)

აი, ეს არის გზა ინგლისელთ ბანაკისაკენ!

რაიმონდი

ვგლახ! მტერია!

(ჯარისკაცები შემოდიან. შეამჩნევენ ჟანას და შეშინებულინი
უკან გარბიან)

იზაბელა

რა გემართებათ, სად გარბიხართ?

ჯარისკაცები

ღმერთი დგას ახლოს.

იზაბელა

თქვენ უფრთხიხართ მოჩვენებასა.

თქვენ ჯარისკაცი კი არა ხართ — მხდლები, ლაჩრები.

(იგი აჩერებს ჯარისკაცებს. გამოდის წინ, შეამჩნევს ჟანას)

ამას რას ვხედავ!

(სწრაფად მოიკრებს აზრს და გამოდის მის შესახვედრად)

ჩემი ტყვე ხარ!

დამნებდი ახლავ!

ჟანა

დაგნებდებით.

(სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი რაიმონდი გაიქცევა)

იზაბელა (ჯარისკაცებს)

შებოქეთ სწრაფად!

(ჯარისკაცები ფრთხილად უახლოვდებიან ჟანას. იგი გაუშვრის ხელებს,

რომელზეც ადებენ ბოკილს)

აბა თუ არის უძლეველი და საშიშარი,

ვის წინ ბრძოლაშიც, როგორც ცხერები, ისე გარბოდით

და ვისაც ახლა თავის დაცვაც კი აღარ ძალუძს?
იგი იქ ახდენს სასწაულსა, სად მისი სჯერათ.
აქ კი ქალია, სადაც მტკიცე მამაკაცს ხედავს.

(ქანას)

რატომ დასტოვე შენი ჯარი, სად არის ახლა
გ'რაფი დიუნუა, შენი მცველი, შენი რაინდი?

ქ ა ნ ა

გამომაძევეს.

იზაბელა (გაოცებული დაიხვეს უკან)

როგორ? რა სთქვი? გამოგაძევეს?
გამოგაძევა შენ კარლოსმა?

ქ ა ნ ა

ნუ მეკითხები,
მე შენი ტყვე ვარ, გადასწყვიტე აწ ჩემი ხვედრი.

იზაბელა

გამოგაძევა შენ იმიტომ, რომ დაღუპვისგან
გადაარჩინე და გვირგვინი დაადგი თავზე
და რომ კვლავ დასვი საფრანგეთის სამეფო ტახტზე?
გამოგაძევა! სწორედ ამით ვიცნობ მე ჩემ შეილს!
წაიყვათ იგი ჩვენს ბანაკში და ჯარს აჩვენეთ
საშინელება, რომელიც მათ აკანკალებდათ.
ჯადოქარია? ჯადოქრობა ამისი არის
თქვენი სილაჩრე, მოჩვენება შიშის მიერი.
ეს სულელია, ვინაც თვისი ნორჩი სიცოცხლე
შესწირა მეფეს და ამისთვის ხელმწიფურ ჯილდოს
მიიღებს ახლა. — წაიყვანეთ ის ლიონელთან,
მე მას შებოროკილს ვაძლევ ფრანგთა ბედნიერებას.
მეც თან მოგყვებით.

ქ ა ნ ა

ლიონელთან? მომკალით აქვე,
ახლავე, სანამ ლიონელთან გამაგზავნიდეთ.

იზაბელა (ჯარისკაცებს)

ჩემი ბრძანება შეასრულეთ, წაიყვათ ჩქარა!

მეძვენი გამოსვლა
ქანა. ჯარისკაცები

ქანა
(ჯარისკაცებს)

ინგლისელებო, ნუ მოითმენთ, რომ მე ცოცხალი
გადავრჩე თქვენგან! გევედრებით, შური იძიოთ!
იზიშვლეთ ხმლები და დამკარით პირდაპირ გულში,
თქვენი სარდლის წინ დამაგდეთ მე უსულოდქმნილი.
მოიგონეთ, რომ მე დაეხოცე თქვენი გმირები,
მე დავაქციე მათი სისხლი შეუბრალებლად
და ვრცელ ზღვას შევრთე დაუშრეტელ ნაკადულებად.
მოიგონეთ, რომ მე მოეუსპე თქვენს გმირ ვაჟკაცებს
ტკბილი იმედი სამშობლოში დაბრუნებისა.
შური იძიეთ და მომკალით. თქვენ ხელთ ვარ ახლა,
ყოველთვის ასე ადვილად თქვენ არ შეგეძლებათ
მიხილოთ ასე სუსტი...

ჯარის უფროსი
დაემორჩილე ბრძანებასა!

ქანა
ო, ნუთუ უნდა

შევიქმნე უფრო უბედური, ვინემ ვიყავი.
პოი, წმინდანო! შენი ხელი რარიგ მძიმეა!
ნუთუ მე შენგან ვარ მთლიანად უარყოფილი,
არ მევლინება აღარც ღმერთი, არც ანგელოზი,
სასწაული სდუმს, ზეცა ჩემთვის დაკეტილია.

(მიჰყვება ჯარისკაცებს)

ფრანგთა ბანაკი
მეზვიდე გამოსვლა

დიუნუა არქიეპისკოპოსსა და დიუ შატელს შორის

არქიეპისკოპოსი

ნუ შფოთავთ, პრინცი, გახოვთ, დააცხროთ ეგ გულისწყრომა,
წამოდით ჩვენთან, დაუბრუნდით თქვენს მეფეს ისევ!
ნუ მიატოვებთ განსაცდელში საერთო საქმეს
ახლა, როცა ჩვენ თავს დაგვბრუნავს უბედურება
და თქვენს გმირულ მკლავს საკიროებს ქვეყანა ჩვენი.

დიუნუა

რატომ ჩავცვივდით გასაპირში და რატომ აღდგა
მტერი კვლავ ჩვენზე? რიგზე იყო ხომ ყველაფერი
და საფრანგეთმა გაიმარჯვა პრისხანე მტერზე?
მხსნელი ხომ თვითონ გააძევეთ; მაშ დამხსენით
თქვენი ქვეყანა თქვენ თვითონვე. მე კი აღარ მსურს
ვნახო ბანაკი, სადაც იგი არ იმყოფება.

დიუ შატელი

მიიღეთ, პრინცი, წმინდა მამის კეთილი რჩევა
და მაგ პასუხით ნუ გაგვიშვებთ!

დიუნუა

ჩუმაღ, დიუ შატელ!
მე მძულხართ, თქვენგან არაფერის მოსმენა არ მსურს,
ყველაზე უწინ თქვენ დაეკვლით მის სიწმინდეში.

არქიეპისკოპოსი

ან კი, მითხარით, ვის შეეძლო არ შეემცდარიყო,
არ გამოეთქვა მასზე ეჭვი იმ საშინელ დღეს,
როს ყველაფერი ღალატდებდა მის წინააღმდეგ!
მაშინ ყველანი შევიქენით შეძრწუნებულნი,
როს მეხის გრგვინვამ ჩვენი გული ააცახცახა.
ვისღა შეეძლო იმ დროს ჭკუა არ აბნეოდა?
მაგრამ ახლა ჩვენ დაგვიბრუნდა გონება ისევ,
მასში ჩვენ კვალად უწინდელსა წმინდანსა ვხედავთ.
და არავითარ საყვედურსა არ ვგრძნობთ მის მიმართ.
ჩვენ გვეშინია ასე მძიმე უსამართლობა
რომ ჩავიდინეთ, — მეფე უკვე გრძნობს დიდ სინანულს,
ჰერცოგი ჰკიცხავს თავს, ლა ჰირიც დიდადა ნაღვლობს
და ყველას გული მისცემია მწუხარებასა.

დიუნუა

მატყუარაა ნუთუ იგი? ზეციურ წმინდანს
კაცის სხეულში დაეანება რომ მოესურვა,
იგი უთუოდ ატარებდა მის ნიშნებს მაშინ.
უმანკობა, ერთგულება, გულის სიწმინდე
თუკი ცხოვრობენ ამ მიწაზე — მაშინ მათ მხოლოდ
მის ბაგეებში, მის თვალებში უნდა იცხოვრონ:

არქიეპისკოპოსი

ეს საოცრება თვითონ ზეცამ გამოგვიგზავნა, რომლის დაფარულ, მიუწვდომელ ილუშალებას ვერ მისწვდა ჩვენი მიწიერი, მოკვდავი მხერა — და რაკი ამას ჩვენ ვერ მივწვდით, სწორედ ამიტომ უნდა ერთ-ერთი ჩაგვედინა დანაშაული!
ან ჯოჯოხეთთან შეგვეკრა ჩვენ კავშირი მტკიცე, ან ჩვენგან უნდა გაგვედევნა წმინდანი ქალი. და ჩვენს მაგივრად ზეცის რისხვა, მისი სასჯელი თავზე დაატყდა სვეუბელურ ქვეყანას ჩვენსას.

მეჩვე გამოცვლა

მსახური. იგივენი. შემდეგ რაიმონდი
მსახური

ერთი ყრმა მწყემსი კითხულობს შენს დიდებულებას, დაეინებული ითხოვს გითხრას შენ ორი სიტყვა. იგი მოსულა ქალწულისგან.

დიუნუა

ჩქარა, სასწრაფოდ

შემოიყვანე!

(მსახური კარს უღებს რაიმონდს. დიუნუა მიეშურება მის შესახვედრად)
მითხარ, ყრმაო, სად არის იგი?

სად არის თანა?

რაიმონდი

გამარჯვებით, კეთილო პრინციო!

და მადლობა ღმერთს, რომ ეს წმინდა ეპისკოპოსი, კაცი წმინდანი, ჩაგრულთა და ლატაკთ მფარველი და განწირულთა მხსნელი მამა აქ თქვენთან ვპოვე.

დიუნუა

სად არის თანა?

არქიეპისკოპოსი

უპასუხეთ, შვილო, კითხვაზე.

რაიმონდი

ბატონო ჩემო, ჯადოქარი არ არის იგი, ამისი მოწმე თვით ღმერთია, ყველა წმინდანი.

მოტყუებული არის ხალხი და უცოდველი
გააძევეთ თქვენ, უარპყავით ღვთის მოციქული.

დიუნუა

სად არის იგი? სთქვი!

რაიმონდი

მე ვახლდი მას თანამგზავრად,
განდევნის შემდეგ მიმავალსა არდენის ტყეში,
სად ყველაფერი გულახდილად გამომიქლავნა.
ტანჯვით მომერგოს მე სიკვდილი და ჩემმა სულმა
ველარ იხილოს ვერასოდეს ნეტარი ზეცა,
აჟ იყოს იგი დამნაშავე და არაწმინდა.

დიუნუა

ზეცის მნათობიც კი არ არის ისეთი წმინდა.
სად არის იგი?

რაიმონდი

ო, თუკი თქვენ მაღალმა ღმერთმა
კვლავ მოგიბრუნათ მასზე გული, მაშინ იჩქარეთ
მის დასახსნელად — ინგლისელებს ტყვედ ჩაუვარდა.

დიუნუა

ტყვედ ჩაუვარდა! ეს რა მესმის!

არქიეპისკოპოსი

ო, უბედური!

რაიმონდი

არდენში, სადაც ვეძიებდით ჩვენ თავშესაფარს,
თვით დედოფალმა იზაბელამ შეიპყრო იგი
და იმყოფება ინგლისელთა ხელში ამჟამად.
ო, დაიხსენით ის მწუხარე სიკვდილისაგან,
ვინაც ყველანი დაღუპვისგან გადაგარჩინათ.

დიუნუა

დასცხონ დაფდაფებს, იარალი აისხას ყველამ
და მთელი ხალხი საბრძოლველად დაიძრას მტერზე!

დე, საწინდარი იყოს ჩვენი პატიოსნება.
გაქურდულია ჩვენი წმინდა პალადიუმი.
ნისი სიცოცხლის დასაცავად წავიდეთ ყველა,
ჩვენი დამხსნელი დღესვე უნდა განთავისუფლდეს.
(გადიან)

ციხე-კოშკი, მალა კუპრუტანია

მეცხრე გამოსვლა

ჯანა. ლიონელი. ფასტოლფი. შემდეგ იზაბელა
ფასტოლფი (შემოდის სწრაფად)

დიდხანს ვერ შესძლებთ ხალხის შფოთვა რომ დააწყნაროთ.
დაჯინებულნი მოითხოვენ ქალწულის სიკვდილს.
ველარ ჩაახშობთ ხალხის ლელვას. მოჰკალით იგი
და ქონგურიდან მისი თავი გადაისროლეთ.
ჯარს დაამშვიდებს მხოლოდ მისი დაღვრილი სისხლი.

იზაბელა (შემოდის)

კიბეს ადგამენ, იერიშით მოისწრაფვიან!
ო, დაამშვიდეთ ხალხის შფოთვა, ნუთუ თქვენ უცდით,
გამძვინვარებულთ იერიშით აიღონ ციხე
და ჩვენ ყველანი მის კედლებში გაგვანადგურონ?
ველარ შეიძლებთ თქვენ მის დაცვას, მიეცით იგი.

ლიონელი

დე, იერიშით წამოვიდნენ და იმძვინვარონ!
მტკიცეა ციხე. ნანგრევებში დავიმარხები,
ვიდრე მათ სურვილს, იმათ ნებას ჩემ ბედს დავუთმობ.
ო, მიპასუხე! ჩემი გახდი ოლონდაც, ჟანა,
შენი გულისთვის მთელ ქვეყანას შევებრძოლები.

იზაბელა

ვაჟკაცი არ ხართ?

ლიონელი

ხომ უარგყვეს შენიანებმა,
და ვალდებულიც აღარა ხარ ახლა არაფრით
შენი უღირსი სამშობლოს წინ და მოღალატეთ,
დალუპვისგან რომ დაიხსენი, ხომ მივატოვეს.

მათ ვერ გაბედეს, რომ დაეცვათ ღირსება შენი.
მაგრამ, ო, მე კი წინააღმდეგ ორივე ხალხის
ბრძოლასა ვბედავ. მარწმუნებდი აკი შენ წინათ
ჩემი სიცოცხლე ძალზე ძვირად გიღირდა თითქოს,
მაგრამ მე მაშინ ვიყავ შენი მძულვარე მტერი,
ხოლო ახლა კი — მეგობარი.

უ ა ნ ა

არა, შენა ხარ

უსაზიზღრესი მტერი ჩემი, ჩემი ხალხისა
და ჩვენ შორისაც მეგობრობა არ შეიძლება.
არ შემიძლია შენ მიყვარდე და თუ ეგ გული
ჩემსკენ იხრება, დე, ეგ გრძნობა სიკეთედ იქცეს
ორივე ხალხისთვის. გაიყვანე ლაშქარი შენი
ჩემი სამშობლოს საზღვრებიდან და დამიბრუნე
ყველა ციხისა და ქალაქის გასაღებები,
შენ რომ ხელთ იგდე მკაცრ ბრძოლებში, როგორც ნადავლი,
და უსასყიდლოდ დამიბრუნე შენი ტყვეები.
მომეცი მტკიცე საწინდარი ერთგულებისა,
მაშინ მიიღე ზავი ჩემი მეფის სახელით.

ი ზ ა ბ ე ლ ა

შებორკილს გინდა კანონები კვლავ გვიკარნახო?

უ ა ნ ა

ჰქმენი ეს დროზე, რის ქმნაც შენთვის გარდუვალა.
ბრიტნი ვეროდეს დაადებენ საფრანგეთს ბორკილს.
ო, სანამდის ეს მოხდებოდეს, მანამდე იგი
თქვენი ლაშქრისთვის ვრცელ სამარედ გადაიქცევა.
თქვენი მამაცი მეომრები უკვე დაეცნენ,
დროა იფიქროთ ახლა უკან დაბრუნებაზე,
ფრანგებმა გძლიეთ, ჩაესვენა დიდება თქვენი.

ი ზ ა ბ ე ლ ა

ნუთუ ამ გიჟის ქედმაღლობას უნდა ითმენდეთ?

მეათე ბავოსვლა

ა ს ი ს თ ა ვ ი (შემოდის საჩქაროდ)

ჩქარა, სარდალო, საბრძოლველად დააწყეთ ჯარი.

ფრანგნი დაიდრნენ საომრადა დროშების რხევით,
აბჯრის ბრჭყვიალით მთელი ველი განათებულა.

ქ ა ნ ა (ალტაცებით)

ფრანგნი დაიდრნენ, გაუმაგრდი, ინგლისო, აბა,
აქ, ბრძოლის ველზე, გამოჩნდება ვინ გაიმარჯვებს!

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

ამაო არის, უგუნურო, ეგ ალტაცება,
ამ დღის დასასრულს შენ ცოცხალი ველარ იხილაგ.

ქ ა ნ ა

ჩემი ხალხი ხომ გაიმარჯვებს, მე თუნდაც მოვკვდე,
მამაცნი უკვე ჩემ მკლავს აღარ საჭიროებენ.

ლ ი ო ნ ე ლ ი

ისინი მძულან და სასტიკად მეზიზღებიან.
ჩვენ ხომ ისინი დავამარცხეთ ბრძოლაში ოცჯერ,
სანამ ეს ქალი მათ მხარეზე გამოვიდოდა.
მათ შორის მხოლოდ ღირსი იყო დიდების ერთი
და იგიც თავათ გააძევეს. წავიდეთ, ფასტოლფ,
და ფრანგებს ისევ გაუთენოთ მწარე დღეები,
როგორც ვაგემეთ ერთხელ კრეკს და ჰუატიესთან.
თქვენ კი დარჩებით, დედოფალო, ამ ციხე-კოშკში,
ქალწულს მიხედეთ, სანამ ბრძოლას დავამთავრებდეთ.
მე აქ გიტოვებთ ორმოცდაათ რაინდს დამცველად.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

რაო? წავიდეთ ჩვენ ბრძოლაში მტრის შესახვედრად
და ეს ჯიუტი ქალწული კი ზურგში დავტოვოთ?

ქ ა ნ ა

ნუთუ გაშინებს შებორკილი ქალი?

ლ ი ო ნ ე ლ ი (ჟანას)

მომეცი

სიტყვა, ქალწულო, რომ აქ მყოფი არ შეეცდები
ტყვეობისაგან თავის დახსნას, გაქცევას ჩვენგან.

ქ ა ნ ა

მე მხოლოდ ის მსურს, რომ როგორმე დავიხსნა თავი.

ი ზ ა ბ ე ლ ა

სამმაგი ჯაჭვი, ბორკილები დაადეთ ახლავ,
სიცოცხლეს ვფიცავ, იგი ვერსად წაგვივა მაშინ.

(ქანას ადებენ მძიმე ბორკილებს ხელებზე და ჯაჭვებით შეკრავენ)

ლი ო ნ ე ლ ი (ქანას)

შენ გვაიძულე, რომ ჩვენ ასე მოგგცევიყავით.
გადმოდო ჩვენსკენ, უარყავი ფრანგთა ქვეყანა,
ხელი მოჰკიდე ბრიტანელთა უძლეველ დროშას,
ბორკილებს აგხსნით და მძვინვარე ჩემს ჯარისკაცებს,
ახლა რომ შენს სისხლს თხოულობენ, ყმებად გაგიხდი.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი (შეძრწუნებული)

ჩემო სარდალო, წამო მალე!

ქ ა ნ ა

ნუ ხარჯავ სიტყვებს,
ფრანგნი დაიძრნენ, მოემზადე მათ დასახვედრად.

(ისმის საყვირის ხმა, ლიონელი მიდის აჩქარებით)

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

აწ თვითონ იცით, დედოფალო, თუ რასაც იზამთ
თუ ომის ბედი ფრანგებისკენ გადაიხარა
და ჩვენი ჯარი უკუ იქცა...

ი ზ ა ბ ე ლ ა (იძრობს ხანჯალს)

თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ,
ვერ შეესწრება ჩვენი მარცხი თვალთ იხილოს:

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი (ქანას)

შენ კარგად იცი, რაც მოგელის, ევედრე ზეცას,
რომ გაიმარჯოს შენმა ხალხმა.

(გადის)

მითერთმეტე გამოცვლა

იზაბელა. უანა. ჯარისკაცი

უანა

ევა მსურს სწორედ!

ვერვინ შემიშლის ამაში ხელს. ჩუ, ეს რა ხმაა?
ეს საომარი მარში არის ჩვენი ხალხისა!
რა მამაცურად რეკავს გულში, რა მხნედ გაისმის
ფრანგთ გამარჯვება და ინგლისელთ განადგურება!
ჩემო გმირებო, წინ! ქალწული თქვენთან ახლოა;
უწინდებურად მას არ ძალუძს გაუძღვეს ლაშქარს
თავისი დროშით, ბორკილები დაადეს მძიმე,
მაგრამ იმისი სული ვიწრო საპყრობილიდან
თქვენი მხედრული სიმღერისკენ ისწრაფვის ფრენით.

იზაბელა (ერთ ჯარისკაცს)

ადი ქონგურზე, ბრძოლის ველი რომ დაინახო
და, რაც იქ მოხდეს, დაწვრილებით ყველა გვაუწყე.
(ჯარისკაცი ადის)

უანა

მხნედ, გმირო ხალხო, ეს ბრძოლაა უკანასკნელი.
ერთი შეტევაც და ინგლისი ძირს დაემხოზა.

იზაბელა

რას ხედავ შენ იქ?

ჯარისკაცი

ერთმანეთთან არიან უკვე-

ვიღაც რაინდმა შემოსილმა ვეფხის ტყავითა
თავის მცველებით შავი რაში გამოაბტუნა.

უანა

ის დიუნუაა, ცოცხლად, ცოცხლად, გმირო მებრძოლო.
შენი იქნება გამარჯვება.

ჯარისკაცი

აგერ ბურგუნდის

ჰერცოგმა უკვე დასცხო ხიდსა.

იზაბელა

ჩაგერქოს გულში

ათი მახვილი, მოღალატე და გამყიდველო.

ჯარისკაცი

გზა გადულობა მას სასწრაფოდ ლორდმა ფასტოლფმა,
დაბლა ჩამოხტნენ, ხელჩართულნი იბრძვიან უკვე
ჩვენი მებრძოლნი და ჰერცოგის ჯარისკაცები.

იზაბელა

ვერსადა ხედავ კარლოს მეფეს? ვერ იცან იგი
მეფურ სამოსზე?

ჯარისკაცი

აირია მთლად ყველაფერი
მტვერსა და ბულში, აღარაფრის გარჩევა ძალმიძს.

ქანა

ჩემი თვალები მაინც გქონდეს, ან მალლა ვიყო,
მცირედიც კი რამ ჩემს მზერას არ გამოორჩებოდა.
ძალმიძს ფრენის დროს დავთვალო მე ქათმები ტყისა
და ცის სივრცეში შევარდენი გამოვარჩიო.

ჯარისკაცი

თხრილებთან უკვე საშინელი ბრძოლა გაჩაღდა
და თვით სარდლები ჩაერივნენ მრისხანე ომში.

იზაბელა

ჩვენი დროშა ხომ კვლავ ფრიალებს?

ჯარისკაცი

მალლა ირხევა.

ქანა

ნეტა შემეძლოს ქონგურიდან ვიყურებოდე,
ჩვენი ლაშქრისთვის მეწინამძღვრა აქედან მაინც!

ჯარისკაცი

ვაგლახ, რას ვხედავ! ინგლისელთა სარდალს ფრანგები
გარს შემოერთყენენ.

იზაბელა (ქანას მოუღერებს ხანჯალს)

მოკვდი ახლავ!

ჯარისკაცი (სწრაფად)

განთავისუფლდა.

გმირმა ფასტოლფმა მტერს ზურგიდან შემოუარა
და გაუმართა მას სასტიკი, მძვინვარე ბრძოლა.

იზაბელა (დაუშვებს ხანჯალს ისევ)

ღმერთმა დაგიხსნა!

ჯარისკაცი

გაიმარჯვეს! გარბიან უკვე.

იზაბელა

ეგ ვინ გარბიან?

ჯარისკაცი

ფრანგები და ბურგუნდიელნი.

დაფარულია ბრძოლის ველი მათი გვამებით.

ჟანა

ო. ღმერთო ჩემო, ნუთუ შენაც ასე გამწირე!

ჯარისკაცი

ვიღაც დაეცა ბრძოლის ველზე მძიმე დაჭრილი,
მრავალი ხალხი მიეშველა, ჩანს თავადია.

იზაბელა

ვინ არის იგი, ფრანგი არის, თუ ჩვენიანი?

ჯარისკაცი

მუზარადს ხდიან, იგი გრაფი დიუნუაა.

ჟანა

(მძლავრად გაიწევს ბორკილებიდან)

და მე კი ახლა ბორკილებით ვარ შებოჭილი.

ჯარისკაცი

შეხეთ, ვინ არის ნეტავი იგი ლურჯ მოსასხამში
და მოოქროვილ სამოსელში?

ჟანა (ცოცხლად)

ჩემი მეფეა!

ჯარისკაცი

ცხენი შეუფრთხა, თუ დაიჭრა, დაბლა დაეცა,
უცხენოდ იბრძვის, იგერიებს უამრავ მხედარს.

(ქანა ყოველ სიტყვებზე სასოწარკვეთილი თრთის)
ჩვენები მისკენ გაეშურნენ, გარს შემოერტყნენ.

ქანა

ნუთუ ზეცასაც ავი სული დაეპატრონა!

იზაბელა (დამცინავად)

დრო არის უკვე, ფრანგთა მხსნელო, უშველე აბა!

ქანა

მისმინე, ღმერთო, ამ უდიდეს განსაცდელის ქამს
დაბლიდან შენთან, მარადიულ საბრძანებელში,
მხურვალე რწმენით და იმედით ვაგზავნი ჩემს სულს.

შენ შეგიძლია ძალზე სუსტი ობობას ქსელი
გადააქციო მტკიცე, მაგარ ფოლადის ჯაჭვად,
ასევე ძალგძის, ყოვლის შემძლევე, ეს ბორკილები
ობობას ქსელის სუსტ ძაფებად გადააქციო.

ისურვე ოღონდ და ბორკილნი დაიმსხვრევიან.
დაემხოებიან უმალ მტკიცე კედლები ციხის.
შენ ხომ ბრმა სამსონს შეეწიე, ვინც შებორკილი
დიდხანს ითმენდა ამაყი მტრის მწარე დაცინვას,
მაგრამ შენ გიხმო თავის შემწედ და მტკიცე ღონით
მოგლიჯა სვეტი საშინელი საპყრობილისა
და ძირს დაეცა საზარელი შენობა იგი.

ჯარისკაცი

ვაშა!

იზაბელა

რა მოხდა?

ჯარისკაცი

ტყვედ ჩაიგდეს ფრანგების მეფე.

ქანა (წამოხტება)

ჰოი, ახლა კი, დიდო ღმერთო, მოწყალე მექმენ!

(იგი ორივე ხელით ღონივრად გასწევს ბორკილების და გაგლეჯავს. მაშინვე წაართმევს მის ახლო მდგომ ჯარისკაცს ხმალს და გარეთ გაეარდება. ყველანი უცქერიან მღუმარედ და გაოცებით)

მეთორმეტე გამოსვლა

ი გ ი ვ ე ნ ი უნას გარდა

ი ზ ა ბ ე ლ ა (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ)

ო, ეს რა მოხდა? სიზმარში ვარ? სად გაჰქრა იგი?
როგორ გაწყვიტა მან ფოლადის მძიმე ჯაჭვები?
მე ასეთ ამბავს სხვას არავის დავეუჯერებდი,
ჩემივე საკუთარ თვალებით რომ არ დამენახა.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი (კოშკიდან)

როგორ? ფრთები აქვს, გრიგალივით რომ მიჰქრის სწრაფად
იგი ყოველგან?

ი ზ ა ბ ე ლ ა

დაბლა არის?

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

შუა ბრძოლაში

შეიქრა იგი, მისი სრბოლა უფრო სწრაფია
ჩემს მკვირცხლ მზერაზე. აწ აქ არის, იმავ წუთს იქაც.
ერთს და იმავ დროს იგი მოჩანს მრავალ ადგილას,
შუაზე აპობს რაზმეულებს, ყველა გაურბის.
ფრანგნი კვლავ აღდგნენ და მოეწყენენ სალაშქროდ ისევ,
ვაი, რას ვხედავ! ჩვენი ჯარი იარაღსა ჰყრის,
ჩვენი დროშებიც მტრით ძლეულნი დაეცნენ დაბლა.

ი ზ ა ბ ე ლ ა

ნუთუ წაგვართვა გამარჯვება მან ასე მალე?

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

ის გაეშურა მეფისაკენ და მიაღწია,
მძლავრი მკლავებით გამოჰგლიჯა მეფე ბრძოლიდან.
ლორდი ფასტოლფი შეებრძოლა, მაგრამ ტყვედ იგდეს.

ი ზ ა ბ ე ლ ა

ჩამოდი დაბლა. აღარა მსურს მეტის მოსმენა.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

ო, გაიქცით, დედოფალო, თავს დაგვესხმიან,
მტრის ჯარი მოქრის ასაღებად ჩვენი ციხისა.

იზაბელა (იძრობს ხმალს)

მაშ დამიცავით, თქვე ლაჩრებო!

მეცამეტე გამოცვლა

ლაჭირი ჯარისკაცებით შემოდის. მის შემოსვლისთანავე დედოფლის ჯარისკაცები იარაღს ყრიან

ლაჭირი (მოკრძალებით მიდის იზაბელასთან)

დამემორჩილეთ

ყოვლად ძლიერსა, დედოფალო, თქვენი რაინდნი
ცხარე ბრძოლაში დავამარცხეთ, ტყვედ ვიგდეთ ხელში.
აწ ყოველგვარი შებრძოლება უსარგებლოა.
მიბრძანეთ, საით გაგაცილოთ?

იზაბელა

სადაცა გნებავთ,

ყველგან, ოღონდ კი კარლოს მეფეს ნუ შემახვედრებთ.

(აძლევს ხმალს და მიჰყვება თავისი ჯარისკაცებით)

სცენა წარმოადგენს ბრძოლის ველს

მეთოთხმეტე გამოცვლა

ჯარისკაცები გაშლილი დროებით ავსებენ სცენის უკანა მხარეს. მათ წინ
მეფე და ბურგუნდის ჰერცოგი. მათ ორივეს მკლავებზე უსვენიათ სასიკვდილოდ
დაპრილი ჟანა, ისინი ნელა მოდიან წინ. შემორბის აგნესა სორელი.

აგნესა

განთავისუფლდი. ცოცხალი ხარ. შენ ისევ მყევხარ.

მეფე

გავთავისუფლდი, მაგრამ, აი, ეს რად დაგვიჯდა.

(ურჩენებს ჟანაზე)

ჟანა, ოჰ, ღმერთო! იგი კვდება.

ბურგუნდი

ელემა ბოლო.

გაფრინდა ჩვენი ანგელოზი. შეხეთ, როგორ წევს
უმტკივნეულოდ, ისე მშვიდად, თითქოს ბავშვს სძინავს.
ციური შუქი მკრთალ სახეზე გადაჰფენია.
თუმც მისი მკერდი აღარ სუნთქავს, მაგრამ სიცოცხლის
მცირე ნიშანი კვლავ ეტყობა ოდნავ თბილ მაჯას.

მეფე

ის აღარ არის, არასოდეს არც გაიღვიძებს,
მისი თვალები ამ ქვეყანას ველარ იხილავს.
მალლა მიფრინავს მისი სული, ნათლით მოსილი
და ჩვენს ტკივილს და ჩვენს სინანულს აღარ უცქერის.

სორელი

ის თვალებს ახელს. ცოცხალია!

ბურგუნდი (გაოცებული)

თუ გვიბრუნდება
ის სამარიდან? ნუთუ სიკვდილს ქალწულმა სძლია?
ის ზევით იწევს, დგება კიდევ!

ქანა (ადგება. იუზრება ირგვლივ)

სადა ვარ ნეტა?

ბურგუნდი

შენივე ხალხთან, ჩვენო ქანა, შენთანებთან.

მეფე

შენს მეგობრებთან, შენი მეფის მკლავებზე მყოფი!

ქანა (უზურებს დიდხანს მღუმარად)

არა, არა ვარ ჯადოქარი, იცოდეთ ყველამ!

მეფე

შენ წმინდანი ხარ, წმინდანი ხარ, ვით ანგელოზი,
მაგრამ აქამდე ჩვენ თვალებზე ბინდი გვებურა.

ქანა

(იუზრება ირგვლივ მზიარული ღიმილით)

და მე ნამდვილად ჩემს ხალხში ვარ, ჩემიანებთან,
არ ვარ დევნილი და ხალხისგან უარყოფილი?
აღარ მწყევლიან, მეგობრულად შემომცქერიან?
— დიახ, ახლა კი მახსენდება მე ყველაფერი.
ეს ჩემი მეფე, ეს კი ფრანგთა დროშები არის!
მაგრამ ჩემს დროშას ველარ ეხედავ—სად არის იგი?
მე უიმისოდ ვერ წარვსდგები ღმერთის წინაშე.
ღმერთისგან მაქვს იგი ნაბოძები და მონღობილი,

მისი ტახტის წინ მივიტანო უნდა ის დროშა.
უნდა ვუჩვენო, რომ ერთგულად ვატარე იგი.

მეფე (ანიშნებს თვალით)

მოიტათ დროშა!


(დროშა მოაქვთ. იგი მთლად გაიმართება დროშით ხელში. ზეცა ვარდისფრად
ბრწყინავს)

ქ ა ნ ა

ხედავთ ჰაერში ცისარტყელა რომ აელვარდა —
ეს ჩემთვის აღებს ზეცა თავის ოქროსფერ ქიშკარს,
ანგელოზთ შორის იმ ქიშკართან დგას ღვთისმშობელი,
მისი უკვდავი ვაჟით მკერდზე მიხუტებული,
და ხელებს მიშვერს შესახვედრად ნაზი ღიმილით.
რა მემართება? ღრუბლებისკენ მივცურავ თითქოს.
მძიმე ჯავშანიც სამოსია თითქოს ციური.
ო, იქით! იქით!.. უკან რჩება ცოდვილი მიწა,
მოკლეა ტანჯვა, სიხარული — მარადიული.

(ხელიდან გაუვარდება დროშა. დაეშვება ძირს უსულოდ. ყველანი დგანან მდუ-
მარედ, მწუხარებით აღსავსენი. მეფე აძლევს ნიშანს და ყველა დროშა იხრება
მის ცხედარზე ისე, რომ იგი მთლიანად დროშებით იფარება)







რედაქტორი **ბ. ნადირაძე**

კორექტორი **შ. იამანიძე**

მხატვარი **ვლ. გრიგოლია**

კონტროლიორ-კორექტორი **ვ. ხოშტარია**

ტექნედაქტორი **ბ. გორდეზიანი**

გამომშვები **ნ. კაკუშაძე**

გადაეცა წარმოებას 9/VIII-49 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-49 წ. ში 00145. შეკვ. № 967. ანაწყოების ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 17. საავტორო ფორმათა რაოდენობა 12,45. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 12,7. ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ № 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательства и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

